

ლიტერატურული გაზეთი

№6 (310) 1 - 14 აპრილი 2022

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

ალეგორია

სახლი. ოთახი. ტახტი დგას.
 მშობლები, ბებიები, ბაბუები.
 მათი მშობლები მოდიან,
 ტახტზე წვეტიან, ერთმანეთს აჩენენ
 და მიდიან. ამ ოთახში ბიბლია იხარშება,
 დედაჩემის და მამაჩემის სიყვარული
 სულ ახლოდან ისმის,
 მეც, ჩემი წილი ხორცი დავდე,
 მარილი დავაყარე, მაინც, რალაც მანუხებს:
 ბავშვები? ლექსები?
 თუ ეს ტახტიანი ოთახი — ქვეყნის ალეგორია?
 მკურნალობა აკაკი წერეთლის რეცეპტით!
 დაბრუნება XIX-ზე უფრო შორსაც,
 ვარდულებულიან საუკუნეებში...
 ვარდი რომ... ბუღული რომ...
 კრიმანჭული მოგისმენიათ?
 შვიდი ამღვრებული კაცის სამშობლო!
 დაღამდა ოთახი, ლანდები დადიან?
 ამან შვა ის, იმან — ეს, პირველმა მეორე,
 მეორემ — მეათე,
 მეათასე და ქვეყანა გამოუვიდათ.
 უყვარდათ, თუ მარტო სექსი ჰქონდათ?
 ვინ მეტი იყო? ქალები, მკერდში ნარინჯებით,
 თუ დედაკაცები, უღელით კისერზე?
 პასუხისთვის უნდა ვიარო,
 ცხრა მთა გადავიარო, ცხრა ზღვა,
 დამალული სიმბოლოები ვიპოვო,
 ანუ მათი სულები... და თუ, ბოლოს, ყველაფერი
 ერთ ტახტიან ოთახამდე მიდის,
 ამ ოთახში ნარინჯისფერი შემოვიტანო.

IV



ლელა სამნიაშვილი

ციცხლზე და ყინულზე

როგორ გავს ყინულზე სრიალი კორიდას —
 შორიდან — თეთრ ხართან —
 უსისხლოდ, უაღმოდ
 და მაყურებელიც რამდენი მოვიდა —
 ცხელ-ცხელი გუგები უნდა დაუამოთ
 ყინულმა.
 ხელები — მახვილის გარეშე
 ფრიალებს —
 ჩრდილოეთს უელავს სამხრეთად
 და თუკი სხეული ხელიდან გაეშვა —
 საკუთარ სხეულთან ეცემა,
 მარცხდება
 კვლავ ადამიანი. და დგება.
 ომიდან
 გამოსვლას როგორ გავს —
 უსისხლოდ, უაღმოდ
 და მაყურებელიც რამდენი მოვიდა,
 რომ ცხელი გუგები ცქერამ დაუამოთ.

VIII




ბელა ჩეკურიშვილი

ლურჯი ფრინველი

ლურჯი ფრინველის საძებრად წავედით
 (ალბათ თქვენც ზღაპრის დასაწყისს გაგონებთ),
 როგორც მიდიან სათევზაოდ, სოკოზე,
 ან მაყვლის საკრეფად.
 ერთმა თქვა, ხეობაში უნახავთ შარშან და
 იქ უნდა ჩავსაფრდეთ,
 თუ გაგვიმართლა, თვალს შევასწრებთ,
 როცა იელვებს,
 ის ხომ სწრაფია ისარივით
 და წყალზე დიდხანს არ შეყოვნდება.
 ხიდზე ვიდექით
 და ოცნებებში ვმოგზაურობდით,
 სადაც მუდამ ლურჯი ფერია.
 მისი ნახვით ველოდით ნიშანს,
 რაც სამყაროს გულუხვობაში დაგვარწმუნებდა,
 დაგვაჯერებდა: რჩეულნი ვართ,
 ჩვენ ვიხილეთ ლურჯი ფრინველი!
 ოთხნი ვიყავით
 და ხიდზეც ოთხი ჩრდილი იწვა,
 ჩვენს ყოფნას რომ ადასტურებდა.
 მაგრამ ჩრდილი საკმარისი როდის ყოფილა?
 ლექსის თემადაც არ ვარგოდა,
 უფრო ზღაპრის დასაწყისს ჰგავდა
 სახლიდან ნასულ, ხელმოცარულ პერსონაჟებზე.

VIII-IX



ირნესტ ჰემინგუეის საგანგებოდ რომ დაფიქრებოდა გაბრიელ გარსია მარკესი, რათა წლობით ნაგრძობ-განსჯილი ესეიდ გარდაესახა, თანაც ყველაზე ღრმადინტიმური გადმოსახედიდან, რასაც გულისხმობს სიტყვა „ჩემი“, და პორტრეტული შტრიხების მონახაზი ასეც დაესათაურებინა: „ჩემი ჰემინგუეი“ — ძალდაუტანებლად უნდა ნამოტივტივებოდა უილიამ ფოლკნერის სახეობაც, და შეპირისპირებითი განსჯის ღრმადინტიმური ნიმუშიც ებოძებინა ჩვენთვის.

ამასთან თავისი სულიერი წინამორბედები გაემჟღავნებინა, თავის მხატვრულ ძიებათა გზაგამკვალავნი.

თვითონ ასე მოიხსენიებდა: ჩემს მავსტროდ ორი ჩრდილოამერიკელი მწერალი მიმაჩნდა, რომელთაც ერთმანეთთან ცოტა რამ თუ ჰქონდათ საერთოო.

იმ დროისათვის გამოცემული მათი ყველა ნაწარმოები წაეკითხა და მისთვის ეს უბრალოდ საკითხავი მასალა კი არ გახლდათ, არამედ ლიტერატურული ჟანრის ორ განსხვავებულ და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა.

ერთი მავსტრო — უილიამ ფოლკნერი — არასოდეს ენახა და მხოლოდ ისეთად თუ წარმოიდგენდა, როგორც კარტიე ბრესონს თავის ცნობილ ფოტოზე აღებუქდა: ორი თეთრი ძაღლის გვერდით მდგომი მკლავებდაკაპინებული ფერმერი, ცალი ხელი მკლავზე რომ შემოედო.

მეორე მავსტრო კი ნამიერად ნანახი ადამიანი გახლდათ, ტროტუარის მეორე მხრიდან რომ დაეყვირა მისთვის: შეხვედრამდე, მეგობარო!.. და ისეთ შეგრძნებას დაუტოვებდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მომხდარიყოს მის ცხოვრებაში, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრებოდა.

ეს მოხდებოდა 1957 წლის ერთ წვიმიან დღეს პარიზში, სან-მიშელის ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, ლუქსემბურგის ბაღისაკენ მიმავალს რომ დაინახავდა, და ხელისგულებს ტარზანით აიფარებდა პირზე და დაუყვირებდა:

— მავსტროო!
და მამინ იქნებოდა, ის ხელის აწევითა და ოდნავ ბავშვური ხმით კასტილიურად რომ გამოსძახებდა:

— შეხვედრამდე, მეგობარო!
ეს ყოფილი დეტალი ძალდაუტანებლად განზოგადდება ჩვენს წარმოსახვაში და იქ, სივრცეებში შეხვედრაზე მიგვანიშნებს.

იქ, სივრცეებში შეხვედრაზე მიგვანიშნებდა ის დეტალიც, მარკესი უნებლიეთ რომ გადაჰყროდა ფოლკნერს და მისთვისაც „მავსტრო“ მოეძახა, მას კი ხმისგაუღებლად ჩაევილო.

ნეტა ვის ეთქვა: ჩვენ, მწერლები სხვა მწერალთა რომანებს მხოლოდ იმიტომ ვკითხულობთ, რათა გავერკვეთ, წერის რა საშუალებებს ფლობენ ისინიო?

მთქმელს ვერ იხსენებდა მარკესი, თუმცა დათანხმებით ეთანხმებოდა, ეს ნამდვილად ასეაო, და თავის მხრივ ამ პროცესის აღდგენას მოინდომებდა:

ჩვენ ნაწარმოების ერთხელ წაკითხვით ვერ ვკმაყოფილდებით, წიგნის გვერდებს წინ და უკან ვფურცლავთ, ტექსტის გამიფრას ზოგან ვცდილობთ და მას რაღაც უჩვეულო წესით ვანანევრებთ; და მერე, როგორც კი მწერლის შემოქმედების საიდუმლოს ამოვიცნობთ, ტექსტს პირვანდელ სახეს ვუბრუნებთო.

და ამ ზოგად ფონზე უნდა შემოსულიყო თხრობაში ერთი მხრივ უილიამ ფოლკნერის პოეტიკისა და სტილისტიკის ღრმა და მახვილგონივრული შეფასება:

მისი წიგნის კითხვისას ამ მცდელობას მხოლოდ იმედგაცრუება რომ მოჰქონდა, რადგანაც იგი წერის ორგანულ სისტემას თითქოსდა არ ფლობდა და მინდორზე გამკვებული თხების არვესავით ბრმად მიუყვებოდა საკუთარ ბიბლიურ სამყაროს. და მის მიერ დაწერილ გვერდს როცა ანანევრებდი, ისეთი განცდა გიჩნდებოდა, რომ მისი ხელახლა აწყობისას ზედმეტი ჭანჭიკი ან ზამბარა დაგრჩებოდა და შეუძლებელი შეიქნებოდა ტექსტისათვის პირვანდელი სახის დაბრუნება.

და მეორე მხრივ ღრმა და მახვილგონივრული შეფასება ერნესტ ჰემინგუეის პოეტიკისა და სტილისტიკისა:

იგი პირიქით — ნაკლები შთაგონებით, მღელვარებითა და სიგიჟით, თუმცა აშკარად და დაუფინებით, გარეთ, დასანახად რომ გვეიტოვებდა ჭანჭიკებსა და ზამბარებს, როგორც ამას მატარებლის ვაგონებზე ვხედავდით.

და სწორედ ამ განსხვავებაში დაინახავდა მიზეზს მარკესი, რომ:

ფოლკნერი უშუალოდ ეხმაურებოდა მის სულს.

ხოლო ჰემინგუეისთან უფრო მეტად საქმიანობა აკავშირებდა, და არა მხოლოდ მისი ნაწარმოებების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი ოსტატურად ფლობდა წერის საოცარ ხელოვნებას.

ეს სულიერი თანახიარობა ფოლკნერთან, ეს განსაკუთრებული სიახლოვე მის მხატვრულ ხილვებსა და წარმოსახვებთან გამოარჩევინებდა „სარტორისის“ შემოქმედს იმ ღირსსახსოვარ დღესაც, როდესაც თავისი წინამორბედით მარკესიც წარმოთქვამდა სიტყვას ნობელის პრემიის მიღებისას, აგებულს ლათინური ამერიკის მარტოობაზე, და ფოლკნერს თავის მასწავლებლად მოიხსენიებდა.

დაისაჭიროებდა იმის იმ სიტყვას, ამ პრემიის მიღებისას რომ წარმოეთქვა და განეცხადებინა:

ვერ შევგუებუი ადამიანის აღსასრულსო.

და მარკესს უშუალოდ ეს შეგრძნება, ეს განწყობილება უნდა გაეგრძელებინა:



მე არ ვიქნებოდი ღირსი იმ ადგილზე დგომისა, სადაც იგი იდგა, თუკი ვერ გავაცნობიერებდი, რომ უზარმაზარი ტრაგედია, რომლის შესაძლებლობაც მან ოცდაცამეტი წლის წინათ უარყო — იგულისხმება დრო 1949 წლიდან 1982 წლამდე — ან გაცხადებულაო.

ჰემინგუეისთან შეპირისპირებისას ჭანჭიკებსა და ზამბარებს რომ ახსენებს და ჩვენი ყურადღებას აქეთ უფრო გადადის, არ უნდა გამოგვეპაროს ის თითქოსდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზა: ფოლკნერი საკუთარ ბიბლიურ სამყაროს რომ ჰქმნის.

სწორედაც საკუთარ ბიბლიურ სამყაროს, რაც კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ბიბლიური მოტივები თუ პროტოტიპები, ზედაპირზევე რომ მოჩანს და დიდი რამ კვლევადი არ ესაჭიროება.

ეს სიტყვები ისეთივე გზაბილიკია მკითხველისათვის ფოლკნერის იდუმალ სამყაროში შესაღწევად, როგორ გზაბილიკებსაც ფოლკნერი გაგვიჭრიდა ჯიემზ ჯოისისაკენ:

„ულისეს“ ისევე უნდა ვკითხულობდეთ, როგორც უნიგნური ბაპტისტი კითხულობს ბიბლიას — რწმენითო.

და კიდევ ალბერ კამიუსა და ერნესტ ჰემინგუეისაკენ:

მთელი სიცოცხლე ღმერთს დაეძებდნენ და, როდესაც იპოვნეს, მის ხილვას ვეღარ გაუძღვსო.

რაც მიგვანიშნებდა, რომ ერთის ტრაგიკული აღსასრული და მეორის თვითმკვლელობა არსებითად ერთსადაიმავე შეგრძნებასა თუ ხილვას გამოეხვეია.

მახსოვს: როდესაც ოთარ ჩხეიძე წაიკითხავდა „მარტორისის ას წელიწადს“, იტყობდა:

— არც ხულიო კორტასარია ამხელა და არც მარიო ვარგას ლიოსა, გაბრიელ გარსია მარკესმა სამხრეთამერიკული ბიბლია შექმნა.

ერთხანს დადუმდებოდა და დასძენდა: — ისევე როგორც უილიამ ფოლკნერმა ჩრდილოამერიკული ბიბლია.

და მოგვიანებით უნდა მივმხვდარიყავი, უპირველესად იმ რომანს რომ გულისხმობდა: „გარდავედ, მოსე!“

დაწერით კი აღარ დაუწერია, აღარ გაუშლია ეს დაკვირვება, რაც არამცთუ ესეისა თუ სამეცნიერო ნარკვევს, შეიძლება სულაც მონოგრაფიას დაედოს საფუძველად, ერნესტ ჰემინგუეის სტილურ თავისებურებას, მის მიერ მოტანილ სტილურ სიახლეს კი საგანგებოდ უნდა ჩაღრმავებოდა ესეიმი „ეპიკური სტილის დასაცავად“, რომელშიც უნდა განეცხადებინა, რომ:

„მშვიდობით, იარაღს“ შემოქმედი არ გახლდათ ეპიკური სტილის პატრონი, და მისი სტილის შეკუმშულობა აქედან მოდიოდა — ის, რაც კლასიკურ რომანებში მხატვრულ ხერხად გამოიყენებოდა, ჰემინგუეის სისტემად ექცია და... კიდევ აღმოჩენილიყო ლამის გადაუღახავი დაბრკოლების წინაშე, მის მრავალრიცხოვან მიმბაძველთათვის სწორედ რომ გადაუღახავად იქცეოდა სტილის ეს შეკუმშულობა.

და ნიშანდობლივად მიიჩნეოდა ოთარ ჩხეიძე:

„მოხუცი და ზღვა“ თავდაპირველად რომანის ფრაგმენტად რომ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ მწერალი მიხვდებოდა, გაგრძელება რაღაცას რომ მოაკლებდა ამ თავისთავად უკვე სრულყოფილ თხზულებას,

როსტომ ჩხეიძე ულამაზისი სიცოცხლის უტოპია

რომანის ქარგაში მოქცევა დააზიანებდა და ჩაკარგავდა, და ამიტომაც შემდგომ უკვე დამოუკიდებელ მოთხრობად დაამკვიდრებდა.

გაბრიელ გარსია მარკესიც ამასვე უნდა გულისხმობდეს, როდესაც აცხადებს: ჰემინგუეის რომანები უზარმაზარ მოთხრობებს ჰგავს, რომლებშიც ბევრი რამაა ზედმეტიო.

სამაგიეროდ: ყველაზე კარგი, რაც მის მოთხრობებს მოეპოვებოდათ, ის შთაბეჭდილება გახლდათ, როდესაც მკითხველს ეგონა, რომ თითქოს მათში რაღაც გამოტოვებულიყო და სწორედ ეს ანიჭებდათ ჩვეულ მისტიკურ ხიბლსა და სილამაზეს.

და შორდარებისათვის მოიხმობდა ხორხე ლუის ბორხესის მხატვრულ ძიებათა თავისებურებას:

მასაც ასევე ჰქონდა დადგენილი საზღვრები, თუმც მან ჭკუა იხმარა და არ გადააღახა ისინიო.

დაიხ, ბორხესი ამჯობინებდა დარჩენილიყო ლირიკოსად და არ გამოჰკიდებოდა მისთვის ნაკლებად მარჯვე ეპიკურ სტილს.

ჰემინგუეის შემოქმედება რომ გადასვებულიყო მარტივი და ბრწყინვალე აღმოჩენებით — მარკესის მიხედვით — ეს ადასტურებდა იმის გახმაურებულ მოსაზრებას, მწერლობა რომ აისებურეს უნდა მგვანებოდა და ძლიერი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ ქვემოთ, მის საფუძველს საკუთარ მოცულობაზე რვაჯერ დიდი ძალა წარმოადგენდა.

სწორედ ამგვარ ტექნიკურ მიდგომაში დაინახავდა მიზეზს, რომ ჰემინგუეისათვის არა რომანებს, არამედ მოთხრობებს რომ მოეტანა წარმატება. და ნამიერი შთაგონების წყალობით შექმნილი ეს მოთხრობები ამიტომაც გახლდათ უზადლო იმ სამი მოთხრობის მსგავსად, 16 მაისის ერთ საღამოს მადრიდის ერთ პანსიონში რომ დაეწერა: „მკვლელები“, „ათი ინდიელი“ და „დღეს პარასკევია“ — რომელთა მიმართაც მარკესი ამ აღმატებულ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა: გენიალურიოა.

გამოარჩევდა იმ თხზულებასაც: „მდინარის გაღმა, ხეები ჩრდილში“ — თავიდან მოთხრობისად რომ ჩაიფიქრებდა ჰემინგუეი, მაგრამ თანდათანობით რომანის გაუვალ ჯუნგლებში შთაინთქმოდა, საბოლოოდ კი ეს აღმოჩნდებოდა მთლიანად მისი სულიერებით განმსჭვალული ქმნილება.

ამის ფსიქოლოგიურ სათავეს მარკესი მიაკვლევდა იმ განწყობილებაში, თხზულება შემოდგომის იმ განთიანისას რომ

დაინერგებოდა, როდესაც მწერალი გარდასული დროის დაუძლეველი ნოსტალგიითა და დარჩენილი მცირე წლების წინათ-გრძნობით შეპყრობილიყო:

— ჰემინგუეის არცერთ ნაწარმოებში არ წარმოუჩენია თავი ასე შთამბეჭდავად, ასე ლამაზად, ნაზად, და სხვაგან არსად აღუწერია საკუთარი შემოქმედების და სიცოცხლის მთავარი გრძობა, გამარჯვების ამოება. მისი მთავარი გმირის ეს ერთი შეხედვით ასეთი ბუნებრივი და მშვიდი სიკვდილი კი საკუთარი თვითმკვლელობის მაუწყებელ გაფრთხილებას ჰგავდა.

მარკესს თავის თავზე უნდა გამოეცადა, რომ:

როდესაც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში მისი საყვარელი მწერლის შემოქმედებით ცხოვრობდა, შესაძლოა მასში მწერლის სამყარო და რეალობა ერთმანეთს შერწყმოდა.

და ამიტომაც ატარებდა ძალიან დიდ დროს და ბევრსაც კითხულობდა სან-მიშელის მოედანთან მდებარე იმ კაფეში, სადაც ჰემინგუეის მოსწონდა წერა, რადგან იქაური გარემო სასიამოვნო, თბილი, სუფთა და კეთილი ეჩვენებოდა.

იტალია, ესპანეთი, კუბა და ნახევარი სამყარო გადავსებულიყო ადგილებით, მას ერთხელ მოხსენიებით რომ მიესაკუთრებინა. კონიარში კი, ჰავანას შორიხლოს, პატარა სოფელში, სადაც „მოხუცი და ზღვის“ მარტოსული მეთევზე ცხოვრობდა, მისი გმირობის პატივსაცემად სვეტიბიანი თაღის ქვეშ ჰემინგუეის ბრინჯაოს ბიუსტი დაედგათ... ყველაფრისათვის, რასაც შეხებოდა, თავისი მაგიური ძალა შთაენერგა, და ამიტომაც არ უკვირდა მარკესს, ჰემინგუეის აჩრდილი ხშირად კვლავ იქ რომ იმყოფებოდა, სადაც მასთან შეხვედრას ყველაზე ნაკლებ ელოდებოდა — მუდმივად და თან თითქოს ნამიერად, როგორც მაისის იმ დღით, როდესაც სან-მიშელის ქუჩის მოპირდაპირე ტროტუარიდან უნდა გადმოეძახა უმცროსი თანამოკალმისათვის: შეხვედრამდე, მეგობარო!..

ესეისტიკის ეს შედეგები — „ჩემი ჰემინგუეი“ — ერთ-ერთ საყრდენად უნდა ქცეულიყო „ინტელექტის“ 25-წლოვანი იუბილის აღსანიშნავი სერიისათვის საგანგებოდ მომზადებული კრებულისა: „საუკუნის სკანდალი“ — რომელიც ელზა ახვლედიანსა და მკა გოგოლაშვილს უნდა აემუტყველებინათ ქართულად, და გავცნობოდით აღიარებული მწერლის ჟურნალის-ტურ თხზულებებსა და ესეისტიკას, წიგნის საერთო სახელწოდებად შერჩეული ყველაზე ვრცელი რეპორტაჟი ერთ-ერთ მთავარ საყრდენად რომ უნდა ქცეულიყო, რეპორტაჟთა ციკლში კი როგორღაც მიფარებულიყო მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური ნააზრევი, თუმც ვამჯობინებდი, ამჯერად ამ კვალს უფრო გავყოლოდი, ლიტერატურისა და რეალობის შედარება კარიბის ზღვის ფონზე მარკესს ამასაც რომ ათქმევინებდა („ზოგი რამ ლიტერატურისა და რეალობის შესახებ“):

გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ვალი-აროთ, რომ რეალობა ჩვენზე უკეთესი მწერალია. ჩვენი დანიშნულება, ხანდახან დიდებაც კი ისაა, რომ შეძლებისდაგვარად მორჩილად მივყვეთ მასო.

ეგონებოდა, რომ („ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი პოეზია“):

რეალურად არსებობდა ის დრო, როცა ხალიჩები მართლაც დაფრინავდნენ, ჯინები კი ბოთლებში გამოშწყვეულიყვნენ.

ბიბლია ირწმუნებოდა — და ამასაც ეგონებოდა — რომ:

ვალამის ვირს ლაპარაკი მართლა შეეძლო. დანანებით კი ის ენანებოდა, მის ხმის ჩანერა რომ ვერ მოხერხებულაო.

და ისო ნავინს იერიქონის კედლები საყვირთა ხმებით რომ დაენგრია, გულდასაწყვეტი ის ეჩვენებოდა, იმ წგრეთის მუსიკა რომ ვერავის ჩაენერა.

მეტიც: ეგონა, ამქვეყნად ბევრი მსგავსი სასწაული ახლაც ხდებოა.

და... მათ დანახვას რომ ვერ ვახერხებდით?

ამაში მეტწილად ბნელ რაციონალიზმს დაადანაშაულებდა, თავში ლიტერატურის ცუდ მასწავლებლებს რომ ჩაეჭვდათ ჩვენთვის.

არა, სხვაგვარად ნუ გავუგებდით: ძალიან უყვარდა მასწავლებლის პროფესია და დიდ პატივსაც მიაგებდა მათ; ამიტომაც წყდებოდა გული, რომ ეს ადამიანი-

ები განათლების სისტემას ეწინააღმდეგებოდა და სწორედ ეს აიძულებდათ, მსგავსი სისულელეები ელაპარაკათ.

და მადლიერებით გაიხსენებდა ბაკალავრიატის ლიტერატურის მასწავლებელს, რომელიც საგულისხმო ნიგნების ლაბირინთებში წინასწარ მოფიქრებული ინტერპრეტაციების გარეშე დაატარებდათ და ასეთი მეთოდი მის მოსწავლეებს საშუალებას აძლევდათ, პოეზიის სასწაულში დამოუკიდებლად და თავისუფლად მიეღოთ მონაწილეობა.

თავისებურად გააგრძელებდა ამ საფიქრალს ის ესეი: „ლიტერატურის შესწავლა დაუტანჯავად“ — რომელშიც გაგვიზიარებდა იმ ალბათ მეტისმეტად პირადულ და მარტივ იდეას, რომ:

ლიტერატურის გონივრულად შედგენილ კურსს კარგი გზამკვლევის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომელიც გირჩევდა, რა უნდა ნაგეკითხა. არცერთ ეპოქაში არ ეარსება იმდენ მნიშვნელოვან ნიგნს, როგორც ამას მასწავლებლები ირწმუნებოდნენ. ისინი ამით მხოლოდ მოსწავლეებს ატერორებდნენ და ეს სიამოვნებას ჰგვრიდათ. არადა ყველა მნიშვნელოვან ნიგნზე რომ გვემსჯელა, ერთი საღამოც კმარა, თუკი... რა თქმა უნდა ამ დროს ქორწინება ნასვლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ნიგნების რაოდენობა დიდი რომ არ გახლდათ, ამას ბედნიერებად მიითვლიდა.

ბიბლიის, „ოდიხასა“ და „დონ კიხოტის“ გარდა თავის სიაში ჩამოწმებდა: „ათას ერთ ლამეს“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“, ჰერმან მელვილის „მოზი დიკს“, ხოსე მარია ბლეკუს ანთოლოგიას „ესპანური ლირიკის ფეორესტა“, რომელიც დეტექტივივით იკითხებოდა, და „კასტილიური ენის ლექსიკონს“, ცხადია გამოცემულს არა სამეფო აკადემიის მიერ.

ეს ჩამონათვალი პროფესიულ თვალსაზრისს ემყარებოდა, თუმც „მოზი დიკამდე“ მისასვლელ გზას მარტივად არ გაივლიდა. თავდაპირველად მის ადგილს ალექსანდრ დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ იკავებდა, რომელსაც სტრუქტურული თვალსაზრისით სრულყოფილ რომანად მიიჩნევდა, მაგრამ მერე მიხვდებოდა, რომ ამ ასპექტს „ოიდიპოს მეფე“ უკეთ აკმაყოფილებდა. მოგვიანებით ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაზე“ იფიქრებდა, რადგან — მისი აზრით — ის ისტორიული უანერის საუკეთესო რომანი გახლდათ და ნამდვილად მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

აი „მოზი დიკის“ შესახებ კი მხოლოდ იმის თქმა შეეძლო:

მისი ანარქისტული სტრუქტურა ლიტერატურაში ყველაზე მშვენიერ უნესრიგობას ქმნის, რომელმაც მითოსის სულისკვეთებას შთამბერა და მაძულა წერა დამეწყო.

ხოლო ხორხე ლუის ბორხესის სიტყვებს რომ გაიხსენებდა („მოდის ლიტერატურაზე ვილაპარაკოთ“) მისი ერთი ადრინდელი ინტერვიუდან:

დღევანდელი ახალგაზრდა მწერლების პრობლემა ის არის, რომ წერის დროს მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, წარმატებულნი იქნებიან თუ წარუმატებულნი.

მარკესის თვალში სანიმუშოდ ის და სწორედ ის გამოიყურებოდა, რომ:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბორხესი მხოლოდ თავისთვის წერდა.

ამასვე უმეორებდა იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომელნიც ცხოვრების გზაზე გადაყრდნენ, და მათ შორის ისეთი მწერლებიც ენახა, სწრაფად, ქაოტურად რომ ცდილობდნენ რომანის დამთავრებას, რათა კონკურსში მონაწილეობის მიღება მოესწროთ.


და ენახა ისეთებიც, უარყოფითი კრიტიკის დროს ან გამომცემლობის მხრიდან ნაწარმოების დაბეჭდვაზე უარის შემთხვევაში სრულ დემორალიზაციას რომ განიცდიდნენ.

ერთს მისთვის ცინიკურად ესეც კი ეთქვა:

ვიდრე რაიმეს დაწერდე, ბევრი უნდა იფიქრო, რადგან შენს თხზულებებს მთელი მსოფლიო კითხულობს! მე კი — პირიქით, შემოდის ძალიან სწრაფად ცნერო, რადგან ჩემს ნაწერებს ძალიან ცოტა ადამიანი თუ წაკითხავს.

ერთ ინტერვიუში რომ იტყოდა მარკესი:

ერთადერთი, რაც მუსიკის მოსმენაზე უკეთესია, მასზე ლაპარაკის სურვილიაო.




მოგვიანებით ამ საკითხს უფრო სიფრთხილით მოეკიდებოდა და მიხვდებოდა: ლიტერატურაზე კარგ საუბარს ნამდვილად კარგად წერა რომ სჯობდა.

მიაჩნდა, რომ („როგორ იწერება რომანი?“):

მოთხრობის დახვევით მწერალი გამოუსწორებელ საქციელს სჩადიოდა, რადგან მისი წერა ბეტონის ჩასხმას ჰგავდა, რომანის წერისას კი თითქოს აგურებს ალაგებდა. ეს კი ნიშნავდა, რომ თუ მოთხრობა პირველ ცდაზევე არ გამოვიდოდა, სჯობდა ამ საქმეს შეშვებოდი. ხოლო რომანს ადვილად მოეკვებოდა: შეგეძლო მისი წერა სულ თავიდან დაგეწყო.

ისე მოხდებოდა, რომ რომანის — „ფოთოლცვენა“ — ერთ-ერთ თავს ამოაგდებდა და დასახვევად გაიმეტებდა, მაგრამ ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი ამ ნახევებს ამოიღებდა ნაგვის ყუთიდან, ნებოვანი ლენტით ალაგებდა და მოინდომებდა მის დაბეჭდვას ცალკე მოთხრობად. და ავტორს რომ ჰკითხავდა: სათაურად რას დაარქმევო? და ის კი ზოგ-



ადად მიუგებდა: აბა, რა ვიცი, რადგან ეს მხოლოდ იზაბელის მონოლოგია, რომელიც მაკონდომი წვიმას გაჰყურებს — რედაქტორი სწორედაც ამ სიტყვებს შეარჩევდა სახელწოდებად: „იზაბელის მონოლოგი, მაკონდომი წვიმას რომ გაჰყურებს“.

და ნაგვის ყუთიდან ამობრუნებული მოთხრობა კრიტიკოსთა და მკითხველთა საუკეთესო შეფასებას დაიმსახურებდა.

ეს შემთხვევა იმაში დაეხმარებოდა, რომ იმ ტექსტების ორიგინალთა დახვევა შეენწყვიტა, დაბეჭდვისათვის შესაფერისად რომ არ ეჩვენებოდა?

სწორედაც პირიქით — ის შემთხვევა ასწავლიდა, რომ ისინი ისე დაეხია, მათი აღდგენა შეუძლებელი გამხდარიყო.

„ნობელის პრემიის მოჩვენება“ კი ამჟღავნებდა მწერალთა საყოველთაო საფიქრალ-სადარდებელს, ყოველ წელს რომ უდგებოდათ ისეთი დღეები, როდესაც ერთი მოჩვენება არ აძლევდათ მოსვენებას — ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

ცუდი ის იყო, რომ: საბოლოო შედეგი არც თვით კანდიდატსა და არც ღვთის სამართალზე არ გახლდათ დამოკიდებული და მთლიანად შვედეთის აკადემიის წევრთა იდუმალ ნებას ეფუძნებოდა.

როგორ მოქმედებდნენ აკადემიის წევრები, როგორ თანხმდებოდნენ ერთმანეთში, რა იყო მათი რეალური მოვალეობა, რაც მათ პრინციპებს განსაზღვრავდა?

დაე შევგუებოდით, რომ: ეს თანამედროვეობის ყველაზე დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა.

მათი კრიტიკიუმები არაპროგნოზირებადი გახლდათ, ურთიერთგამომრიცხავი, გასაიდუმლოებული, მათი ამოცნობა და გასაჩივრება — შეუძლებელი.

და ირონია გაეროდა მარკესის ხმაში: — მათი ქმედებანი ასეთი სერიოზული რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა გვეფიქრა, რომ წინასწარ გაკეთებული პროგნოზები სიცილად არ ჰყოფნით, თუმც სიკვდილთან მიახლოებას ამ ადამიანებისათვის არავინ გვაგრძნობინებს.

ვინ-ვინ და, გაბრიელ გარსია მარკესი გააღწევდა ამ საიდუმლოებით აღსავსე ლაბირინთებს, და ამ მიღწევას თვითონ ასე ხსნიდა, ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში რომ გაამჟღავნებდა:

თვითეულ სტრიქონში მეტ-ნაკლები წარმატებით ვცდილობ პოეზიის ჯიუტ სულს ვუხმობ; ვცდილობ ყოველ სიტყვას ჩემი ღვთისმოსაობის ნაკვალევი დავატყო, როგორც სიკვდილის პირქუში ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული მარადიული გამარჯვების დასტურით.

მის ამ საბანკეტო გამოსვლასაც და სა-ნობელო ლექციასაც „ინტელექტის“ წყალობით გავეცნობოდი, ლინდა ბერიამ-ვილის თარგმანის მეშვეობით, „ნობელიანტების ლექციები“ ჩვენს სამაგიდო ნიგნად რომ ქცეულა და ერთ-ერთ სანდო გზამკვლევად ამ უკიდევანო სამყაროში, ხოლო ტრიბუნაზე შემდგარი მარკესი ფოლკნერის აჩრდილს რომ გახედავდა იდუმალი მზერით, იმის რწმენას თავისას შეაგებებდა ანუ მასწავლებლის დაწყებულ ასე გააგრძელებდა და დაავიწყებებდა:

— ამ საშინელი სინამდვილის პირისპირ, რომელიც მუდამაჟამს უტოპია ეგონა კაცობრიობას, ჩვენ, მოხვევლებს, რომელთაც ყველაფრის დაჯერება ძალგვიძს, გვაქვს უფლება ვირწმუნოთ ისიც, რომ ჯერაც არაა დაგვიანებული, შევუდგეთ აზრობრივად სრულიად საპირისპირო უტოპიის შექმნას — ახალი ულამაზესი სიცოცხლის უტოპიას, სადაც არავინ გადანყვეტს სხვის ნაცვლად, როგორ უნდა მოკვდეს, სადაც დავიანებს ჭეშმარიტი სიყვარული და ნებადართული იქნება ბედნიერება, და თაობები, გაჩენის დღიდან განწირულნი მარტოობის ასი წლისთვის, ან და მარადის მიიღებენ დიდ ქვეყნიურ ხედვებს.

და პოეზიის ჯიუტ სულს რომ გამოიმობდა და ყოველ სიტყვას თავისი ღვთისმოსაობის ნაკვალევისა და ატყობდა, ცალკე ძველ ალტემას დაიდებდა თარგად და ნიმუშად, ცალკე უილიამ ფოლკნერის ჩრდილოამერიკული ბიბლიის კვალს გაჰყვებოდა და... კიდევ მიეტანებოდა სამხრეთამერიკულ ბიბლიას, მიეტანებოდა და აზი-დავდა, აზი-დავდა და შეათამაშებდა მზის სხივებში...



ლია სტურუა

 მზიან დღეს ვიგონებ, ვანანილებ
 ფანჯარაში დასანახ ნაჭრებად —
 თაფლიანი პური ყველასთვის:
 მე კი ვიცი ამ ტყუილის ფასი,
 მაგრამ სანახაობაზე ხარბებს უხარიათ.
 როცა რამეს იგონებ, პირველი ხომ არ ხარ,
 შენც ღმერთმა გამოგიგონა და სხვებიც,
 მშობლებმა მაგდისხელა ეზოებში
 ვაშლის ხეები დარგეს, „დილას ვაშლი —
 გულზე ვარდი“ — მიაყოლეს და შვილები
 ჯიუტად მეტაფორულები გამოუვიდათ.
 ამაზე ვწერ. სათქმელის სიმართლე
 და ხელოვნურად გატკბილებული გარემო
 გაუგებარ შესაბამისობაში მოდიან
 სიტყვებს ვუყვარვარ? რა სისულელეა!
 სიტყვებს ერთმანეთი უყვართ, თუ სძულთ,
 მაშინ ჩავერევი, დუღილის ტემპერატურას
 შევუნარჩუნებ, ანუ პათოსს,
 შაქარყინულს მივცემ, აუსვან ენა
 და როცა სიმსუყვის იგრძნობენ,
 ისეთს, სილუეტის გამხვევს, ესენიც ამყვებიან,
 რა ჩემი საქმეა დალაგებული ფრაზები,
 მათი ნელთბილი კომფორტი?
 სიტყვა ყვირის, პირღია ხმოვნებიდან
 გლანდები უჩანს! თაფლი კი მოუხდებოდა,
 ანუ მელოდეკლამაცია, მაგრამ სიტკბოს
 ნაპრალი არ აქვს, ტრაგედიას ვერ ითამაშებ.
 კათარზისები
 თეატრალურ გულჩვილობას შემოეჭამა...

აღდგომა

მივდივარ სტუმრად, პალტოს ვიხდი,
 ფაიფურის ბუკოლიკა ზუსტად იმდენია,
 რომ სენტიმენტალური აქცენტები გამაკეთებინონ,
 ლამის, დავბრუნდე, მაგრამ მასპინძელი
 ისეთი შეუძლებელი ხმით, თითქოს,
 ერთ-ერთი კრავი გაისრისა ხელისგულეში,
 მეუბნება: — ცხელა, გაიხადეთ!
 და რახან აღარაფერი მაქვს ჩასახდელი,
 თავაზიანი ღმილით მხდის ტყავს.
 არ გაუგია, რას ნიშნავს ტყავიდან ამოხტომა,
 ანუ საკუთარი თავიდან? ლიტერატურაში,
 მაინც, არ წაუკითხავს ამის შესახებ?
 დაპატარავდა ქვეყანა. აიღებ მინდორს,
 მყინვარს მიაბჯენ და იქიდან რომ ჩამოვარდები,
 ყაყაჩოს დაინახავ.
 როგორია სიკვდილი ყაყაჩოთი თვალეში?
 ფეთქებადი, წყნარი, უფრო ძნელი?
 იქიდან არ ჩანს,
 სისხლიან აქცენტებს აქ გააკეთებენ,
 მერე, როცა პალტოს ავიღებ,
 ალისფერზე ჩავიცვამ და გარეთ გამოვალ,
 შინაურ სევდიანებს ვეტყვი, რომ
 ენდროში შემდეგს, სხვებს? — თუ
 მკვდარ მხატვარს ვუყვარვარ, კაბა
 პირდაპირ სისხლზე უნდა მეცვას-მეთქი.
 აღდგომა ღმერთის და მხატვრებისაა,
 დამინახავს ალისფერს და გაიხარებს,
 მერე ვინმე კრეატიულ ტიპს ვთხოვ:

ისევ ლურსმანზე ჩამოქვიდოს, ტყავთან ერთად,
 ჩამაქროს შემდეგ აღდგომამდე...

ასეთი პარადოქსი

— ჭავჭავაძეზე ლიანდაგი რომ აყარეს,
 ტრამვაების ბარიკადებზე მართლა ახვედი? —
 რიტორიკული შეკითხვა საკუთარ თავს. —
 რა ზარი იდგა, ფიცხი ნითელი!
 ეს შინაგანი ცეცხლი, დიდხანია, დაიმტკიცე,
 წყლის ჭიქაში ლექსიანი ფურცელი ჩადე,
 განითლდა, მაგრამ ლაკმუსობის საბუთს
 ვინ მოგთხოვს, გამეღვლეებს
 დასანახი ცეცხლი ურჩევნიათ,
 თვალეში ჩაიდონ და მოპირდაპირე სქესი
 მიიზიდონ, მერე რა, რომ ანარეკლია?
 ხანძარი, ისედაც, აღარ არის,
 ნაპერწკლები პატარა-პატარა კერებში ჩნდება,
 ძვლიან ადგილებში: მუხლებში, იდაყვებში, ნიკაპზე,
 ტკივილისაგან ჩნდება,
 მთავარია, ესთეტიკამ არ გადაძლიოს,
 დეკორატიული არ გახდეს,
 გაუფრთხილდი ამ ცეცხლს!
 შენს უარტიკლო ენაში
 ის, აშკარად, მამაკაცურია,
 სიცხარის ხარისხი შეუნარჩუნე, ეს იმყოფინე,
 თორემ კლასიკური განათლებაც ხომ არსებობს,
 ტრადიციული მორალი, ვის გააგებინებ
 როგორია, გრამატიკას რომ მისთხოვდი, მაგრამ
 მარტო მეტაფორა გიყვარს?!

— ძნელია შემოდგომა — ვფიქრობ,
 განსაკუთრებით, როცა ივლისის ბოლოს,
 შუბლზე მოულოდნელი ზაფრანა ამომივიდა
 ჩვეულებრივ ქალაქში: კორპუსებს, ნავის ბუნკერებს,
 ნახმარ და განვადებულ მანქანებს შორის გაჩხერილს,
 შუბლზე ტროპი ამომივიდა!
 არ ვიცი, ფილოლოგიურმა წარსულმა,
 თუ გარყვნილმა ფანტაზიამ,
 ყველაზე იოლად მისანვდომი ნერვები გამომქაჩა
 და ასეთი შედეგი მიიღო.
 თეორიულად სულ შემეძლო
 ორ თვალს შორის მესამე,
 თეძოებზე — იასამნის ბუჩქები — შვილები,
 მაგრამ 30 წლის შემდეგ
 აყვავებული ქალები სადღა არიან?
 შუბლზე, შეიძლება, ფარგალი ამოგივიდეს,
 ან ციფრები კვადრატული ფესვიდან,
 ან, სულაც, რქა (მარტორქები, ბეკეტები),
 ვის რად უნდა ეს სირთულე?
 ყვავილს რომელიმე საჯარო მოხელე მომაგლეჯს,
 კანონის ენით, კონფისკაციას გაუკეთებს,
 ჩემი ახირებული მტკიცების მიუხედავად,
 რომ შვილების გაჩენა თავიდანაც შემეძლია
 (საბუთი — მითოლოგიური პანთეონი,
 იურისდიქცია არავისი), მაინც მერჩიან:
 — რა ფოკუსების კეთება აუტყდა
 ამ საშუალო მომხმარებელს,
 კანონმორჩილ მოქალაქეს? (ასე ჰგონიათ)
 როცა ჯოგები, ფარები, ნახირი
 საძოვარზე გარეკეს...

დეკადანსი

საქმე თუ არ გაქვს, უნდა გამოიგონო.
 ამინდს იგონებ, ადამიანს და ეს რაღაა?
 ორ ცოცხალ საქმეს შორის
 ჰაერი მოცისფროა,
 სოციალურ ქსელებში თუ გაგაბეს
 და ვირტუალური ობობა ტვინს და სისხლს გწოვს,
 ამინდი სადღაა,
 მზის ჩასვლა გაგინთლოს თვალნი,
 ნითელი მთელი ეკრანი სისხლია —
 პატარა სიკვდილი.
 ნამდვილამდეც რა დაგრჩა?
 საქმეს იგონებ, რომ არ იფიქრო,
 რა მოცისფრო ჰაერი იცის
 ორ ადამიანს შორის, გრძნობები რომ გახურდება,
 ლურჯდება, რამდენი ნათურა გადანვა ამ ლურჯმა:
 100 და 200 სანთლიანი.
 ასეთი ელვები, ორ მკერდს შორის, კლავს,
 გადატანითი მნიშვნელობით
 პირდაპირით — ელექტრობა ფიზიკაა,
 სექსის მისტიფიკაცია გულღებრყვილობა,
 სცენა დროის მოკვლის საშუალება
 და არა ალგზნების, ამ ალგზნებასაც
 სოფიტები გადაეწვა, გამნათებლები მშვირები დადიან,
 კათარზისს ქათქათა თეთრზე
 რეალური ჯირკვლები ამოეზარდა...
 მოცისფრო ჰაერს რომ ვამბობდი,
 ამ ქათქათის სინონიმი იყო და არა საშიში რეალიზმი.
 მაგრამ რაც პირობითობა დამრჩა,
 მაინც, დამრჩა, ღმერთისგანაა
 და გატეხილი თეთრი ფერი აქვს...



ღვთისმშობლისადმი

იჯექი შორის მენახეთ
 და ამ დროს უეცრად დაინახე —
 სურებში
 სასმელი გათავდა.
 საცაა, შეამჩნევს თავადაც
 ცარიელ სასმისებს
 ქორნილის
 სუფრაზე უფალი-თამადა.

რა იყო მთავარი პირობა:
 უდროოდ აშლილი
 პურობის
 და უკმაყოფილო სტუმართა
 ჯგუფის წარმოდგენა სტოვასთან?
 მასპინძლის სირცხვილი,
 რომ ლხინში
 ვერ შეძლო ავსება სტომაქთა?

თუ შენი ძის მონაფეები,
 გულმშვიდად რომ ენაფებოდნენ
 თასებს,
 ეს იმათ მაგიერ
 ისურვე, შევლოდე მაგიდებს
 და სიძე-დედოფლის ნუგეზად
 სახლს ნაკლოვანება არიდე?

თუ იმ წამს მოგინდა ის, რასაც
 ყოველი მშობელი იზრახავს?
 (ეს დაუძლეველი
 „ადათი“...
 მუდამ რომ ჩვევაა
 დედათა) —
 შვილის სიყოჩაღის ჩვენება,
 ხალხში გამოჩენა, ქება და

გულის გახარება გაზრდილის
 საქმით, სიტყვებით და აზრებით...
 თუ წმინდა
 ნიშანი მიიღე,
 რომ სწორედ ეს იყო
 მისი დღე?
 „და ვითარ მოაკლდა ღვთა“,
 შენ გადანყვიტე, რომ
 მიხვიდე

ღმერთ შვილთან
 და შენი კარნახით
 იხსენი
 ქორნილი კანაში!

...
 მიზეზი შენ იცი,
 ჩვენ მხოლოდ
 მადლობის მიღებას შეგთხოვდით,
 რომ ორი ათასი წელია,
 როცა გვდევნიან და გვაფრთხობენ,
 როცა საკუთრებად გვაქცევენ,
 როცა ოთახებში გვრაზავენ,
 მხოლოდ ქალობისთვის გვჩაგრავენ
 და ძვირფას მონებად გვხედავენ,
 ჩვენ შენი სიტყვები ჩაგვესმის
 და ძალას ვპოულობთ ხელადგე:

„ღვთა არა აქუს“, „ღვთა არა აქუს“,
 და ტანჯვა იმედით გადაგვაქვს,
 რომ დედაკაცის
 ხმას, შენიშვნებს
 ოდესმე
 ქვეყანაც შეისმენს,
 და საქორნილო
 სასმისები
 კვლავ ზედაშეთი
 აივსება...

ოღონდაც სულ,
შორის მდინახეთ,
შენებ მხილველი
მოინახოს...

სოფალი

წევს და რალაცას უყურებს ძალი.
რა მარტივია!
ვილაცის ბავშვი ქასთან ჭიჭყინებს,
ვინ აუკრძალავს ჭრიჭინს ჭრიჭინებს,
სახლში ტირიან...

ნახირი მოდის და ბოლო ლამეც,
ხვალდანი — მინა.
ჭირისუფლები ბუხართან სხედან,
ვინ ამოიშლის გულიდან ხელად
მას, ვინც აქ იწვავ?

საკვამურიდან ამოდის ბოლი...
მწიფე ვენახი...
მამალი ყივის, ბავშვებს მოშივდათ,
მეზობლის სახლში გრძობენ ოხშივარს.
აფსუს, ვერ ნახე,

როგორ ჩავეიდა სხივი ფანჯრიდან...
ნეტა რა გვრჯიდა,
როცა გაგჩნდით, ქვეყნად მოვედით?!
უყურებს ძალი:
რა მარტივია,
რა ლამაზია
ადამიანი
ამაოებით!..

სამშობლო

სამშობლო დედაშენი არ არის,
რომ სახლში სადილი დაგახვედროს.
სამშობლო არ არის მამაშენი,
რომ შენი სარჩენი ფული ჰქონდეს.

სამშობლო არ არის უფროსი ძმა, —
როცა დაგჩაგრავენ, ჩაერიოს.
სამშობლო არც შენი მეუღლეა,
რომ შენ და შენს შვილებს მოგიაროთ.

ის არც შვილია, რა თქმა უნდა, —
გაუბრაზდე და გაგიგონოს,
არც — ბებო-პაპა, რომ ფერებით
გული გაგიტობს და გათამამოს.

სამშობლო არ არის მეგობარი —
სატკივარს მიგიხვედეს და განუგეშოს.
სამშობლო არ არის მეზობელი,
როცა არ გამოჩნდები, მოგიკითხოს.

სამშობლო არ არის სამაშველო —
უბედურებიდან გამოგიხსნას,
სამშობლო არ არის შენი ძალი,
უბედურებაში რომ გიერთგულოს.

სამშობლო არ არის მოძღვარი,
აღსარება რომ ჩააბარო.
სამშობლო არ არის უფალი,
რომ შენი ვედრება შეისმინოს.

სამშობლო შენ ხარ!
სამწუხაროდ.
სამშობლო შენ ხარ!
სამუდამოდ.

სამშობლო შენ ხარ — რასაც ფიქრობ,
სამშობლო შენ ხარ — რასაც დარდობ,
რასაც სჩადი და რასაც გეგმავ,
რასაც ნანობ,
რასაც ამაყობ,
რასაც შიშობ და რასაც ხარობ,
რასაც თვალთმაქცობ,
რასაც იჯერებ და რასაც ვერ.
რასაც პატიობ,
რასაც ითმენ და ვედარ ითმენ,
რაც გიყვარს, რაც გძულს,
რასაც სწავლობ, და რასაც შრომობ,
რასაც ზარმაცობ,
რაც გულს გიჩუყებს,
რაც გაცეცხლებს,
ის, რაც სულ გახსოვს,
რასაც ცოცხლობ და რადაც კვდება,
შენ ხარ სამშობლო!

თავად შენა ხარ საფიცარი,
ის ჭირნახული,
გაუმადლარი, გადალლილი —
შენი სამშობლო.
ხანდახან რომ
თითქოს ლალატობ,
სინამდვილეში კი არასდროს.
ანდაც ვერასდროს.

განსაკუთრებით იმ მყარ,
ზრდასრულ უმწეობაში,
როცა ძალიან გენატრება იყო პატარა,
როცა შიმშილით კუჭი გენვის და
ამავე დროს

გრძნობ, იცი,
სახლში
არ არის დედაშენი,
რომ მისულს სადილი დაგახვედროს.

**მალარია: P. FALCIPARUM ანუ
ალექსანდრე დიდის ალსასრული**

ნეტა წულით თუ შენუხდა
მაკედონელი?
აკი დრო ნელა
გადის ხოლმე, როცა სიცხეა,

როცა გლოვაა — ჰეფესტიონ!
ბაბილონიდან
საფირონები
გაიზიდა აურაცხელი.

ყველა შუბისთვის თითო მკერდი
მოინახება...
მეინახენი
ჩაიძირნენ ამბროსიაში...

ციებ-ცხელება, კრუნჩხვა, ბოდა,
გამოსალმება...
ამოსავალი
ნერტილია მცირე ხორთუმი:

რისთვისაც სატრაპს სატევრები
უნდა ელესა,
ერთი ნაკბენით მორჩა კოლო
ანოფელესი.

თავის ხელში აყვანა

საკუთარო თავო,
ალბათ ვერასდროს მაპატიებ
შენთან მოპყრობას
იმ უსუსური და საბრალო ნაშვილებივით,
რომელიც დედამ
ვერ იქნა და ვერ შეიყვარა.

ხომ ხდება ხოლმე —
დედას დიდხანს რომ არ უჩნდება,
მერე აიყვანს
და უეცრად დაორსულდება.
მეც თითქმის ასე...

შენზე ორსულად არ ვყოფილვარ,
უბრალოდ, გზრდიდი, გკვებე,
გივლიდი და ნამლებს გასმევდი,
ლაპარაკიც ისე გასწავლე, —
რომ შენი უკვე კარგად ესმით
გარშემომყოფებს,
სიარულითაც დადიხარ და
ისე ხშირად აღარ ეცემი,
თუ განყენიხვს, გულშიც გიკრავ,
ცრემლებს გწმენდ და ისე გაძინებ,
სხვა რა უნდა ვქნა?!

მაგრამ ესაა: სულ მახსოვს,
და განსაკუთრებით ძილის წინ,
როცა გიყვები ფერად ზღაპრებს,
ვეგრძნობ, რომ ცალსახად:
მთელი ეს ზრუნვა
ის არაა, რაც მართლა მსურდა,
უფრო სწორად ზრუნვა ისაა,
მაგრამ შენ ის
ნამდვილად არ ხარ.

და სწორედ ამ დროს გამოჩნდება
ვინმე ისეთი,
ვინც ძალიან ჰგავს ჩემს წიაღში
შენს გაცნობამდე დაბუდებულ
ბავშვურ სიმშვიდეს,
შემოვა ჩემში ამ ვილაცის
უპირობო უკეთესობა,
ჩაისახება რალაც თითქოს
შენზე უფრო თავისთავადი,
და ვიგრძნობ როგორ გავმთლიანდი,
აი, ასე...
სხვა რა არის დაორსულება?

შენ მრჩები გვერდზე
და კარგად მხედავ,
როგორ ვიძენ
შენთვის უცხო ჩანასახისთვის
ახალ ტანსაცმელს, ახალ სანოლს,
სათამაშოებს,
უყურებ, როგორც ვემზადები
მისი შობისთვის,
გრძნობ, როგორ მიყვარს,
გაცილებით მეტად, ვიდრე შენ.

შენ გული გწყდება, ჩუმად ტირი,
ხანაც ხმამალა ჭირვეულობ,
რას აღარ ცდილობ,
მაგრამ რას იზამ,
უმთავრესი ველარ იქნები,
რადგან უბრალოდ აგიყვანე,
რადგან შენც იცი,
ნამდვილად არ გამიჩენიხარ.

შენ, ჩემო თავო,
ამას ვერასოდეს მაპატიებ,
მაგრამ სანაცვლოდ
შეგიძლია, მშვიდად დატკბე
იმ ჩანასახთა უცაბედი,
ტრავმული აბორტებით,
რომლებიც ბევრჯერ დამემართა,
ძალიან ბევრჯერ,
და რომლებმაც ცხარედ მატირეს,
რომლებმაც
მხოლოდ შენ დაგტოვეს
ჩემს საზრუნავად.

მეგობარი

კაცობრიობა, თუ გულწრფელად
დავწერილმანდებით,
ორად იყოფა:
ვინც ცხოვრებაში
ერთხელ მაინც ასულა ხეზე,
და ვინც — არასდროს.

პირველებს დიდად გაუმართლათ —
სილაღე თუ არ,
სილალის მსგავსი
რამ მიჰყვებათ
ყველგან და ათბობთ.

მეორენი კი
უიღბლონი გამოდგნენ,
რადგან
მუდამ მწვავე უკმარისობის
ყრუ ტკივილი ჭამთ.


აქ ცოცვის ცოდნა-
არცოდნაში
როდია საქმე,
არც ხის სიმაღლე ნიშნავს
რამეს, —

სიმყუდროვის ბუნებრიობა
და უფრო მეტად
ბუნებრივის
სიმყუდროვე
უნდა
გიყვარდეს.

თუ ხის ტოტზე არ ჩამომჯდარხარ,
უშუალობას ვერ დაიჩემებ,
შენს ღრმა სუნთქვასაც
ეჭვის თვალთ შეეხებება.

და თუ ამძვრალხარ,
ესე იგი, საკუთარ თავზე
რალაც იცი,
რალაც ისწავლე.
მაგალითად, როგორ აზიდო
შენი თავი
სხვა ცოცხალი სხეულის
ტანზე.
სად ჯობს, ხელით ჩამოეკიდო,
და სად უნდა
დაადგე ფეხით,
სად დაეყრდნო
და სად გაეშვა...

თქმა არ უნდა —
გზა კენწერომდე
არის მთელი ფილოსოფია;



მეგობრობაშიც ასევეა:
ნამდვილ მეგობარს
სწორედ ხე ჰგავს
ყველაზე უფრო.
თუ თანაგრძნობის სწავლა გინდა —
ხეზე აძვერი!

თუ გგონია, ფინიასავით
აგინკმუვლდება
მეგობარი,
როცა გულს ატკენ,
ან კატასავით ჩამოგპორჭყნის,
თუ გააცხარე,
ან ოთახის თუთიყუშით
გაგიმეორებს, რა უნდა ქნა
და არ უნდა ქნა,
ან შინაური თევზებივით
ნელ-თბილ წყალს მოგთხოვს,
ანდა კუსავით
ყრუ ბაკანში შეიყუყება,
ან ყვავილივით
დახრის ფურცლებს,
თუ წყალს დააკლებ,
ცდები. ის არის

შინაგანად უსაყვედურო,
ხესავით მუდამ მკლავგახსნილი,
ტოტებგაშლილი
დგას, სადაც იყო
ფესვგადგმული,
მყუდრო, მალალი,
და ზამთარ-ზაფხულ
სულ მზადაა,
აგიშვას
ზემოთ.

რამდენიც გინდა,
მოანყვიტე ხილი,
ნაყოფი,
სულ რომ გაკრიფო,
ხე არაფრის მთქმელი არაა.
გაუჩხრიკე ბუდეები და ბინადრები,
თუ გამოგედო გზაზე
უშნოდ გამოშვერილი

შტო, მიატეხე,
პასუხს არ გთხოვს, —
იცის, როგორ შეგითვისოს,
როგორ მიგიშვას,
ზუსტად ისეთი,
როგორიც ხარ.

ხის ვარჯზე ასვლის
ვარჯიშია
დაახლოება,
გა-ხე-ვეება
მეგობრობა
ერთმანეთისთვის,
გა-ხე-რხემლება
გამხელილი
ნდობის იმედად.

ხე — ცის კიბეა
აღმავალი მზისკენ, მთვარისკენ;
ხე გამოწვდილი ხელებია,
რომ შეეფარო.
ერთია ოღონდ:
თუ გავარდა მეხი,
მშვიდობით!

საქმეც ესაა:
იმ ორ ნაწილად
კაცთა მოდგმას
ელვის
შიში
ჰყოფს.





თამარ
ჟღენტი

ნათლისმცემალი

უდაბნო შენი კელიაა;
ველური თაფლი და კალია -
საზრდო, რაც ერთი განმარტებით
(ისე, როგორც ფხალი ეკალა)
მცენარეულია, ბალახია:
დანაკისკუდი და მელაღრია.

ჭამ მხოლოდ მცირედს, ალაგ-ალაგ,
მარხვამ ყრმობიდან აგამალლა
და როგორც ელიას — ხალენი,
ტანს ბენვი გიმოსავს აქლემის.
მხრებზე მზის ფრთები გალაგია.
წინასწარგმეტყველებს მალაქია,

წინასწარგმეტყველებს ესაია,
როგორც წინამორბედს მესიასი.
დედის მუცლიდან ეზიარე
ძეს, განუზზადე ისრაელი.
ამხელ მრუშსა და მოლაღატე
მეფეს, უდაბნოსა მოქალაქე.
ამხელ იქედნეს ნაშიერთა,
რომელნი აბრაამით გაშინებდნენ...

მამხელ, მომიხმობ ალსარებად,
ვიდრე გაიღება ალსავალი.
მხსნელი სინანულის ლაღადია
შენი ხმა, შორის გახიღული
ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას.
თავს ღირსად არ თვლი ხამლთა გახდის
მისთვის, ვინც შენგან ნათელილო.
უნყი, ის შენზე ადრე იყო.

მოგყვება მთელი იუდეა
და შენ დიდებას იუარებ:
შენ შემდეგ შენზე უდიდესის
მოსვლას ქადაგებ... არ ურიგდები
ცოდვის ხელისუფალთ, გაკვეთილად
შენი დასჯა რომ აქვთ დაკვეთილი.
ლაღადს ვერა ძალი აღგიკვეთავს,
მშვიდად დაითმენ თავისკვეთას...

უდაბნო შენი კელიაა,
შენი წინასახე — ელია.
ემბაზად აქციე იორდანე,
ღვთის ნათლისმცემლო, იოანე.

სიმღი

ცერებზე,
წელში გაჭიმული,
მხრებში გამართული
ლაღად.
ჩოხა-ახალუხი
მოგრძო სახელოთი
თავი აწეული
მალლა.

სწორ ხაზზე,
სვლაში აგზნებული,
მზერა ანთებული
ლახვრად;

წონოლა ქუდები,
არნივის ტანებთან
მკლავის მოზიდვა და
დახრა.

ნარნარი.
გვერდით თეთრი გედი
ცურავს — მარგალიტის
ბაღჩა.
ყელმოღერებული
და სახეუძრავი
არ არხევს ლეჩაქს და
ბაღდადს.

წრებრუნვა,
რკალი. შავი მწკრივი
თეთრ მწკრივს განჭოლავს
ჯვარად.
სანამ ორივენი
გათანაბრდებიან
მხარდამხარ, ერთიან
ჯაჭვად.

ეს ცეკვა
არის საქართველო,
ჩვენი გადარჩენის
ძალა —
ერთი ღერძის ირგვლივ
დატრიალებული
თანასწორობის
ძელი.

ქალ-ვაჟი
სწორად, ერთნაირი
ტვირთით და წინსვლით
მიდის —
ამაყი ხელკავით
მშვიდი, მშვენიერი,
ნაბიჯმწეწილი,
სიმდი.

ცეკვაში
ყველას თავის გზა აქვს,
თავის ადგილი და
ტემპი,
მაგრამ ერთი ფიქრი:
ხაზი არ დაირღვეს
და ძირს არ დაეშვას
ტერფი.

წვერებზე!
ჩვენი ქორწილები,
ჩვენი გამარჯვება,
ლხინი;
ჩვენი დატირება,
ჩვენი გასვენება,
ჩვენი ერთად ყოფნის
ხიდი...

ოსური
არის საქართველო,
ის, რაც შეგვიწახავს
სინდისს,
სიყვარულიანი,
სიქადულიანი,
სინქრონიზებული,
სიმდი.

ჩამოჯდომა

თავისუფლება,
როგორც წყურვილი,
სრულებით არ დაბადებულა
დიდ და
ხალხმრავალ მოედნებზე,
ან ეშაფოტთან,
არც კისერში მონოლილ ბურთში,
არც ომის წინ და,
რა თქმა უნდა,
არც ომის შემდგომ.

არც გამოღებულ გალიაში,
არც დილეგში
გამოკეტვისას,
არც სიკვდილის წინ,
და, სხვათაშორის,
არც სასიკვდილო
სენისაგან განკურნებულზე...
არც სულ ყველაფრის
განირვისა
და, მით უმეტეს,
არც რალაცის
მოხვეჭის შემდეგ.

როგორც არ უნდა
ვაბრალბდეთ,
ის არც მთებშია
გაჩენილი
და არც
ზღვის პირას,
არც მწვერვალების
დაპყრობის დროს,
არც ფსკერამდე
დაშვების მერე.

თავისუფლება
დაიბადა ოთახში,
სადაც,
როცა
გქონდა
ათასი საქმე,
ათასი დიდი
თუ პატარა
რამ მოსასწრები,
შენ ჩამოჯექი,

გაიხედე
ფანჯარაში და
გადაწყვიტე,
რომ ახლა დროა,
ყველაფერი
გვერდზე გადადო
და გაიხსენო:

ბავშვობაში,
სეირნობისას
ერთი ბუჩქიდან
მეორემდე
რისთვის მივბოდი?

ახალი აღაში

ყველაზე უფრო საჭირო რამ
განმარტებაა.
რას ეწოდება...
ვინ რა არის...
რას რა ნიშნავდეს...
განმარტებლობა
კაცობრივი ბუნების
მთავარ
ატრიბუტიკას
წარმოადგენს.
ადამიანი,
საპიენსი ჰომო,
გულისხმობს,
პირველ რიგში,
ინტერპრეტატორს, —
განსაზღვრებების
გაკეთების
უნარის
მქონეს.

ვთქვათ, რა ენაზე
საუბრობდა ღმერთთან
ადამი?
ეს ენა
ღმერთმა ასწავლა თუ
ადამმა შეთხზა
თავისი წმინდა გემოვნებით
იმის შემდეგ, რაც
შთაბეჭდილების
უსასრულო ნაკადი
სულის
სუფთა სარკეში
გარდატეხა,

გაიშინაგნა
და ანარეკლი
გამოტყორცნა
პირმეტყველებით?

ვინ იცის...
თუმცა ის კი ვიცით,
რომ სულდგმულთათვის
სახელების
შერჩევა გახდა
კაცის
პირველი დავალება,
პირველი საქმე:
რასაც ადამი გადწყვეტდა,
სწორედ ის სიტყვა
სამარადჟამოდ
ერქმეოდათ
ქვეყნის
ბინადრებს.

ნეტავი, როცა იგონებდა
მათ საწოდებელს,
თუ ექნებოდა
რამე ახსნა?
რითი არჩევდა
სახეობებს
სახელებამდე —
გარეგნული სხვაობით მხოლოდ,
თუ შეგრძნებებით,
რასაც მათთან ყოფნა იწვევდა?
თუ ხმით,
ედემის ქმნილებანი
რომ გამოსცემდნენ,
თუ დაბადებულ აზრთა სიღრმით,
რომელსაც პირუტყვ
მოძრაობათა დაკვირვება
შთაგონებდა?

როგორც არ უნდა მომხდარიყო,
თავდაპირველად
უნდა გაეცნო ბინადრები
ადამს ედემის,
და განესაზღვრა,
სად მთავრდება
ლომის ლომობა
და სად იწყება შველის შველობა,
რას რა ითავსებს...
მაშასადამე,
სახელებით გამარტივებას
ჯერ წინ უძღვოდა
შინაგანი
განმარტებები...

სახელდება
დიდი ღვანღია,
საიდუმლო,
განმარტობელი,
და უმალესი საფეხურიც
შეცნობის გზაზე...
ხოლო სანამ
ჭეშმარიტებას
ეზიარება ცნობიერი
და სულ ყველაფერს
თავის სახელი დაერქმევა,
ეს გზა სავსეა
ცნებებისა და მოვლენების
და იდეების
და არსებათა
გააზრების
სირთულეებით:

ვის რა უნდოდ,
რომ იცოდე,
ჯერ მისი
არსი
უნდა გაიგო,
შეითვისო,
ანდა იწამო;
ჯერ გონებაში
აღიარებ
იმის რაობას,
ცდილობ, ახსნა და
შემდეგ —
უხმობ.

...
და „თქვენ
რაა სთქუთ
ჩემთვის,
ვინ ვარ?“ — შეეკითხება
თავის დაბნეულ
მონაფეებს ნაზარეველი.
— შენა ხარ ქრისტე,
ძე ღმრთისაო, —
მიუგებს პეტრე,
უღიადესი
სასწაულის
განმმარტებელი.

როცა ეგონათ, რომ ყველაფერი დასრულდა, მაშინ დაიწყო სწორედ ის, რაც როგორც წესი, ასეთ დასასრულს მოჰყვება ხოლმე და ხშირ შემთხვევაში უარესიც არის, უფრო საზარელიც და საზიზღარიც კიდევ. ასეთ დასასრულს და შემდგომ უკვე ასეთ დასაწყისს აუცილებლად მოჰყვება კონტექსტიდან ამოვარდნილი ქმედებები, შიში და ყველაზე მთავარი — სიძულვილი, რომელიც ისე გადაედება ხოლმე მთელ ქალაქს, და თუ მთლად შეიშალა ერი — ქვეყანას, სულ რომ არ გინდოდეს, სულ რომ გული გერეოდეს ამ ყოველად გულუბრყვილო განცდაზე, ვერ აიცილებ, რადგან უმადგისოდ, ვერც თავს გაიჭნის, ვერც სახელს და ვერც გადარჩები და თუ გადარჩები, აუცილებლად იქნები ის, ვისაც სხვადასხვა კორპუსის კუთხეებში ახტუნავენ და ეგეთი გადარჩენა რომ გადარჩენა არაა, და რომ ეგეთი სიცოცხლე სიცოცხლე არაა, და რომ კაცმა შენი კაცობა თუ არ დაამტკიცე და ერთი-ორჯერ ხელი არ გაიქნიე ქუჩის რაზმორკებში, ეგ კაცობაც არაა, ამიტომ აუცილებლად უნდა აგელო ალლო მოულოდნელად შემოვარდნილი სიძულვილისთვის და უნდა შეგზიზღებოდა ყველა და ყველაფერი, საკუთარი თავის დაცვა რომ შეგძლებოდა და ამავე სხეულში დამწყვედული უმნეო, ხანდახან მშიშარა და უფრო ხშირად კი მეოცნებე მე სამუდამოდ გადაგვალა. და ასე, ნელ-ნელა და ეტაპობრივად, ეს ნაფერებ-ნალოლიავეები საბჭოთა ქალაქი გადაიქცა სიძულვილით სავსე ქალაქად, რაც, როგორც წესი, პირიქით უნდა მომხდარიყო და ნანატრი, ნაბრძოლები და ძალით გამოქაჩული თავისუფლება ერსა თუ ბერს უნდა შეერგო. თუმცა მოხდა ის, რაც მოხდა და შეიშალა ერიც და ბერიც და ქვეყანა, რომელიც თავისუფლის სტატუსით აგრძელებდა არსებობას მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, დაიყო და დანაწევრდა შიგნიდან და ამ დანაწევრებულ კონტინენტებზე, ფესვი გაიშალა ქუჩამ — თავის გატანისა და კაცური-კაცობის ერთგვარმა ალგორითმმა, სადაც მარტივად აუღეს ალლო ყოველ ზემოთ ნახსენებს და ეს დანაწევრებული თავისუფალი ქალაქი გადაიქცა ერთგვარ პოლიგონად, სადაც ადამიანები, რომლებმაც ვერ გაუძლეს ვერც დროს, ვერც წარსულს და ვერც საკუთარ თავებს, ერთმანეთს დაერივნენ და დაივიწყეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ და რომ ცოცხალი ხნის წინ ერთად იდგნენ იქ, სადაც ყველა და რომ ცოცხალი ხნის წინ ერთად იბრძებოდნენ იმისთვის, რაც ახლა გააჩნდათ და დაივიწყეს ყველაფერი, რისი დაიწყებაც უკარნახა დრომ და დაივიწყეს ყველაზე მთავარი — საკუთარი თავები და გადაიქცნენ ერთგვარ მანქანებად, რომლებმაც ისწავლეს ცივისსხლიანად მოქმედება და არასრულფასოვნების კომპლექსი თუ შიშები, და ამასთან ერთად, უკვე მრავალჯერ ნახსენები — სიძულვილი ყოველდღიურად ინთხეოდა თბილისის ქუჩებში.

თავისუფლებას მოფრთხილება რომ სჭირდება და რაც უფრო მეტად თავისუფალია ქვეყანა, იმდენად მეტ ფიქრს და აზროვნებას რომ მოითხოვს და როცა კარგავ იმას, რაც შენი არაა, ნაგება და მოგება ძმები ვერასდროს იქნებიან, მეტად ბუნდოვანი სენტენციები აღმოჩნდა იმ აბსურდულ და გაურკვეველ დროში დაბადებული თაობისათვის, რომლებიც თვალის გახელისთანავე შეჩვენდნენ ერთ დიდ ეკლექტიკასა და ლაბირინთს, და მხოლოდ ორ გზასა და არჩევანს მოგტუნებდა და ამხტუნებდა შორის, კორპუსის წინ ბორდიურზე ჩაცუქტულსა და ბორდიურთან დაყენებულს შორის, თავში წამორტყმელსა და თავში წამორტყმულს შორის, ჩმორსა და კაი ბიჭს შორის და, რაღა თქმა უნდა, ამას არ ირჩევდა თავად მავანი და არ იწყებდა ფიქრს ამ ყველაფერზე, რადგან ამას ირჩევდა ადგილი — სახელად ქუჩა — და ვინც უფრო მეტად ძლიერი იყო, და ვინც უფრო სწრაფად აუღო ალლო რეალობას და ვინც უფრო ახლოს მიუშვა საკუთარ თავთან ქალაქში მოდებული სიძულვილი, პირმინდად გარდაიქმნა ამხტუნებლად, კორპუსის წინ მარადფაშმა ჩაცუქტულად, თავში წამორტყმელად და კაი ბიჭად და სხეული, რომელიც ერთი შეხედვით მეტად ბავშვური მოგჩვენებოდათ, თვალეები, რომლებიც დისნეის კეთილი პერსონაჟის თვალებს ნაავადა, აივსო ზიზღით და აივსო იმით, რაც უბნის ყველა ნერტილში, სკოლის საპირფარეოებში თუ გარეუბნის უკ-

ან და ტყეში თუ ღრეში მუდმივად იყო — აგრესიით, და ჩასისხლიანდა როგორც საუკუნო ტირილის შემდეგ სისხლიანდება ხოლმე და ეგ თვალეები იყო სარკე იმდროინდელი საზოგადოებისა და ქვეყნის და ხალხის და ყველასი, ვისაც ამ გაუგებრობაში წვლილი მიუძღოდა და პირველ რიგში — მამების, რომლებსაც უმოკლეს დროში დაავინყდათ, რომ მათი ბრუტალური, ავადსახსენებელი და სისხლიანი წარსულის უკან იდგა მათი შვილების მომავალი და რომ ისინიც ისე გადაიქცეოდნენ ვამპირებად და დემონებად, და რომ ისინიც იმავე გზას გაუყვებოდნენ თავიდანვე, რომელიც გზაზეც მიატოვებს და ხელს გაუშვებს, და რომ ბავშვები ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებიან და იმეორებენ და ამ ერთ პატარა, გადამწვარ და პირზე დუშომოდგარ ქალაქს, შერჩა უფრო მეტად საშოში თაობა, რომელსაც ლაღიძის ხაჭაპურები და ლიმონათები კი არა, უნივერსიტეტში ტალონებით ნაყინი რძე და მანონი კი არა, აკვანშივე გაასინჯეს ზიზღი და სიძულვილი და ასე და ამგვარად ან და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

2000-იანების დასაწყისში ერთადერთი საშუალება, რომელიც გამწარებულ და



გურო დავითიძე
ჩორნა

ერთმანეთზე მუდმივად გადაკიდებულ თაობას ანტრაქტად ევლინებოდა, თითქმის ყველა უბნის ცენტრში და ამ ცენტრში მდგარი კორპუსის პირველ სართულზე, როგორც წესი, ძველი მაღაზიის ან აფთიქის, ან საერთოდ ტელეატელიეს ნაცვლად გახსნილი ფლეისთეიმენები იყო, სადაც მეოცე საუკუნის მიწურულს დაბადებულ სათამაშო კონსოლში, გაუჩერებლად ტრიალებდა ტექნის, მორტალ კომბატის, ქრაშისა და, რაც მთავარია, იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული თამაშის — ფეხბურთის დისკი.

საქართველოში რომ ფეხბურთი ყოველთვის უყვარდათ, უყვართ და ეყვარებათ არაახალი ამბავია და ყველამ იცის, რომ იქამდე გასტანს ეს სიყვარული, სანამ მილიარდი კაცი კი არა, სანამ მილიონი კაცი კი არა, სულ მცირე ერთი ბრაზილიელი, არგენტინელი, ესპანელი ან ქუთაისელი და თბილისელი მაინც გაიხსენებს იმას, თუ როდის, როგორ და სად უყურა პირველად ფეხბურთს და როგორ ღრიალებდა მაშინ, როცა მისმა გუნდმა პირველად მოიგო და როგორ ბლაოდა მაშინ, როცა მისმა გუნდმა მაშინ ნააგო, როცა არ უნდა ნაეგო, რადგან არაფერი ჰქონდა მას დარჩენილი გარდა მოგების და ილაპარაკებს ამაზე ისე, სასხვათაშორისოდ კი არა, ილაპარაკებს გულით და როგორც ქართველებს სჩვევიათ თქმა, ჯიგრიტ და ილაპარაკებს და ილაპარაკებს და ილაპარაკებს, სანამ დორბლები არ წამოუვა და სანამ ცრემლები არ წამოუვა და სანამ არ ატირდება იმაზე, რაზეც ალბათ, უბრალო მოკვდავი არასდროს ატირდებოდა და დაიბოჯავს სახეს იმაზე, რაზეც ან უკვე ნახსენები მოკვდავი ახარხარდებიან და აცეტდებიან და ბოლოს, როცა საბოლოოდ დააფინიშებს თავის ამბავს და როცა საბოლოოდ განწყვეტს გონებაში ჩართულ ყველა კადრს და მომენტს, ძლიერი ამოსუნთქვითა და ჩააუნთქ-

ვით კიდევ ერთხელ გაიმეორებს, რომ ერთ დროს, დიდი ხნის წინ, სადაც, ქუჩაში, ანდაც გაყინულ და დანგრეულ სახლში, ან უფრო მეტიც, კერასინკის სუნით გაჟღენთილი თბილი ოთახის შავ-თეთრ ანდაც ფერად ტელევიზორში, პირველად ნახა ფეხბურთი. და ამას გეტყვის ისე, როგორც არასდროს არავინ და ამას გეტყვის ისე, რომ შეიძლება, ექვით კი შეიტანო მასში და ვერ დაიჯერო, რომ მავანს ისე შეიძლება უყვარდეს ფეხბურთი, როგორც მას უყვარს და როგორც მას სწამს და როგორც ის ცხოვრობს და არსებობს მისით კიდევ გათენებიდან დაღამებამდე.

ფლეისთეიმენი, როგორც წესი, საძმაცაცოდან და სამეგობროდან და კლასიდან და ეზოდან მხოლოდ ერთს ჰქონდა და ის ერთი იყო ღმერთი და ის ერთი იყო პელები და მარადონაც, რომელთან ასვლა და ხალიჩაზე ჯოისტიკებით ჯდომა და ღრიალი დღესასწაული იყო და სხვა არაფერი. თუმცა, ეს ყველაფერი მეტად იშვიათად ხდებოდა და ისიც დანესებული ლიმიტით, რადგან, როგორც წესი, ტელევიზორი მუდმივი სელებრითი, შესაბამისად — დაკავებული იყო და იმ დროს ზუსტ ნერტილში უნდა გაეკრტყა, როცა სერიალებს შორის მძიმე შესვენება ემთხვეოდა, მაგრამ იმ ტრივიალურებით გაჟღენთილ დროს არა-

ფერი იყო და არსებობდა სხვა, თუ არა სერიოზული და, შესაბამისად, ერთს მეორე მოსდევდა, მეორე — მესამე, მესამე — მეოთხე და შუალედები კი არა, თვალის დახამხამებას ვერ ასწრებდა ტელევიზორის წინ მჯდომი, ისე ენაცვლებოდა მარია — ხიმენას, ხიმენა — პაბლოს, პაბლო — პედროს და ასე და ამგვარად ფლეისთეიმენის დრო ხშირად საერთოდ არ მოდიოდა და თუ მოვიდოდა, ძალიან ცოტა ხნით, რაც არავის არაფერში ჰყოფნიდა და ამიტომაც პონჩიკისა და ხაჭაპურის საყიდლად გამოტანებული ან ნართმეული ან, უარეს შემთხვევაში, მოპარვით აკონინებული ხურდებით, ხელების ტკაცუნითა და კისრის ტრიალით, ისე ფლეისთეიმენებს მიაშურებდნენ ხოლმე უბნის თინეიჯერები, სადაც ლარი ერთ საათს, ერთი საათი კი — მუდმივ დაძაბულობას, აზარტსა და ექშენს უდრიდა, რაც იმ დროისათვის ერთობ ახალი და მომაჯადოებელი იყო ყველა ბავშვისთვის და, მითუმეტეს, ეს ყველაფერი ქვეყანას გარეთ არსებული სიტუაციის ტკივილგამაყურებლად ევლინებოდა და ვირტუალური სამყარო, ვირტუალური ფეხბურთი და ყველაფერი, რაც ტელევიზორის ეკრანს მიღმა ხდებოდა, იყო თაობის ალცჰაიმერი და იყო შველა და შველა ბიჭების, რომლებიც სულ ცოტა ხნით მაინც ივინყებდნენ ზიზღს და სულ ცოცხალი მანც ივინყებდნენ სევდას და შიშს და ყველაფერს, რაც ქალაქში ჰაერივით ტრიალებდა ორიათასიანების დასაწყისში.

ამ დიდ აბსურდში, გაურკვეველობასა და ეკლექტიკაში, თბილისის ცივი და ნესტიანი სამშობიაროს კედლებში დაიბადა ლუკა, იგივე — ჩორნა, რომელიც, ალბათ, სხვაგან რომ დაბადებულიყო და სხვა დროში და სხვა კონტინენტზე, აუცილებლად იქნებოდა სხვა ლუკა და აუცილებლად ექ-

ნებოდა სხვაანირი ცხოვრებაც, რაშიც თავადაც იყო დარწმუნებული და ხშირად გულიც კი სწყდებოდა ხოლმე ამაზე, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და დაიბადა, როცა დაიბადა და დაიბადა, სადაც დაიბადა — შვის და ვარდების მხარეში, სადაც არც მზე იყო და არც ვარდები და დაიბადა მაშინ, როცა კალაშნიკოვები ჯერ კიდევ მისაღებ ოთახებში იყო აყულებული, მანქანები აგურებზე შეყენებული, სადარბაზოები შპრიცებით გადავსებული, უთოები მოუხელთებელ ადგილებში გადამალული, კერასინკები ნავთით გაჟღენთილი, კინეფონები აბაზანაში ჩამოკონწიანებული და დაიბადა მაშინ, როცა ჯერ კიდევ დასრიალებდა ქალაქის ქუჩებში საბჭოთა ტროლეიბუსი და თბილისმა და ამ ქალაქში მაცხოვრებლებმა თოვლიც იცოდა, სითეთრეც და გუნდაობაც კიდევ...

იმ საღამოს ლუკას სახლთან მისასვლელი ორი გზიდან მეორე რომ აერჩია და სკოლის ეზოს გადაჭრით კი არა, ბუყანას ბუტკის გავლით მიეღწია სახლამდე, შესაძლოა, მართლაც ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო მის ცხოვრებაში, სხვა გზას და სხვა ცხოვრებას დასდგომოდა და იმ ყველაფრიდან, რაც დაკარგა, არაფერი არ დაეკარგა და უფრო მეტიც, იქნებ ეპოვა კიდევ ის, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდა და რაზეც მთელი ბავშვობა ოცნებობდა და რაზეც მთელი ბავშვობა ფიქრობდა. მაგრამ, როგორც წესი, ასეთი რალაცები იშვიათად კი არა, საერთოდ არ ხდება ხოლმე და სიტყვათა მსგავსი შეთანხმება — „ბედმა გაუღიმა“, მეტად უჩვეულო და აკრძალული ხილი იყო ყველასთვის იმ დროს და იმ ადგილას, სადაც ლუკა და ლუკასნაირი კიდევ ბევრი, და ლუკასნაირი კიდევ ათასობით ბავშვი ცხოვრობდა ან ცდილობდა, რომ ეცხოვრა და ეს რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება თუ წარმოდგენა — ბედი მუდმივ აბსურდად რჩებოდა, რადგან უკვე მრავალჯერ ნახსენებ და კიდევ მრავალჯერ სახსენებელ დრამატიზმითა და ტკივილით გაჯერებულ „იმ დროს“, სიტყვა „ბედი“ გადაიქცა არქაიზმად და გადაიქცა ცოდვად, რადგან შენი ცხოვრება არა ბედისწერით, არამედ ვილაცების ხელით იყო დანერილი, რომელსაც არათუ არ გაკითხებდნენ, არამედ ზურგს უკან გიშალავდნენ კიდევ და ყოველდღიურად დაწერილი სცენარით იმდემი გაუგებრობასა და ტკივილში და ორნიამი გინევა ყოფაც, არსებობაც და სიცოცხლაც.

ლუკამ იცოდა, რომ იმ დროს იქ გავლა არ იყო სალი აზრი, რადგან სკოლის ეზოში, უფრო კონკრეტულად კი, სკოლის უკან, სადაც ლუკას სახლისკენ მიმავალი პატარა, ანგრეული ბილიკი მიიკვლევდა გზას, ყოველთვის იდგნენ სწორედ ის ვილაცები — მარცხენა ხელში ცელოფნის პარკით და მასში ჩაქცეული ნებოთი, მარჯვენაში კი — სიგარეტით და კრიალოსნით და ეს ვილაცები დაუკითხავად და ცივისსხლიანად ცვლიდნენ სხვის ცხოვრებას და ის, რომ ცხოვრებამუცვლილი და ცხოვრებაგარეული ბავშვები ამავე ცხოვრებაში იკარგებოდნენ და ილუპებოდნენ, არაფერი იყო მათთვის და ისევე აგრძელებდნენ სუნთქვას და ისევე აგრძელებდნენ ყოფას, როგორც გუში და ეს გრძელდებოდა სულ, გათენებიდან დაღამებამდე და უტიტრებოდ განელილი ბრუტალური კადრები და უსრულებლად ტრიალებდა თბილისის ყველა უბნის ყველაზე მოფარებულ და, როგორც იტყოდნენ, პრესტიჟულ ადგილებში.

თუმცა, განსხვავებით იმისა, რომ ლუკამ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ იცოდა, და იცოდა ისიც, რომ მათნაირები ძალიან ბევრი გაამწარეს და მათნაირები ყოველთვის ვილაცებს ამწარებდნენ და ატირებდნენ და სცემდნენ და ჩაგრავდნენ, ბუნდოვანი წარმოდგენაც არ ჰქონია იმაზე, რა შეიძლება, დამართოდა და რას შეიძლება, გადააჭყრდა და ამ ყველაფერს მხოლოდ მაშინ მიხვდა — და სწორედ ეს მიხვედრაა შემდგომ მიზეზი იმის, რაც მის ცხოვრებაში მოხდა და რამაც მისი ცხოვრება ძირეულად შეცვალა — როცა დაბლა ეგდო, ზემოდან ორი მასზე რამდენიმე წლით უფროსი ბიჭი აფურთხებდა და როცა ყურში ხმამაღალი სიცილი ჩაესმოდა იმ ვილაცების, რომლებიც თავზე ედგნენ მაშინ, როცა ცივი მინაზე ეგდო და როცა შიშისგან და სიცივისგან აკანკალებული განძრევასაც ვერ ახერხებდა.



ლელა სამნიაშვილი



ბელა

საზინე შიფნარის ტიპილი და გამოცემა

ჩემი მეგობრის ლექსებში ნემსიყლაპიები ირვეიან, ალმასის ფრთებით, მომწვანო-ლურჯი სხეულებით...

„ოჰ, წიგნის ყდაზე მათი ჩვენება სულაც არ არის ურიგო აზრი“ — ნამოიძახებს რედაქტორი, ხელნაწერს რომ გადაიკითხავს...

„სჯობს, ეს ფერი ბაცით შევცვალოთ“ — იტყვის წიგნის დიზაინერი, — არ უხდება პოეზიას მკვეთრი ფერები“.

და ლივლივა არსებისგან დარჩება მხოლოდ კონტურები, როგორც იმ მხიარული დღეებიდან, ჩემი მეგობარი სიტყვებში რომ ინახავდა...

DELETE

ჩვენს სიყვარულს დაეხედა მოკლე და მეჩხერი შეხვედრები, მაგრამ ხანგრძლივი მოლოდინი შეხვედრებს შორის.

არ იყო ეს ილბლიანი სიყვარული, თუმცა ეს არც ორი ილბლიანის შეხვედრა იყო, როცა ფერები ნაპერწკლებით კაშკაშებენ...

ჩვენ უფრო წვიმის წვეთებს ვგავდით, დაჟინებით რომ გამოვრბინებდით ზეციდან წვეილად, მაგრამ გზაშივე იკარგებოდით.

ჩვენი დღეები იყო სახვითი და წარმოსახვითი, განფენილი რეალურ და ვირტუალურ სამყაროთ შორის, არეკლილი ხმოვან ტექსტებში და ფოტოებში...

და სხეულები, სურვილები ექცია ფორმად, რომ უსწრაფესად გადაეტანა, გაემხილა, განეცადა და გამქრალიყო.

თანამედროვე არქივებს ხომ თანამედროვე არქივებს ხომ თანამედროვე არქივებს ხომ თანამედროვე არქივებს ხომ...

delete და სამი წელი არც კი ყოფილა.

მინაქრის გველეხი

შიში მოსარკულია და ლაპლაპა, ვერც შედგები, ვერც ხელს მოკიდებ, დაბრეცილად აირეკლები როგორც გუბეში, ანდა ლითონის ზედაპირზე,

გაგედლაბნება კონტურები და იცახცახებ.

ჩემი შიში არ არის დიდთვალეა, თვალი არც კი აუხელია, ბრმად მოძრაობს და ყველაფერს სწვდება და ჭრის და ფატრავს.

და შეიძლება ტკბილი გემო ღამეებს შერჩეს ხანგრძლივად. თუკი გაგიმართლა — ექვსი გასროლა — ფეირვერკსაც ემსგავსება. მრავალ სახსოვარს

დატოვებს — თქვენი სიყვარული — ყვაილებს, ბავშვებს. მაგრამ დარჩება ერთი ტყვია ადრე თუ გვიან და საფეთქელი.

ამერიკულ მთებს გავს სიყვარული — გრძელ ატრაქციონს — სხედხართ გვერდიგვერდ და ვაგონი მიექანება თავქვე, რომ წამში სხეულები ზემოთ ანიოს და ისევ დაღმა. და სახეზე თბილი ქარები წერენ შიშს, სიცილს, ემოციას, ხელები — ხელებს ეჭიდებიან სისწრაფეში. სხვების სახეებს ვერც არჩევთ. წყვილებს მიაქანებს იგივე წრეზე რკინის გრეხილი ლიანდაგი. საგზაო წესებს ასეთი ქროლვა რას დაგიდევთ. თუმცა, ჩერდება ადრე თუ გვიან — ასეთია ქროლვის წესდება.

ზვავის თოვლსაც გავს სიყვარული და დნება, დნება. ან ბარდნის და ფრთხილად გროვდება ძველ სახურავზე. იზნიქება ცა ჭერქვეშეთში სახლის, რომელსაც შერჩენია ორი მოხუცი, ყოველ საღამოს ერთმანეთს რომ ემშვიდობება, როგორც მგზავრს, ძვირფასს, მარტოდმარტო შორ გზაზე დაამდგარს.

მიზანცია

აი, ამ მოგზაურს სამშობლომ აჩუქა პასპორტი. დააბზრიანებს დედამიწას, როგორც გლობუსს, გადახედავს ეგზოტიკური ქვეყნების ასორტს, თითს დაადებს გრძელსა და განედს, ჩაიკითხავს განრიგს და ამინდს, მოიკიდებს მხრებზე ზურგჩანთას და გაფრინდება.

მისთვის ღიაა ყველა ცა და აეროპორტი, ყველა უდაბნოს მზად აქვს მისთვის სავეს მათარა და ომიც კი ბლოკბასტერს გავს მთელი თავისი სპეცეფექტებით.

აი, ამ მიგრანტს სამშობლომ აჩუქა ბავშვები — ექვსი თუ შვიდი წყვილი თვალი და პირის რკალი — მარად მშვიერი. ის ზღვების გავლით, სანავთობო მილების გავლით, საკუთარი სიცოცხლის გავლით დაეძებს მიწას, სადაც პური არის ოფლზე ბევრად იაფი და სადაც ყველა ადამიანი რომანტიული სიყვარულის ნაშეირია.

და რა არის ამ ორს შორის გზების გამყოფი? დაბადების შემთხვევითობა? ილბლიანი თუ უილბლო განლაგება ვარსკვლავების — ერთადერთი პლანეტის თავზე — პარალელურ სამყაროებად რომ ფეთქავს და დღემდე როგორ გამოირცხავს თანასწორობას? არ იკვეთება —

თუმცა ძალიან შორიდან ალბათ მაინც ასე ჩანს — ამდენნაირი დანიშნულების ადგილით და ტვირთის სიმძიმით, ყურსასმენებში მჭახე მუსიკით და ძილ-ღვიძილით — საერთო მდევარს გაფურბით ყველა — და სულ უფრო ვუახლოვდებით — ერთ გორგალში ჩახვეული უთვალავი ტრაექტორიით — ბებერ მინოტავრს — უიმედოდ თანასწორნი, დაკარგულნი, დროებითები.

*** ტაფას საათი დავახალე — თითქოს კვერცხია. რადგან წუთები ველარაფერს ველარ შეცვლიან წარსულში, დაე მომავალი შეცვალონ, რადგან ეს მომავალი სულ იცვლება, ვერასდროს დადგა და ვერც დაგუბდა. ვერც დაგუბდეს. ცვილად და თიხად იძენებოდეს მომავალში — იმაზე დიდხანს, ვიდრე წარსულში და ანწყობი იძენებოდა. ვიდრე თოვლია, ვიდრე მზეა, ვიდრე ქარია — იხვენებოდეს დეტალებად, კულინარიად, მეცნიერებად, პოეზიად, რადგან ძალიან შორია მისი ჰორიზონტი — ვერასდროს ობად ვერ მოეკიდოს არაფერი. გაგრძელდეს თხრობა.

დაიწყება თუ არა ომი

ჩვენ ვერ ვიქცით კაცობრიობად. ვერ ვიქცით ადამიანებად. ანტიკური ომებიდან დრო გამოჭრეს საომარი ხომალდების ბასრმა წვეტებმა. მკვლევლობები გმირობებად შემოგვასალეს მეფეებმაც და პოეტებმაც. პაიკებად შეკუმშულა ყველა ქვეყანა, რომლის უკანაც არ გუგუნებენ ატომური რეაქტორები. ჩვენ ვერ ვინწინეთ ჩერნობილი, ვერც ჰიროსიმა, ვერც აუშვიცი, ვერ დავინახეთ, რომ

მთლიანი და მარტოსულია ეს პლანეტა, კოსმოსური ხომალდების და 5 ჯი ინტერნეტის ქსელებში სწრაფად გამრავლებული კადრებიდან ვერაფერი ამოვიკითხეთ. ვერავითარი ინფორმაცია. მხოლოდ პორნო და სასტიკი სცენები და მექანიკური თამაშები, სადაც თითი უნდა ურტყა ერთადერთ ღილაკს. დაიწყება თუ არა ომი? ეს გავს მაგნეტო-რეზონანსული ტომოგრაფიის პასუხის ლოდინს —

როდის გასკდება ანევირიზმა შუბლში ან მკერდში. ექიმები თავებს აქნევენ.

არ ამბობენ არც — ჰოს, არც — არას. ამბობენ, შანსი მაღალია, თუმცა იქნებ დარჩეს კიდევ ასე, მფეთქავად და არ განყდეს — სადაც ვიწროა. დაგჭირდებათ ოპერაცია. სახმელეთო. თავდაცვისთვის. თქვენი მტერი სიმსივნეა. ჯერ არ ვიცით მისი სტადია. ყველა კადრი, ყველა სტატია, ყველა სამიტი იტრიალებს ომის გარშემო. სიტყვით გამოვლენ პიჯაკიანი კაცები, ვისი ზურგის უკანაც გუგუნებენ

ატომური რეაქტორები, ბრაზიანი ხმებით ისევ დაანესებენ მკაცრ სანქციებს, გაიყლერებს მუქარა, რომ

დაეცემა აქციები ნავთობზე და ალმასებზე. თქვენს გვერდით ვართ, ღმერთი გფარავდეთ — ეტყვიან ჭაბუკ ჯარისკაცებს და მათ დედებს და მათ შვილებს და მათ მომავალს აიფარებენ ფარებად და ეკრანებად, რომ ჭკნობამდე მიიტანონ საკუთარი სხეულები ომისა და მშვიდობის მიღმა — დიპლომატიურ მარტოობაში.

რუსული რულეტა. ამერიკული მთავი და მთავი

რუსულ რულეტკას გავს სიყვარული — ბარაბანი დააბზრიანე — თუ გაგიმართლებს, საზეიმოდ გაისვრის ექვსჯერ და საქორწინო ფოტოებზე ბედნიერება აღიბეჭდება — შამპანურით, მონწეებით, თაიგულით — ხელუკულმა გადასროლილით. ტორტი იქნება — ზაფხულივით, კაბა — თოვლივით



ჩეკურიშვილი

მასთან უკვე წრე მაქვს შეკრული,
ნაკუნებად მაქცია და
მონდომებით კეპავს ჩემს ხმასაც,
უნყვეტად რომ იმეორებს ახლა შენს სახელს.

და უკვე იმდენ ნაწილად ვარ მიმოფანტული,
ყველა უჯრედით შევიგრძნობ და ვეხები
შენს შიშს.

მას ფერები არ დაუკარგავს,
ჭრელია, როგორც გველეშაპი —

ქართული მინანქრის ხატებზე

და მასავით გაქვავებულია
მოსალოდნელი სიყვარულის ზაფრით.

დაბრუნება: ღუმუხის სიმღერა ინანას

ბუმ მთელი ღამე იფრინა და ახლა აქ არის.
ფრთები დაკეცა ტყის პირას და ხეს შეეფარა.
როცა გათალეს ქვის ფილა და როცა ზამთარი
ჭირხლით ქარგავდა ქარაგმებს და თითზე ართავდა,
როცა ჩავეშვი მინის ქვეშ და მინაც დამთავრდა,
როცა დაირღვა დროის სიმყარე,
და როცა შიშით აღარ ვიყავი —
იმ ამბავს ვყვები, ვიდრე ისევ ლურჯად ინათებს,
იმ ამბავს ვყვები, რაც ინანე და არ ინანე,
როგორ ნახვედი, რა ვიფიქრე, რა მეტკინა მე,
უკან რამდენჯერ გამომხედე, ვიდრე შიშველი
ბოლოს ჩემს სახელს ამოთქვამდი, როგორ გიშველე
და ქვის ფილაზე ამოგაკვეთე
და სიტყვებიდან ახლაც წვეთავ,
ისევ ვმღერი და გელოდები ლოცვად დამდგარი.

ბუმ მთელი ღამე იფრინა და ახლა აქ არის.

ეძღვნება მ.მ.-ს

ნასკლა: გუს სიმღერა ინანას

უნდა დაგტოვო,
მაგრამ იცი, მუდამ ვბრუნდები.
რალაც ნოტიო,
სისხლის ფერი ისევ გუბდება
ჩემში
და ავად მიჭრელდება თვალის გუგები.

საით მივდივარ, ჯერ არ ვიცი, ან ვინ მეძახის,
იქნებ გზის პირას დავინახო, ან ფრთა შევახო,
ყველა სახელი, რაც ვიცოდი, დღეებს შეახმა.

ყველა ამბავი, რაც აქამდე ერთად გადაგვხდა,
რაც შეინახა თიხის ფილამ ანდა ქალაღმა,
რაც დაგვაგინდა, ან თანდათან დრომ გადაკარგა,
ერთად შეიკრა, ამოძრავდა, ფრთებზე დამკრა და

უნდა გავიდე იგავიდან,
იქნებ ნიშანი ვიპოვო და
კვალი გაავლოს მიტოვებულ,
ბნელში დარჩენილ მწყემსთან,

სენი სენზე რომ ემატება,
გულს რომ უსერავს ტოტებით,
თავს არიდებენ ტოტემებიც
ლანდადქცეულს და მეტრფეს.

მე უკან ყურებაც შემიძლია,
თვალის დახუჭვაც შემიძლია,
ბნელში დანახვაც შემიძლია,
დაბადებიდან მოგდე.
როცა მეძახი, შენთანა ვარ,
სანამ ჩრდილი მაქვს, შენთანა ვარ,
ვიდრე გაიფიქრებ, შენთანა ვარ,
სიკვდილსაც უთხარი, თუ მოგვკვდე.

„ბუმ იტირა, იტირა და დაბრუნება“ —
მამაჩემის ნათქვამი.

დღეს კვერცხები დატოვა და
აივან-აივან,
მშიერ დედის მუჭამდე, სულ ერთი
ფრთით მიფრინდა,
დედას შეეცოდა და ასე დარჩა მშიერი,
შვილის ნარჩენ ნამცეცებს ფრინველი
ჭამს მუჭიდან.

მე რომ ამას ვუყურებ,
სიყვარულიც არ მინდა.

მინდა, შემოგახარო, რა რთულია
სამყარო...

შენ ადგები დილით და მარგალიტის
ფასიან

პიჯაკს ისე შეიკრავ, თითქოს უნდა
დაახრჩო,

მაშინ როცა დედები სინთეტიკა
ბიუსტპალტერს

რძით სვრიან და ჯავრობენ,
ჩამოშვებულ კერტებზე თავთავი რომ

არ მოდის,
ხვალ რა მისცენ

უბუმბულო მერცხალს და
ბავშვის მამაც არსად ჩანს გაბზარული

ფანჯრიდან.

შენ წვეები სიტბოში,
უშვილო და უცოლო.

როგორ უნდა მიყვარდე, როცა ისიც არ
გესმის,

რაზე ვფიქრობ მდუმარე,
რატომ არ ვნმენდ ზამთრობით ფანჯრის

რაფებს თოვლისგან,
რატომ უნდა მოგიყვე, ცოცხლად როგორ

გადავრჩი,
როცა ისიც არ იცი, სიცოცხლისთვის

რა მინდა.

მე მექნება ვერანდა
ჩიტებით და მერცხლებით,

ფეხებს შემოვალაგებ
ხის გაცრეცილ მოაჯირს.

შენ ჩემნაირს ვერადა,
თუმცა ჩემზე უკეთესს,

როგორც ზღვაზე თოლიებს,
უამრავჯერ იპოვი.

ჩემი კაცი სხვა არის...
ზეცის თვალებს

ატარებს, ალბათ ცოტა სიმშვიდეს...
ჩემს საუბრებს ჩიტების უიმედო

შიმშილზე
უამრავჯერ მოისმენს...

ურჩხულებიც გაქრება ლოგინზე.
დღეს კვერცხები დატოვა და

აივან-აივან,
მშიერ დედის მუჭამდე, სულ ერთი

ფრთით მიფრინდა,
შენ კი ისიც არ იცი, რაც გაცვია, რა

ლირდა...

შენ კი ისიც არ იცი, სიცოცხლისთვის
რა მინდა...

ჩემსავით წითელ ბრონეულებს
მანვდის გალია,
დაბზარულ ბილიკს მიუყვება

წვიმა დარამდის,
მთელი თვე, სწორედ, ნაბიჯ-ნაბიჯ

ასე გავლიე,
შენ დადუმდი და მე ჩრდილივით

დავპატარავდი.
ოქტომბერია, აღარც მზეა,
არ დამდის თქორი,

ნარმოიდგინე, ჩიტებით რომ
იკვებებოდნენ

პურის მარცვლები,
ცას კეცავდნენ ქარი და ქორი,

ფანჯრები დუმან, ისე დუმან,
სიტყვებს ასცდები.

ნარმოიდგინე, ჩემს მაგივრად,
სარკმელთან კვდები,

ელოდებოდე მტრედებს, წითელ
ნაფეხურებით,

შენ ოქტავიდან ოქტავამდე
დამაბნევე კდემით,

გზაზე კი კვნესით ჩამოივლის
ზამთრის ურემი.

ვილაპარაკოთ, თუ სიტყვები
ჰგვანან ალერდებს,
მეხვევიან და იარებზე

კალათებიან,
სიჩუმე ისე მარტივია, სიტყვებს

ავედრებ,
შენ რომ უღიმი, ის ჩრდილები

შორი მთებია.

ვიდრე სიგიჟე, მზის ღიმილით,
მიატანს ჭამდე,

ძველი თუნგივით ჩაიქცევა ზამთრის
ზღვასავით,



ნინა სამხარაძე

პურის მარცვლები (ნარმოიდგენ?)
ჩიტებს რომ სჭამდნენ

და იქნებოდა ეს ზამთარი ასე
მთარსავი.

ჰოდა, ასეა, როცა სდუმხარ,
როცა სარკმელთან

ჩიტების ბოლო ამოკვნესის
დაგრჩა ვალები,

ჩანჩქერი თოშით დადუმდება,
ცრემლს რომ აკმევდა

და უფრო ბოლოს აღარ რჩება
არც ნაკვალევი.

შემოდგომური ფოთლისფერის
და შენი ჩრდილის

ფერები მიყვარს, მზის სხივებით
ამომწვარები.

იქნებ გჭირდები ახლა, ღამით,
ან იქნებ — დილით,

რომ უშენობით მეტკობი და თან
მემწარები...

ღმერთის ნარჩენებს გემო კი...
აქვს, გემო ნეკერჩხლის,

გემო სხეულზე ჩამომდნარი
წვიმის და თოვლის,

დღეს ისე ვუცდი ცივ ხელებზე
სველ და ნაზ ფიფქებს,

ვით უნაყოფო ქალი ელის
თბილ ახალშობილს...

ის არ ბრჭყვიალებს,
სამშობლოს ვინრო მკლავებში

სუნთქავს
და როცა მკლავებს ყელზე უჭერს ჩემი

სამშობლო,
მინდა, მივიდე, კაშნესავით მოცხნა

და ვუთხრა,
— იცი ეს კაცი, ყავისფერ თმით და

თეთრი კანით,
შენში იზრდება, რომ გკვებოს და

ცოტაც გაცოცხლოს,
ჯერ თავის თავით, შემდეგ შვილით,

შენი შვილიშვილებით,
შენ კი დგახარ, ძვლებს ულენავ და

იმ თითებს უმტვრევ,
შენს ტანზე ჯებირებივით რომ

უნდა შეიკრას.

ეს კაცი ზინავს,
ამას ვხედავთ მხოლოდ მე და შენ,

რადგან მე მიყვარს, შენ კი გინდა,
უყვარდე ვინმეს.

ეს კაცი არის ჩემი ბოლო, შენი სანყისი
და როცა მის მხრებს მთელი შენი

ძალით აწვები,
მინდა, მივიდე, მოვეხვიო და მის სხეულზე

ისე ავყვავდე, რომ შენიშნოს
მთელმა სამყარომ.

იცი ეს კაცი
წრფელი არის, როგორც ბუნება...

როცა ქუხს, შემდეგ ყოველთვის წვიმს.
გელამუნება

ყველა მისი ფიქრი და გრძნობა
და რამდენჯერაც მას დანგრევ,

ჩემო სამშობლოვ,
მინდა, იმდენჯერ ავაშენო, რომ

შენთვის მოვკლა,
როგორც ჩვენ ყველა შენს ტერფებთან

უნდა ვკვდებოდეთ.
მაგრამ ეს კაცი სულ სხვა არის...

მან იცის გლოვაც,
ცრემლების ნაცვლად ნაცრისფერი

მტრედები სცვივა,
და როცა შენი ვინრო მხრები დაუნყებენ

ხრჩობას,
იქვე ვიქნები, მის წილ წყლად და მის

წილ ჰაერად.

იცი ეს კაცი,
ჩალისფერ თმით და თეთრი კანით,

მთელი სხეულით, გონებით და დროით დაგიცავს,
რადგან, სამშობლოვ, დედა სამშობლოვ,

შენც ქალი ხარ...

აღრმე თუ გვიან დგება შინაგანი ცვლილებების დრო, მათკენ, თუკი ისინი მომნიშვნელოა, სრულიად უმნიშვნელო მოვლენამაც შეიძლება გიბიძგოს: ლამაზმა ხემ, ხედმა, მზის ჩასვლამ მთებში ან ღრუბლებიდან გამოსრიალებულმა მთვარემ. ისტორიული ადგილებიც ახდენს გარკვეულ გავლენას ადამიანზე — ვინ იცის, რამდენი ბრძოლის ველი ქცეულა პოეტების შთაგონების წყაროდ. გავიხსენოთ თუნდაც ფარსალუსი, სადაც კეისრისა და პომპეუსის ჯარები ერთმანეთს შეეჯახნენ...

უნდა გამოგიტყდეთ, მეც მქონდა ჩემი ფარსალუსი, მისტიკური ადგილი, რომელმაც შემეცვალა. ახლა სწორედ მის შესახებ მინდა გაიგებოთ...

დაბადება

ანყურში მოხვედრას ჯუანშერს უნდა ვუმაღლოდ, ივინის ერთ ჩახუთულ საღამოს სწორედ მან მიჩნია, თბილისში ტყუილად ყოფნას გირჩევნია, ანყურში ნამომყვე, მესხეთსაც ნახავ და ანყურის ღვთისმშობლის ტაძრის ქვალორღისგან განმეზღვრე მოგვეხმარებო. მესხეთში ნამყოფი არ ვიყავი, ისე გავხდი 25 წლის და ეს არც უნდა გამკვირვებოდა, რადგან კომუნისტების ეპოქაში მესხეთ-ჯავახეთი სასაზღვრო ზონა იყო და იქ უსაშვოდ არავის უშვებდნენ, თუმცა ტურიკას განსხვავებული აზრი ჰქონდა:

— კომუნისტები სამშობლოს გვიმალავენ, პატრიოტული გრძნობები რომ არ გაგვეღვიძოს და დამოუკიდებლობა არ მოვითხოვოთ, — იტყოდა ხოლმე.

ასე იყო თუ ისე, მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლების ნახვა ადამიანს მართლაც დიად წარსულზე ფიქრისთვის განაწყობდა და პატრიოტული გრძნობებითაც ავსებდა. ანყურის ღვთისმშობლის ტაძარი ოსმალებს დაენგრიათ, განმეზღვრით-სარესტავრაციო სამუშაოებში ჩართულები, მინისა და ქვა-ლორღის გამოტანისას, ხანდახან ადამიანის ჩონჩხის ნარჩენებსაც ვპოულობდით და მახლობელ გორაკზე ვმარხავდით. შესაძლოა, ისინი ქრისტიანობისთვის ნამებულთა ნეშტები იყო ან მაჰმადიანი ქართველების, ტაძრის კედლებიდან საკუთარი სახლების ასაშენებლად ლოდებს რომ აძრობდნენ და გუმბათის ჩამონგრევისას დაიღუპნენ.

პირველსავე სამუშაო დღეს მგარად გავიოფლე (ურეკას დავატარებდი). არავინ ჩერდებოდა და მე ხომ არ დავეყუდებოდი უსაქმოდ. ასზე მეტი ურეკა გავიტანე. ჯუანშერმა მითხრა:

— საღამოს ცურვით ჩავუყვეთ მტკვარს, საშიში არაფერია, მე ცურვა ნებისმიერად არც ვიცი და მაინც ვებედავ, წყალი თავისით წაგიღებს, დალილობაც მოგეხსნება. უკანა გზაზე სხვებივით სკოლისკენ არ დავძრულვართ, რომლის შენობაშიც ვიყავით დაბანაკებული. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ავუყვეთ. ცურვა მიყვარდა, სპორტული მიღწევები არ მქონდა, თუმცა ლაგუნა ვერეზე აბონემენტით გათვალისწინებულ 45 წუთში 1800 მეტრის დაფარვას ვასწრებდი. ეს იყო ჩემი რეკორდი. წყლის შიში არ მქონდა, ასე რომ, ჯუანშერს სიხარულით გავყვევ. დაახლოებით 500-600 მეტრი ავიარეთ, მერე კი წყალში შევედი.

ერთ ადგილას დინება სწრაფია, აი, იქ, მდინარე რომ უხვევს. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ნაპირს მიგანარცხებს. ეცადე, ღრმა წყალში იცურო, ლოდებსაც არ შეეჯახები. ანყურის ციხესთან მტკვარი ტბასავითაა, თავისით გაგაჩერებს, — გამაფრთხილა ჯუანშერმა.

მისი ინსტრუქციები გამომადგა. თუმცა ცურვისას მოხდა რაღაც, რასაც სიწყვეტით ვერ გადმოგცემთ. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რაც შემემთხვა. ანყურის ციხე საღამოს მზის სხივებზე უჩვეულოდ ლამაზი იყო. წყლიდან რომ ავხედე, მორუხო, ჟღალი ფერი დაჰკრავდა. ერთდროულად პირქუშიც იყო და ნაზიც. თან გოლიათურ ენერგიას ასხივებდა, რაღაც ვიგრძენი, თითქოს ნინაპრების ძალა შემოვიდა ჩემში. მივხვდი, აქამდე რა პატარა და უსარგებლო ადამიანი ვიყავი. ჩემი დასავლური განათლებით მომწონდა თავი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო ფოლკნერის, სელინჯერის, თომას მანის, ჯოისისა და სხვათა თხზულებები, მაგრამ საქართველოს ისტორიისა და კულტურის



შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. რა დიდი რწმენა, სიყვარული და სათნოება გამოსჭვიოდა ქართული ფრესკებიდან! მეფეთა და წმინდანთა სახეები თითქოს მიღმიერი სამყაროდან შემოგვეცქეროდნენ. არც კი ვიცოდით, ჩვენი ეკლესიების უმეტესობა ვის მოეხატა. ზოგიერთ ფრესკაზე მხოლოდ ქარაგმულად მიენერა მხატვარს თავისი სახელი. არც დიდებულ ტაძართა და ციხეთა ამგებების ვინაობა შემოენახა ჩვენთვის შემეცნა. როგორი თავმდაბლები ყოფილან ჩვენი ნინაპრები! მე კი 25 წლის ასაკში რა შემეცნა? რითი შემიძლო მეამაყე? მათ ფრჩხილდაც არ ვვირდი!

აი, დაახლოებით რას ვგრძნობდი ანყურის ციხის დანახვისას. მოგვიანებით კი, წლების შემდეგ, იმასაც მივხვდი, რომ ანყურში ყოფნა რაღაც ახალთან შეხებას ჰგავდა, თუმცა ამავდროულად იმ მისტიკურ წარსულთან დაბრუნებასაც, რომელიც ჩემს ანწყურსა და მომავალზეც მოქმედებდა. რამდენჯერმე დამესიზმრა კიდევ ანყურის ციხე, თითქოს წარღვნამდელ ეპოქაში ვცხოვრობდი და რომელიღაც დიდებულის უკანონო ვაჟი ვიყავი, ციხის მახლობელ მონასტერში პოლიტიკური მიზეზების გამო გამოკედილი. ტუსადმა პირველად სწორედ იქ ვნახე ქალი (მონასტერში მოსული მდიდარი ქველმოქმედი ქვრივი), რის შემდეგაც გაქცევა გადავწყვიტე. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ სიზმრად ნანახ ქალს ჩემი მომავალი მეუღლის თვლების ჭრილი ჰქონდა.

რას ნიშნავდა ეს უცნაური სიზმარი, დღესაც ვერ ამიხსნია, თუმცა ერთ რამეში კი დავრწმუნდი, ფარსალუსის არ იყოს, ისტორიული ბრძოლის ველს ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედების უნარი გააჩნია.

რაზმი

ანყურის ჯგუფიდან ზოგს ადრეც ვიცნობდი, მაგალითად, თენგიშ მარმანაშვილს, ჯუანშერ ტიკარაძეს, ბერდია არაბულს... მასზე უწყინარი ხევსური არც მინახავს,

ერთთავად ილიმოდა. თუმცა მკლავში საოცარი ძალა ჰქონდა. „ჩაის სახლში“ ხელს ვერავინ უწევდა, ხანდახან გეგების სტუდენტებიც მოდიოდნენ მასთან გასაჯიბრებლად. არც იძაბებოდა, ადვილად ამარცხებდა მეტოქეებს. ზაზა დვალი ამბობდა, შეიძლება გურამ ფალავანდიშვილმა აჯობოს, მასაც ძლიერი ხელი აქვსო. თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად ერთ ამბავს გვიყვებოდა, გურამს თურმე ხევსურეთში ღორის დაკვლაში მიუღია მონაწილეობა. ყველაზე რთული დიდი ღორის უკანა ფეხის გაკვეთა იყო, გურამს ბოლომდე ეჭირა, რამაც მასპინძლები გააკვირვა. მაღლიერებს ცხენი გამოუყვანიათ და უთქვამთ, ისეირნე, სანამ არ მოგწყინდება, კარგი ვაჟი ხარო. თუმცა მე ბერდიას ვანიჭებდი უპირატესობას. ჩემი აზრით, ცელზე ნავარჯიშევეს მეტი ძალა ექნებოდა მკლავში, თანაც საღამანდრასავით იყო, ცეცხლში არ ინვებოდა და წყალში არ იხრჩობოდა. ერთხელ მთამსვლელ მიტო დანგაძის სენბერნარმა უკინა. ბერდოს არაფერი მოუვიდა, ძალი კი მაღლეე მოკვდა. მისთვის ბერდიას საწინააღმდეგო აცრები უნდა გაეკეთებინათ და გადარჩებოდაო, ვამბობდით ანყურელები.

ჩვენი რაზმი შემდეგი პრინციპით იყო დაყოფილი: მძიმე არტილერია (მინის მომჭრელები და ნათალი ქვების გადამტანები); მსუბუქი კავალერია (მინის გამტანები); გიგანტები (დიდი ლოდების ამწეები) და ნიჩბებით ურიკებში მინის ჩამყრელები (ძირითადად, გოგონები). 1987 წლის ანყურის რაზმის შემადგენლობა კი ასეთი იყო: მეთაური — ნიკო ნიკოლოზიშვილი, ექიმი — შალვა პეტრიაშვილი, მინის მომჭრელები (რომლებიც ნათალი ქვებისა და ლოდების დამხარისხებლების ფუნქციასაც ითავსებდნენ) — ბერდია არაბული, ვახო ჭინჭარაული, გია ხაზალაშვილი (მავრი), ალექსანდრე ბასილაშვილი (ბრძენი), თედო ისაკაძე, თამაზ მარტინენკო (ადგილობრივი), ჯუანშერ ტიკარაძე, გელა ბაზიარი; მეურიკეები — დათო ტურაშვილი, დათო აბულაძე, გაგა შურღაია, ირაკლი ანთელა-

ვა, თქვენი მონა-მორჩილი — თემურ გაბუნია, თენგიშ სიდამონიძე, ღვთისო მამისიმედაშვილი და დალი ჭეიძე (რომელიც ისეთი პროფესიონალი იყო, რომ გვიჭირდა მასთან გატოლება); მინის ჩამყრელები — ფიქრია ჩინრაძე, ნანა ბოკუჩავა, ირინა იაშვილი, ნინო ბარძიმიშვილი, მაია მელიქიძე, ქეთი ლოლობერიძე (ჩემი მომავალი მეუღლე), თამუნა თითმერია, ბაია გრიგალაშვილი და ლელა ჯაფარიძე (ამჟამად — დედა მარიამი). მოგვიანებით გვესტუმრნენ: თენგიშ მარმანაშვილი, ზურა ლობჯანიძე, ზაზა დვალი, ლევან თითმერია და გორჩა საითიძე.

ბერდია ჩრდილში იჯდა ხოლმე და თავის დროს ელოდა. თუმცა ხელში ლომსა და წერაქეს რომ აიღებდა, მინიტრაქტორით იყო, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. ის არც ახლა ლალატობს თავის სტილს, მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, ბარისახოში მუშაობს მასწავლებლად. ერთი პერიოდი შუაფხოს სკოლაში ასწავლიდა. ხუთი შვილის მამას დღეში ოცდაექვსი კილომეტრის ფეხით გავლა უწევდა (სახლიდან სამსახურამდე და უკან). ახლა კი უკვე ორი შვილიშვილის პაპაცაა. სწორედ ასეთ წყნარ ვაჟაკებზე დგას საქართველო და არა კლოუნებზე, საკუთარი თავის გაპიარება ცხოვრების წესად რომ უქცევიათ. მას თავისუფლად შეეძლო თბილისში დარჩენა, კომფორტულად ცხოვრება, მაგრამ უფრო რთული გზა აირჩია. ჰო, ის მაშინაც ჩრდილში იყო, მაგრამ მუშაობას რომ იწყებდა, ვაჩერებდით, ამდენ მინას ნუ მოჭრი, დაიტკეპნებაო...

რატომ არ ჰქონდათ კომპაზიკრალუს უკვამი

ანყურის ღვთისმშობლის ტაძრის ქვალორღისგან განმეზღვრით დაკავებულ სტუდენტებს ხანდახან კომკავშირელები გვესტუმრობდნენ რაიონული ცენტრიდან და თავიანთ მოთხოვნებს გვიყენებდნენ:

— სასურველია, დილით ხაზი მოაწყეთ, ნითელი დროში აღმართოთ და საბჭოთა კავშირის ჰიმნი მოისმინოთ, რადგან მაინც შრომით სემესტრში ხართ, — გვირჩია ერთმა. მას ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკო ნიკოლოზიშვილი დაუპირისპირდა „წონადი არგუმენტებით“. ნიკოსთან რომ ვერაფერი გააწყობ, კომკავშირის ბოსმა ამჯერად რატომღაც ბერდია (ბერდია არაბულს) დაადგა თვალის და უსაყვედურა, შრომით სემესტრში წვერით რატომ ხარო.

— ხომ ჰქონდა მარქსს წვერი, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს? — იკითხა ბერდიამ.

— ნამდვილად ჰქონდა, — უპასუხა სტუმარმა.

— ენგელსს უფრო პატარა წვერი ჰქონდა, ლენინს — ბლანჟე, სტალინს კი — მხოლოდ უღვაშები.

— ჰო... — დაბნეულად დაეთანხმა კომიტეტის მდივანი.

— თქვენ კი, თანამედროვე კომკავშირელებს, უღვაშებიც არ გაქვთ და იცით, ეს რისი ბრალია?

— რისი? — დაინტერესდა სტუმარი.

— კომუნიზმის რწმენა ნელ-ნელა ეცემოდა მარქსიდან სტალინამდე, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა წვერ-ულვაშში. თქვენ, თანამედროვე კომკავშირელებს, კომუნისტური პარტიის უკვე აღარ გჯერათ, არც კომუნიზმის, ამიტომ არათუ წვერი, უღვაშებიც არ გაქვთ.

იმ დღის შემდეგ კომკავშირის ბოსს ჩვენთვის შენიშვნები აღარ მოუცია...

გელა ბაზიარი

გელა ბაზიარი ანყურში გავიცანი 1987 წელს. ისიც ჩემსავით პირველად იყო მესხეთში. ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე ყოფილი ძიუდოსისტს მინის მოჭრა, ლოდების ნაშალიდან ამოღება და გადატანა ევალეობდა. ერთხელ ნამდვილი სასწაული მოახდინა. ნიკო და ჯუანშერი დიდხანს ეჯავჯურებოდნენ დიდ ლოდს, თუმცა უშედეგოდ. სწორედ ამ დროს შემოვიდა ტაძარში საოცრად ლამაზი ადგილობრივი უურნალისტი გოგონა, რომელსაც არ სჯეროდა, რომ ამხელა ნათალი ქვები სტუდენტებს მიეწყობოთ კედელთან, ალბათ ტექნიკასაც იხმართ, მინიტრაქტორს მაინცო, გვითხრა დაეჭვებით. ჩრდილში დასა-

სვენებლად ჩამომჯდარი გელა უცებ გამოცოცხლდა, წამოდგა, ლოდთან მივიდა და ენის მოჩლეკით თქვა:

— ჯუანშერ, მაიჩა, მაიჩა!

მერე კი მთელი ტანით მიანწა და ერთი მოძრაობით გადააგორა. იმ საღამოს ნიკოლოზიშვილს ვეხუმრებოდა, ის გოგონაც ჩავრიცხოთ ჯგუფში და სამი წლის საქმე ერთ თვეში შესრულდებოდა.

სამწუხაროდ, დღეს გელა ჩვენს გვერდით აღარაა, ყოველთვის როცა ვიხსენებ, რატომღაც ის დღე მაგონდება, უზარმაზარ ლოდს რომ შეეჭიდა...

წითელი რკინიგზი

ერთხელ გოგონებს ვუსაყვედურეთ, შარვლები რომ გვესვრება, რატომ არ გვირეცხავთო. ჩვენმა პროტესტმა ყველაზე მეტად გელა და ჯუანშერი დააზარალა. გელას დიდი ზომის წითელი სპორტული რეიტუზი ეცვა, სწორედ ის დაუტოვა სამორიგოდ დარჩენილ გოგონებს გასარეცხად, თვითონ კი გამოსასვლელი შარვლით გავიდა სამუშაოდ. წითელი სპორტულები გელას აწყურში აღარც ჩაუცვამს, რადგან ერთხელ გაურეცხეს, მერე კი ყოველ საღამოს უსველებდნენ. უკვირდა, ეს რა კლიმატია, ყველაფერი გვიან შრებაო. არც ჯუანშერი იყო უკეთეს დღეში, რადგან ხშირი რეცხვისგან შარვალი ისე დაუმოკლდა, რომ წვივები უჩანდა. დათო ტურაშვილი ყველაფერს მიხვდა. ხშირად იმეორებდა ამორჩეულ ფრაზებს კინოფილმიდან სინათლე ჩვენს ფანჯრებში, რომელშიც იმავე ოინზე იყო საუბარი. ფილმის გმირს ბიჭები გასაშრობად გაკიდებულ შარვალს განგებ უსველებდნენ. ტურიკა ურიკას დაატარებდა, თან ხუმრობდა:

— აქ ისეთი ნესტია, ყველას რევმატიზმები დაგვემართება... ახალი პიჯაკი შევიკერე, ბუკლესია. ბიჭები დამცინიან, ძუნწი ხარო, მაგრამ რა ვქნა? სახლი ხომ უნდა ავიშენო?

ბრძენი და ქნარა

ჩვენი მზარეული ქნარა დეიდა იყო. მას განსაკუთრებით ალექსანდრე ბასილაშვილთან მოსწონდა გასაუბრება. ბრძენი რაღაც ნაწყვეტს ნაუკითხავდა ლექსიდან, ქნარა კი ყველაფერს პირდაპირი მნიშვნელობით იღებდა. ერთხელაც, აწყურის ხიდიდან მტკვარში გადახტომის შემდეგ, გამძაფრებული პოეტური განწყობით შემოვიდა სასადლოში და ქნარა დეიდას პირზე მომდგარი ლექსი აჯახა:

— მთელი ზამთარი ზუღადღოვის ტყეში მეძინა, იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასატა!

— რათა, შვილო, რათა?! — შეიცხადა ქნარამ, — თუ ასეა, მოშიებულები იქნები, ორმაგ პორცია სუპს დაგისხამ.

ერთხელაც ბრძენმა გალაკტიონის ლექსიდან ნაუკითხა ნაწყვეტი, ოღონდ განგებ „ქნარის“ ნაცვლად „ქნარა“ ჩასვა:


— მაქვს მკერდს მიდებულები ქნარა, როგორც მინდა...

— როდის, შვილო, ჩვენ ხომ არასდროს გვიცეკვია? — გაოცდა ქნარა.

— ახლა ვიცეკვით, ქნარა დეიდა! — დასჭეპა ალიკამ და საცეკვაოდ გაიწვია.

სკოლა

აწყურის რაზმი სკოლაში იყო დაბანაკებული. თითქმის მთელი შენობა გვეკონდა ათვისებული, მათ შორის პიონერთა ოთახიც. იქ იაკობ გოგებაშვილის სურათი ეკიდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ დედაენის შემქმნელი პირდაპირ მე მიყურებდა და მრცხვენოდა, ნასვამი რომ ვიყავი. ადგილს შევიცვლიდი, მაგრამ საშველი მაინც არ იყო, ისევ მე მიყურებდა. გოგებაშვილის მრცხვენოდა და თამუნა თითმერიასი, ნესიერი ადამიანის, რომელიც ვახშამზე ხშირად ჩემ წინ იჯდა. დირექტორის კაბინეტში რაღაც უსახური პეიზაჟის ამსახველი სურათი ეკიდა. ჩემი მეუღლე (ქეთი ლოლბერიძე) ახლაც ხშირად იგონებს, მან და ფიქრია ჩინრადემ როგორ გადამაღეს სურათის უკან რაზმისთვის გამოყოფილი ფული, მერე კი ბიჭებს აუხირდნენ, ეს უსახური სურათი დროებით სადმე გავიტანოთო. რაზმის აზრი ორად გაიყო (როგორც



კინოფილმ ცისფერ მთებში გრენლანდიის პეიზაჟის ამსახველ სურათთან დაკავშირებით). ნაწილი გატანის მომხრე იყო, ნაწილი — წინააღმდეგი. საბოლოოდ პირველები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში და გადაწყდა, რომ დროებით სადმე შეენახათ. თუმცა ჩამოსხნისას ერთ-ერთ რაზმელს, სკამზე რომ იდგა და სურათი ხელში ეკავა, ფულის დასტა მოხვდა თავში.

— რა არის ეს?! ფული აქ ვინ დამალა? — აყვირდა ერთი.

— ალბათ ვიღაცამ ქრთამი აიღო, — გამოთქვა თავისი მოსაზრება მეორემ.

— მუქთა ფულია, მოდი, დავხარჯოთ, — მადა აღერდა მესამე.

თუმცა, ვიდრე უფროს თამამი მოსაზრებები გამოითქმებოდა, საქმეში შალვა ექიმი ჩაერთო.

— შეხედეთ, — თქვა მან, — ზედ ბულა-ლტრის ბეჭედი აზის და თარიღი, სწორედ ესენი იყვნენ თბილისში ამ დროს ფულის გამოსატანად.

ახლა ყველა ქეთისა და ფიქრიას შესცქეროდა.

— ეს რაზმის ფულია! — თქვა ვიღაცამ და სიცილი აუტყდა.

ზოგი იცინოდა, ზოგს კი რცხვენოდა იმის გამო, რაც ცოტა ხნის წინ თქვა.

საზარა

ჩემთვის აწყურში გატარებული პირველი შრომითი სემესტრი სევდიანად დასრულდა. საფარში მუხლები დავიზიანე. ექსკურსიითა და ღვინის სმით დაღლილებს ღია ცის ქვეშ გორაკზე გვეძინა საძილე ტომრებში. ღამით წამოდგომა მომინდა, კონტაქტური ღინზები მოხსნილი მქონდა. ჩემი მინუს თერთმეტიანი მოპოვით ბევრს ვერაფერს ვხედავდი. უცებ სიბნელეში ფეხქვეშ მინა გამომეცალა. უნებლიეთ სახეზე ავიფარე ხელები, სახე მაინც დამრჩეს მთელი-მეთქი, გავიფიქრე. წარმოვიდგინე, როგორ მოვიდოდა ხალხი ჩემს დაკრძალვაზე. არ მინდოდა, სუდარა მფარებოდა...



ტრაგიკული შემთხვევა

მეორე დღით საფარის ექსკურსიიდან დაბრუნებული მაინც გავედი სამუშაოდ, იმის მიუხედავად, რომ მუხლები მტკიოდა.

— შენს მუხლებს გახურება მოუხდება, ძველი ფეხბურთელი ვარ, დამიჯერე, — მირჩია ჯუანშერმა.

სკოლის შენობიდან გავედით და აწყურის ხიდი გადავიარეთ. წინ დათო ტურაშვილი მიდიოდა. ფიქრია, ქეთურა და მე უკან მივეყვებოდით. ნაწვიმარზე მტკვარი მღვრიე და მოდიდებული ჩანდა.

— იხრჩობიან! — იყვირა უცებ დათომ და თითი მეორე ნაპირისკენ გაიშვირა. წამში გაუხდელად გადაეშვა წყალში. ორ ბავშვს მოვკარი თვალი, არ მჯეროდა, თუ იხრჩობოდნენ, რადგან ნაპირთან ძალიან ახლოს იყვნენ, ხელის ერთ განწვეწვზე. თუმცა იქვე მდგარი გოგონები ყვიროდნენ, გემიშველეთ, გვიშველეთ, იხრჩობიანო. სამველად მაინც შევცურე, ოღონდ ჯერ თხუთმეტიოდ მეტრით აფუყვეი ნაპირს, რადგან მივხვდი, რომ დინება ნამილებდა და აღმა ცურვა გამიჭირდებოდა. მერე კი, მდინარეში შესვლის წინ, ტანზეც გავიხადე. როგორც გვირკვა, სწორად მოვქცეულვარ. ტურაშვილი დინებამ წაიღო და აღმა ცურვამ ისე დალაღა, რომ ბოლოს თვითონაც გაუჭირდა. სველი ჯინსებიც ტანზე ეკვროდა და ამძიმებდა. თანდაყოლილმა გულის პრობლემამაც გაუხსნა. თუმცა ისიც მნიშვნელოვანი იყო, რაც გააკეთა, რადგან ხანდახან წყალი კი არ ახრჩობს ადამიანს, არამედ — შიში, მან კი ბავშვები გაამხნევა, აგრძნობინა, რომ მარტონი არ იყვნენ.

მხოლოდ მდინარის გადაცურვის შემდეგ მივხვდი, რა ჯოჯოხეთშიც ვიმყოფებოდი. იმ სანაპიროზე ტრაქტორები იღებდნენ სამშენებლო ხრუმს, რის გამოც ამოთხრილ ორმოებში ნაწვიმარზე კალაპოტი იცვლებოდა და ძაბრები კეთდებოდა. თუ წყალზე ჰორიზონტალურად არ გასწორდებოდი და ფეხებსაც არ მიაშველებდი, ძაბრი ჯერ დაგატრიალებდა, მერე კი ჩაეთრეფდა. იქიდან გამოსასვლელად სწორი ცურვა იყო საჭირო და არა თვითნასწავლი. ბავშვებს ძალიან უჭირდათ, ცოტაც და დაიხრჩობოდნენ. მათ დათოსთვის ჩაეკიდათ ხელი და სამივენი ერთ ადგილას ტრიალებდნენ. საჭირო იყო მათი დაშორებოდა.

— ნადი, ნაპირიდან მომეშველე! — ვუთხარი დათოს. მერე კი ჯერ ერთ ბავშვს ვუბიძგე, მერე — მეორეს. ყოველ ჯერზე ვიძირებოდი, ისინი კი წყლიდან ამოდოდნენ. ერთი ბავშვი გონზე იყო, მესამედ რომ ვუბიძგე, სამშვიდობოს გავიდა (როგორც მერე გაირკვა, მტკვარი ქეთისაც გადაეცურა, ნაპირზე იდგა და წყლიდან ამოსულებს ხელს აშველებდა). მეორე ბავშვი უგონოდ იყო, წყალი ექნებოდა ნაყლაპი, ორჯერ ვკარი ხელი, მაგრამ ძაბრს ვერ გავარიდე, იძირებოდა. მესამედაც ვცადე, თუმცა ამჯერად უფრო ღრმად ჩაიძირა. თავი მკვეთრად მოვატრიალე, მინდოდა გამეგო, სხვები რა დღეში იყვნენ. გაფითრებული დათო სულ ახლოს იდგა, წყალი ყელამდე სწვდებოდა, ხელი ჩემკენ გამოემშვირა. იქვე იყო ქეთიც. ერთი ბავშვი ნაპირზე აეყვანათ. კვლავ გონდაკარგული ბიჭისკენ მივტრიალდი, რომელსაც წყლიდან მხოლოდ თავი მოუჩანდა. თემში მოვკიდე ხელი და კიდევ ერთხელ ვცადე ნაპირისკენ გაცურვა. სწორედ მაშინ გამძვრა ღინზები, ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი, ნატკეპი ფეხებიც აღარ მემორჩილებოდა, ერთადერთი გზა მრჩებოდა, ბავშვისთვის ფეხები შემომეჭო და ზურგზე ცურვით გავსულიყავი ნაპირზე. თუმცა უკვე გვიან იყო, ბავშვი ჩაიძირა.

გარდაცვლილი ბიჭის მამამ მომდევნო წელს აწყურის სკოლაში მანქანით მომაკითხა და წლისთავზე წამიყვანა.

— შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო, — მითხრა გზაში, — იმაზეც მაღლობელი ვართ, ბიძაშვილის ბავშვი რომ გადაგვირჩინე, ჩემი კი განწირული იყო. სიკვდილის წინ ცუდი სიზმარი უნახავს, დედამისისთვის დილით უთქვამს, წუხელ მესიზმრა, ვითომ მღვრიე წყალი შემოვიდა ჩვენს სახლში, ძალიან ყვითელი და ნეტა რას უნდა ნიშნავდესო.

ხმა არც ერთს აღარ ამოგვიღია, მტკვარი იმ საბედისწერო დღეს მართლაც მღვრიე და ყვითელი იყო.

დასასრული

2002 წლის ივნისში, როცა მთელი მსოფლიო ტელევიზორის ეკრანთან იყო მიჯაჭვული, და მათ შორის ლუკაც, რომელსაც ბრაზილიის ყვითელი, ცხრა ნომრიანი მანქანის მძღველი, ცხრა ნომრიანი მანქანის მძღველი, ცხრა ნომრიანი მანქანის მძღველი „RONALDO“, საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ აუცილებლად დიდი ფეხბურთელი გახდებოდა და ამას, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მაინც შეძლებდა და რომ ვეროპის რომელიმე კლუბის გრანდში თითამაშებდა და იქ ნაშოვნი ფულით, და პირველი ხელფასით, დედას ახალ ჩანთას და მამას ახალ ფეხსაცმელს უყიდდა. ლუკა იმ დროს ბავშვი იყო და ალბათ ძალიან პატარაც იმისთვის, რომ მსგავსი ფიქრები დატრიალებულიყო მის გონებაში თუმცა, საქართველოში, და განსაკუთრებით, ორი საუკუნის გასაყარზე და ახალი საუკუნის საწყის ეტაპზე, ბედნიერი ბავშვობა ძალიან ცოტას ჰქონდა და როცა დრო, როდესაც ვალდებული ხარ, ბედნიერი იყო, რთულ და გაუსაძლის დღეებში ილეოდა, ათიან წლებში ბავშვები ნაადრევად იზრდებოდნენ და ნაადრევად იწყებდნენ ფიქრს იმაზე, რაზეც, როგორც წესი, არ ფიქრობენ ხოლმე. ლუკა კიდე ფიქრობდა. ფიქრობდა სულ და ერთი სული ჰქონდა, როდის შეძლებდა იმას, რაც ჩაიფიქრა და რაც ჩაუთქვა საკუთარ თავს და რასაც სთხოვდა ღმერთს, ძირითადად, ღამით, როცა ზურგზე იწვა ჭერს მიმტერებული და ნარმოსახვაში ფინალის ყველაზე მაგარ გოლს ყველაზე მაგარი დარტყმით იტანდა მონინა-ალმდევის კარში. და ჩაესმოდა ხმა, როგორ სკანდირებდა მთელი სტადიონი მის გვარს და ჩაესმოდა ყველა ფეხბურთელის საოცნებო — ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი და უვლიდა მთელ ტანში ჟრუანტილი და ასე, ფორიაქითა და ალელვებულით, ჩაიძინებდა ხოლმე.

ერთი დღე, ერთი მომენტი, ერთი წამი და ერთი მოვლენა ცვლიდა ყველაფერს ყოველთვის და დალაგებულ, მშვიდ და აუღელვებელ ცხოვრებას თავდაყირა აყენებდა. თუმცა, ლუკას ცხოვრება არ უნდა არეულიყო. როგორც ყოველთვის, ყველა ფიქრობს, რომ რაღაც, რას მის თავს ხდება, ასე არ დაუმსახურებია, ან რაღაც, რაც სხვებს ემართებათ, მას არ დაემართება, ლუკაც იმავეს ფიქრობდა და მართალიც იყო. ლუკას ცხოვრება არ უნდა არეოდა. თუმცა, როცა ეგონა, რომ ძლიერი აღმოჩნდა და ყველა განსაცდელი გადალახა, მერე გაანალიზა, რომ ის, რასაც სიძლიერეს არქმევდა, საშინელი სისუსტე იყო და ამ სისუსტეში და სიცრუეში დაკარგა ყველაზე მნიშვნელოვანი და ამ სიცრუეში დაკარგა ყველაზე მთავარი — ოცნება და საკუთარი მეოცნებე თავი, რომელიც ყველაზე მეტად შესაანარჩუნებელი და დასაცავი იყო. იმ დღის შემდეგ, როცა პირველად გახდა მსხვერპლი დროისა და ქალაქის, და იმ ბიჭების, რომლებმაც ალბათ ერთ დროს და ერთ მომენტში ისევე დაკარგეს თავიანთი თავები, როგორც ლუკამ, რომელთაც სხვა გზა და არჩევანი უზრალოდ არ ჰქონიათ და რომელთა ჰორიზონტიც მუდმივ ნისლში იყო ჩაქარგული — ლუკა შეიცვალა და დატოვა თავისი ბავშვური და მეოცნებე სხეული და ერთი შეხედვით გულჩვილი და ორიათასიანებში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმით რომ ვთქვათ — პატიოსანი კაცი — გადაიქცა თავისივე თავის ანტიპოდად და ისევე ჩაუსხლიანდა თავლები, როგორც სხვებს და როგორც ყველას იმდროინდელ ქალაქში.

„ასეთია ქურდი კაცის ბედი... ფათერაკი მუდამ დასდევს მუდაამ...“
 „აუნი, აუნი, ჩორნა,“ — დაუძახა კოსტამ მაგნიტოფონთან ჩაცული ლუკას და ვაისროის ღერს გაუცდა.
 „და ცხოვრების ნახევარზე მეტი, ციხე-ციხე გაატაროს უნდაა,“ — აგრძელებდა სიმღერას კოსტა.
 „უიზნ ვარამ,“ — შემოალო კარი ნოპემ.
 „ხუი პრაკურორამ,“ — გადაეხვია კოსტა ნოპეს გახარებული.
 „მეორელებს დაუშვიათ მეოთხელებისთვის.“
 „რაო?“ — ნამოდგა ლუკა უცბად და ემინემის კასეტა მაგიდაზე მიაგდო.
 „ჰო, მაგარი თრახი ყოფილა ტყეში.“
 „ატრაკებ.“

„ბოზიშვილი ვიყო.“
 „მიზეზი?“
 „აზრზე არ ვარ. წამო, ქვემოთ არიან ბიჭები.“
 სულ რომ ცალი თვალი მოგეკრა, სულ რომ ერთხელ გაგესიერნა თბილისის ქუჩებში, ჩამომჯდარიყავი უზნის რომელიმე ბესეტკაში და თვალი მოგველო ქალაქისთვის, რომელიც საბჭოთა კლანჭებით დაკანრული, ნელ-ნელა მიფორთხავდა იქით, სადაც თავისუფლება და სადაც ადამიანებს, ბედნიერად თუ არა, მშვიდად მაინც უნდა ეცხოვრათ, ვერაფრით დაიჯერებდი, როგორ შეიძლება, გქონდეს ის, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა და ერთხელაც არ შეხედო, არ დააკვირდე. თუმცა, ამ ყველაფერზე დაკვირვებასა და ამ ყველაფრის შემწნევას, სჭირდება ის და სჭირდება ისინი, რომლებიც ამ დიდი გაუგებრობიდან უფრო მეტად დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ და ჩაიკარგნენ და არათუ შეივლებთან, საკუთარ თავთან ლაპარაკიც ვერ შეძლეს და არათუ შეივლებს, არამედ თავიანთ თავებსაც ვეღარ ჩახედეს თვალებში.



სწორედ ამიტომ, ქურდულ სიმღერებზე, ემინემისა და 50 Cent-ის ტრეკებზე, „ქურდი ზონაზე“ და „ნაიარევე სახეზე“ გაზრდილი ბიჭები ყოველდღიურად ერთმანეთს ეტაკებოდნენ და ამას აკეთებდნენ სულ, დაუღალავად და უზნის სარდაფებში გადამალული რკინები, დანები, კასტეტები თუ დრინები მუდმივად ჩხრიალებდა საძმოში და ალბათ მისთვის მეტად დიდ გაუგებრობაში მოხვედრილი, როგორც წესი, მსუქანი, დაჩაგრული და შემინებული და ამ ყველაფრისთვის განწირული ბიჭის სკოლის ჩანთაში.

ლუკა, კოსტა და ნოპე კიბეს სწრაფად ჩაუყვინტა ქვემოთ. კოსტას კორპუსის გადასწვრივ მდგარი ბესეტკა სავეს იყო. ძირითადად, მესამელებით და მეექვსელებით. სიგარეტის კვამლი ღრუბლებით ედგათ თავზე და ხმამალა ლაპარაკობდნენ.
 „ბარო ბიჭებს,“ — ამოილაპარაკა ნოპემ და ყველამ ერთმანეთი გადააკოცა.
 „რა ხდება?“ — სიგარეტს გაუკიდა ლუკამ.
 „გელაშვილებმა დაცხეს რატიანს.“
 „პრჩინა?“ — დაინტერესდა კოსტა.
 „ფუტბოლს ყომარობდნენ მეოთხეში და იქ მომხდარა რაღაც, მგონი, ხუივოზნა-ეტ.“
 „ვაა...“
 „დაუხოციათ ერთმანეთი, ტო. ერთი გელაშვილების დედაც მოგტყან და რატიანისაც ზედ კიდე. ჩვენ მაგათთან რა საქმე გვაქვს.“
 „როგორი მამაკაცურია, ნახე?“ — გაეცინა ლუკას.
 „ნაბიჭვარი ძმები...“ — არ ჩერდებოდა ნოდო, — მაგათ ერთხელაც თუ კოჭები არ დავეუცხრილო, ბოზიშვილი ვიყო.
 „რა იყო, ხო არ გადაგკუზებს და აბაროტზე ჩალიჩობ, შეჩნება?“ — ხელი კრა

კოსტამ ნოდოს და ყველამ ერთიანად გადაიხარხარა.
 „თქვენი არ ვიცი და მე მაგრად მაინტერესებს, რა მოხდა და რა მოხდება კიდე. სანამ რომელიმე ვილაცას ჩარევეს, ერთხელ კიდე დაცხებენ, მე ვიყო...“
 „დაცხონ, მოსტყენით გამზრდელი...“ — აგრძელებდა ნოდო.
 „ბიჭო, ნოდო, ბოზებში ნამყოფი ხარ?“
 „ნადი შენი...“
 „ქალს როგორ აქ, იცი? ასე თუ ასე?“ — ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ამოძრავებდა შეტყუებულ თითებს ნოპე და იცინოდა.
 „კაი, ბიჭო, რა ორი წლის ბავშვებით იქცევით,“ — ჩაერია ლუკა და იქვე ბორდიურზე ჩამოჯდა.
 ლუკას ცხოვრებაში თუ ვინმე სადმე ფეხბურთს ასხენებდა, ან თუ თვალს მოკრავდა, როგორ აგორავებდნენ ბურთს ტელევიზორში, ან თუ გაიგონებდა იმ ჰიმნს, რომელიც მთელი ბავშვობა ყურში ჩაესმოდა, მომენტალურად სხვა დროსა და სივრცეში გადაინაცვლებდა ხოლმე. ოღონდ

თი, რასაც გრძობდა, ზიზლი, სიძულვილი და შურისძიების სამინელი სურვილი იყო. ბიჭები, რომლებიც იქ იდგნენ და იცინოდნენ, ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ იმას, რაც მოხდა, რადგან მსგავსი რამ ძალიან იშვიათად და თითქმის არასდროს ხდებოდა ხოლმე. მაგრამ ლუკა სხვა იყო და მისი განსხვავებულობა, რამდენადაც დრამატულად არ უნდა ჟღერდეს, სიყვარულისა და პატიოსნების, სიკეთისა და უზრალეობის სწრაფად ზიზლში გადაზრდაში მდგომარეობდა და ეს იმდენად მალე ქნა, თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, ერთ-ერთ მათგანს, ფეხის კუნთში ოპინელი რომ ჰქონდა გაყრილი და ტკივილისაგან, მალალ ხმაზე რომ ღრიალებდა. შეშინებულები და დაფეთებულები რამდენიმე წამი მიმტერებოდნენ ლუკას გაყინულ მზერას და ვერაფრით იაზრებდნენ, რა მოხდა. ნითლად შეღებილი დანის პირი უფრო მეტად ელავდა ღამის სიბნელებში, რამაც მათში უფრო მეტი შიში და დაბნეულობა გააჩინა და სწრაფად ისე გაიქცნენ იქიდან, თავიანთი მეგობარი, რომელსაც მთელი

ამას, რა თქმა უნდა, იქ, სადაც სხვები იყვნენ, არ იმჩნევდა. თავის თავს სევდიანად და მეოცნებედ ყოფნის საშუალებას მხოლოდ მაშინ აძლევდა, როცა მარტო იყო. ვერაფრით იგებდა, რატომ აკეთებდა იმას, რაც ეზიზღებოდა და რატომ ვერ უახლოვდებოდა იმას, რაც უყვარდა. შეიძლება, იგებდა კიდეც, მაგრამ არ ესმოდა. 2002 წლის ფინალი, სამხრეთ ამერიკელი კიჭა და მისი ორივე საჩვენებელი თითი, რომელიც ცისკენ იყო მიმართული, სულ თავაღწინ ედგა. ედგა ის საღამოც, როცა თავის თავს პირობა მისცა და რომელი პირობაც ისევე გაუჩინარდა და დაივიწყა, როგორც საკუთარი თავი. ვილაც იტყვის, რომ სხვანაირად არ შეეძლო. მაგრამ ვილაცები ყოველთვის ამბობენ რაღაცებს და ზოგს შეიძლება, ისიც ეთქვა, რომ შეეძლო და იმაზე მეტადაც კი, ვიდრე მას წარმოედგინა. მაგრამ ვერ შეძლო.
 იმ საღამოს შემდეგ, როცა სახლში ნაცემი, დამცირებული და ნამტირალევი ავიდა, ყველაფერი, რაც წარსულში იყო, და მათ შორის ყველაზე მთავარი — მიზნები და ოცნებები — უკან მოიტოვა და ხელახლა დაიბადა. სწორედ იმ დროს და იმ მომენტში უნდა გამოეჩინა ის სიძლიერე, რომელიც რაღაც დროის შემდეგ სისუსტედ იქცა, და გამოიჩინა კიდეც. მეორე დღეს, ზუსტად იგივე დროს, ზუსტად იმ ადგილას გამოჩნდა და იმ გამოჩენამ ერთიანად ამოუყარავა ცხოვრება. ბიჭები, რომლებიც წინა დღისით ზედ აფურთხებდნენ, კვლავაც ხელში ცელოფანის პარკებით იდგნენ და იცინოდნენ. იცინოდნენ ხმამალა და იცინოდნენ ისე, როგორც ძალიან ბედნიერი ადამიანები იცინიან ხოლმე. მაგრამ ლუკას არ ეცინებოდა. გაყინული მზერითა და ჩასისხლიანებული თვალებით ნელა მიუყვებოდა სკოლის ეზოს და ერთადერთ-

ჯინსი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, იქვე დატოვებს და ღამის წყვილადაში გაუჩინარდნენ. რამდენიმეწამიანი საშინელი სიჩუმე ჩამოწვა ლუკასა და დაბლა მწოლიარე ბიჭს შორის, რომელიც იმდენი წლის იყო, რამდენი წლისაც ლუკა და მათ შორის ჩამონოლილი სიჩუმე იყო უფრო მეტად ყვირილი, ვიდრე უმედი და იყო ყვირილი ქვეყნის და იყო ყვირილი ხალხის და იყო ყვირილი საზოგადოების, და იყო ყვირილი ეკლესიის და იყო ყვირილი ღმერთის და იყო ყვირილი ყველასი, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა და ეს დუმილი იყო ყველაზე ხმამალალი რამ, რაც კი ორიათასიანების დასაწყისში ყოფილა და ეს დუმილი ალაპარაკდა ბავშვებზე, რომლებმაც მიატოვეს ყველა და ყველაფერი, რომლებმაც სიყვარული ჩაანაცვლეს ზიზლითა და სიძულვილით და რომლებსაც ისე სძულდათ, როგორც უნდა ჰყვარებოდნენ და ასე და ამგვარად, ეს დუმილი იყო ლუკას თვლებიდან ცრემლი რომ გადმოადინა და ეს დუმილი იყო დაბლა, ტკივილისაგან დაკრუნჩხულ ბიჭისკენ, ხელი რომ გაანოდებინა წამოსაყენებლად და ეს დუმილი იყო, ლუკა მთელ უზანში ერთიანად საშინად და მეორეს მხრივ, მეგობრობისათვის, ძმაკაცობისთვის და ძმობისთვის, იდეალურ ინდივიდად რომ აქცია.

როცა ლუკა საბოლოოდ ქუჩაში გავიდა, სრულიად მარტო იყო. სწრაფ, დაუგეგმავ და მოულოდნელ მეტამორფოზს ყოველთვის ახლავს ხოლმე პრობლემები და მითუმეტეს ქუჩაში და მითუმეტეს იმ დროს, როცა დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ იყო და ამ ყველაფერს უმრავლესობა თავის დამკვიდრებას ცდილობდა. მაგრამ ლუკა ყველაფერს მარტივად მოერია.

ასე, ნელ-ნელა და ეტაპობრივად, ყველა უბანში და ამ უბნის ცალკეულ რაიონებსა თუ კვარტლებში, ჩნდებოდნენ ბანდები, ჯგუფები, საძმოები და სამძაქაცოები, რომელთაც ერთმანეთთან საერთო ენის გამოწვევით უჭირდათ და მეორელები იზიზღებდნენ — მესამელებს, მეოთხეკვარტლებს — პირველკვარტლებს, დიდმელებს — ნახალკვარტლებს, ნახალკვარტლებს — ლოტკინელებს და სულ მცირე, პატარა მიზეზიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს ერთ მუშტად შეკრული სამო მეორეს დასტაკებოდა და გაემართათ ხოცვა-ჟლეტა როგორც წესი, ნეიტრალურ, ხანდახან მოფარებულ ადგილას და ეს გრძელდებოდა ასე, დაუსრულებლად.

ნოპე ლუკას საუკეთესო ძმაკაცი იყო. გიგუმა ერქვა მაგრამ ყველა ნოპედ იცნობდა. ლუკას მოპირდაპირე კორპუსში, პირველ სართულზე, ცხოვრობდა ბებიასთან ერთად. პატარა რომ იყო, ლავოდებში მშობლებთან ერთად იყო წასული ნათესავის ქორწილში. იქიდან რომ ბრუნდებოდნენ, მოყინულ გზაზე მოუცურდა მამამისის მანქანა და ხეს შეასკდნენ. იმ ტრაგედიიდან მარტო ნოპე გადარჩა. რამდენიმე დღე რეანიმაციის იწვა, მაგრამ გამოძვრა. მარჯვენა ხელის ცერა თითი დაკარგა მხოლოდ. ნოპესაც თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი და მილანს ბალეშიკობდა. საღამოობით, როცა მზე ქალაქის ცას აანთლებდა, ნოპე, ლუკა და კოსტა თექვსმეტისა და სახურავზე ადიოდნენ ხოლმე ლუდის დასალევად და იქამდე არ ჩამოდოდნენ, სანამ ქუჩებში მანქანების ჭაჭანება კი არა, უპატრონო ძაღლის ყეფასაც ვერ გაიგონებდა კაცი.

„ისე, ჩორნა, რა მაგარია, რო იბადები და შენი დედაქალაქი რომია, არა?“ — ჰკითხა ნოპემ ლუკას და ლუდის ბოთლი მოიყუდა. თავიანთ საყვარელ ადგილას ისხდნენ კორპუსის სახურავზე. ფეხები სამივეს გადმოეკიდა ჰაერში და ოდნავადაც არ ამინებდათ სიმაღლე.

„რაღი, აბა...“
 „რა რა იცი, ბიჭო. აი, წარმოიდგინე — იღვიძებ, საკაიფოდ იზმორები, შევარდები ტულეტში, ხოშიანად მიაფსამ, მერე გადანივ ფარდას და რომი იჩითება. თან რომელი რომი, იცი? ისტორიის წიგნში რო ეძრობა ხოლმე.“

„მაგარია, ჰო...“
 „თან პახოდუ იტალიელი ნაშა რო გინევს სანოლში და რო უყურებ, როგორ სძინავს და თან რო უყურებ, რომს როგორ ღვიძავს.“

„კიდე რა აქვთ მაგარი?“ — ჩაეკითხა კოსტა.
 „ქუჩები, ქალაქები, ქალები, კომპები და სუ ყველაფერს რო თავი დაანებო, სერია ა აქვთ. მილანი, ინტერი და იუვე ყავთ კიდე. სან სირო აქვთ. მეტი რაღა გინდა?“
 „მე რა მინდა, ისე გეკითხები...“
 „აუ, ნეტა ახლა მილანი-ინტერი მანახა და თუ მინდადეს რამე მე ვიყო...“
 „შენ რას იტყვი?“ — მიაჩვენა მხარი ნოპემ ლუკას.
 „მე ინგლისი მეგვასება. მაგარი ქვეყანაა.“

„ინგლისი მეც კი მეგვასება, მარა რა არ იცი? — ღრმა ნაფაზი დაარტყა ნოპემ — იტალიაში არასდროს კვდები თურმე. სუ ცოცხალი ხარ იმენა. ყველაფერი, რაც გარშემოა, გაცოცხლებს და არ კვდები.“

„უაი რა,“ — ჩაეცინა კოსტას.
 „შენ იცინე და მართლა მასეა. ტიპები არ კვდებიან და არც ბერდებიან, ბოზიშვილი ვიყო. მე რო ბებიჩაქემს ავაზაზე ვეტარებინე, ხო ვიქნებოდი ახლა იგროკი და ხო ვითამაშებდი სერია ა-ში. მამენტ, იგროკი ახლაც ვარ, მარა მაზინებს ვიგებ მარტო.“ — ორონიული ღიმილით თქვა ნოპემ და ლუდის ბოთლი კიდევ ერთხელ მოიყუდა.

„არ დავეშვით?“ — ქვემოთ ჩამოხტა ლუკა და ცარიელი ბოთლი იქვე მიაგდო.
 „მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე, სახიფათო მომენტები, დარტყმა და გოლილი! გამოიღეთ!“ — გოლის გატანის იმ-იტაციას ახდენდა ნოპე გზაში.
 ლუკას როგორც არასდროს, ისე მოუნდა სახლში ყოფნა.

როცა შუალამისას სარკესთან დგახარ და იქიდან შენთვის ძალიან უცხო, რადიკალურად განსხვავებული და შეცვლილი ინდივიდი მოგმტერებია, შეიძლება, შიშის-

გან ფეხები აგიკანკალდეს და თვალები ძლიერად დახუჭო — ვერ აიტანო ვერაფერი, რაც შენშია და შეგ ზიზღდეს კიდევ ის, ვინც ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეს — შენივე თავი. და როცა ეს მოხდება, როცა საბოლოოდ გული აგერევა იმ ყველაფერზე, რასაც აკეთებ და იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ხარ, მერე ყველაფერი სულერთი ხდება შენთვის და როგორც ზაფხულის დამშრალი მდორე მდინარე, ეგრე მიიკვლევ გზას და წარმოდგენა არ გაქვს, სადამდე გასტანს ეს ბორიანი და სად დასრულდება კიდე. ლუკა ყოველდღე გრძობდა ზიზღს საკუთარი თავისადმი და ხშირად დაგროვილ, დამალულ და ჩაკლულ სენტიმენტალიზმს, ტკივილებსა და განცდებს, ლაპალუპით გადმოდენილ ცრემლში ახრჩობდა და იქამდე არ ჩერდებოდა, სანამ სრულიად დაცლილი და განადგურებული, წვალებითა და წრიალით არ ჩაიძინებდა ხოლმე. ასეთ მდგომარეობაში, როცა საბოლოოდ კარგავდა საკუთარ თავს და ყველაფერს, რაც გააჩნდა, ერთადერთი, რისი მძაფრი სურვილიც უჩნდებო-



და, აგრესიის, ზიზღისა და სიძულვილის გამოვლინება იყო, რასაც აკეთებდა კიდევ და მის სიახლოვეს მცხოვრებ და მყოფ ადამიანებს, სუსტ, გამოუცდელ და არასწორ ადგილსა და დროს დაბადებულ, როგორც თვითონ ეძახდა — დედიკოს ბიჭებს, ზუსტად ისე ექცეოდა, როგორც მაშინ სკოლის უკანა ეზოში თავად მოექცნენ და ამ ყველაფრით მიღებული სიამოვნება ფარავდა ყველაფერს, რაც მის სხეულში მოძრაობდა და, უპირველესად, ფარავდა — წარსულს, რომელიც მომენტალურად უჩინარდებოდა ხოლმე.

დრომ, გამოცდილებამ და მუდმივმა საფრთხემ ლუკა კარგ და ამასთანავე დაუნდობელ მოჩხუბრად აქცია და ისე ურტყამდა შუა ჩხუბის დროს დაბლა დაცემულ თანატოლს ქვას თავში, როგორც ერთ დროს ბურთს ბეტონის სტადიონის გარაჟზე ცარცით მიხატულ კარში და ამას აკეთებდა მთელი სიმძაფრით, რადგან მისთვის არაფერი იყო სხვა ეს ცხოვრება თუ არა იმის დამტკიცება, რომ ამ სამყაროში რამე ან ვინმე მაინც იყო და რომ ამას თუ არ იზამდა, შეიძლება სხვას ექნა იგივე და ასე და ამგვარად ლუკა ყოველთვის პირველ გარბოდა საფრთხისკენ და ყოველთვის პირველი გარბოდა სისხლისკენ და იქ, სადაც მუდმივ იყო შესაძლებელი, ვიღაცა მისნაირს თუ მისგან ძალიან განსხვავებულს იქვე დაესრულებინა მისი ერთი უბრალო ცხოვრება და ეს გაეკეთებინა ისევე შეუცნობლად, როგორც ლუკა აკეთებდა ყველაფერს იმ წამიდან მოყოლებული, როცა საბოლოოდ შეიცვალა ცხოვრების გეზი და ტექნიკური, სწრაფი გამთამაშებელი — რომელსაც მოედნის ნებისმიერი მონაკვეთიდან მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლო გადაცემის გაკეთება — ცივისისხლიან ქუჩის ბიჭად იქცა.

იმ დღის შემდეგ, როცა მეორელებს მეოთხელებთან ხიპიში მოუვიდათ, უბანი

აირია. ზოგი მეორელებს უჭერდა მხარს, ზოგი — მეოთხელებს. ლუკას არც მეორელებთან და არც მეოთხელებთან არ ჰქონია კარგი ურთიერთობა, მაგრამ სამაგიეროდ კოსტა, მისი უახლოესი ძმაკაცი, პირველკვარტლებთან ერთად იყო გაზრდილი და, შესაბამისად, ლუკას პირველკვარტლებთან ერთად მოუნია რაღაც საკითხების გავლა, რომლებიც მხარს რატო იანს, და, ამავდროულად, მეორელებს უჭერდნენ.

უბანი ორად გაიყო. ლუკა და მისი ძმაკაცები, რომელთაც ერთი შეხედვით ამ ამბავთან საერთო არაფერი ჰქონიათ, მეორეკვარტლებების ბანაკში აღმოჩნდნენ და ისევე ჩაერთნენ ამ დიდ გაუგებრობაში, როგორც დანარჩენები. იმის მიუხედავად, რომ ლუკას მეორეკვარტლებთანაც ჰქონია ცალკეული საქმის გარჩევები, ჩხუბები და სხვა მრავალი, ამ ეტაპზე თვალზე ხელი აიფარა და რატო იანთან ერთად, ყველაფერს ისე გეგმავდა, როგორც საქმეს სჭირდებოდა. ყველა დეტალში სწრაფად გაერკვია, თუმცა ყველაზე მეტად ის

აშფოთებდა, რომ ძმებ გელაშვილებთან არათუ ლაპარაკი, არამედ ერთი სიტყვის თქმაც კი არ ჭრიდა, რაც უფრო მეტად ამძიმებდა მის გონებას. მითუმეტეს იცოდა, რომ გელაშვილებს სხვა კვარტლებიდანაც უჭერდნენ მხარს და ამასთან, დიდი სამძაქაცო და სანაცნობო წრე ჰყავდა სოფელ დილოშიც. იმის მიუხედავად, რომ ლუკას ჩხუბის სხეულებზე მუდმივად თვალები უნათებებოდა და ყოველთვის ერთი სული ჰქონდა, როდის გაიქნევა ხელს, ამ შემთხვევაში მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა ყველა სიტყვას და ქმედებას რადგან არ უნდოდა, იმის გამო, ვისთანაც შეიძლება ხვალ ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენილიყო და თავი ქვით გაეჩერქა, ნოპე, კოსტა, ნოდო და სხვა ბიჭები საფრთხეში ჩაეგდო და ამიტომ ცდილობდა, ეს გაუგებრობა, სიტყვით, აკადემიური ფორმითა და ქმედებით მოეგვარებინა — რაც ნამდვილად რთული ამბავი აღმოჩნდა მისთვის.

შავ ქურთუკებში, მუქ ჯინსებში და შავ კედებში გამოწყობილი თინეიჯერები ტყის სიღრმეში მოგროვდნენ. მათ შორის იყო ლუკაც, რომელიც შედარებით უკან, მაგრამ საჭირო ადგილას იდგა როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურად რომ ემოქმედა საჭიროების დროს. „მეცამეტე რაიონზე“, „მწვანე ქუჩის ხულიგნებზე“, სტივენ სიგარლის, ალ პაჩინოსა და ბრიუს უილისის ფილმებზე გაზრდილი ბიჭები, რომელთაც აუცილებლად ჰქონდათ სახლში ტონი მონტანას ავტომობილიანი პლაკატი გაკრული კედელზე და რომლებიც აუცილებლად უსმენდნენ ამერიკის კულტურაში ალბათ საუკეთესოდ აღიარებულებს და გამორჩეულ რეპერებს, ერთმანეთს თვალეში უგულვოდ და სრულიად აუღელვებლად ამტერდებოდნენ. ამტერდებოდნენ და ბუნდოვანი წარმოდგენაც არ ჰქონიათ იმაზე, თუ

რა არის ის, რის გამოც ადამიანი იბრძვის და რომ ბრძოლა მხოლოდ თავისუფლებისთვის არის დასაშვები; ამტერდებოდნენ ზიზღნარევი სახეებით ერთმანეთს და არათუ არ იცოდნენ, არამედ გაგონილიც არ ჰქონდათ, რა არის სიყვარული და რატომ არის საჭირო, რომ ადამიანები, რომლებიც თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობენ, ერთმანეთს კი არ კლავდნენ, არამედ ერთად ქმნიდნენ მომავალს და ერთად ქმნიდნენ იმას, რასაც სიმშვიდე მოაქვს. მათ შემყურე კი შეიძლება, გეფიქრა, რომ ისინი კი არა, ეს პატარა, გამოუცდელი და ცხოვრებაში ჩაკარგული, აბსურდული და ირონიული დროში დაბადებული თინეიჯერები კი არა, მათივე მამები იდგნენ დიღმის ტყის სიღრმეში და სწორედ ისინი აკვირდებოდნენ ერთმანეთს ზიზღითა და სიძულვილით და თითქოს ისინი ეშვადებოდნენ იმისთვის, რისთვისაც მათი შვილები, რომლებიც შუა გზაში დაკარგეს და ზურგი მათი აქციეს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მათი გაღიმიებული და ბედნიერი სახეების დანახვა.

მშვიდი და განონასწორებული ტონით დაწყებული საუბარი ნელ-ნელა იცვლიდა ფორმას და ტემბრს და ის, რაც ასეთ დროს, როგორც წესი, ყოველთვის ხდება ხოლმე, იქაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ.

ორ ჯგუფად გადანაწილებული ბანდა თუ სამო თუ სამძაქაცო ერთმანეთს დაეტაკა და დაიწყო ის, რაც დაიწყო და მოხდა ის, რაც მოხდა — რამდენჯერმე გავარდა ტყვია და თან გავარდა იქით, სადაც ლუკა, კოსტა და ნოპე ერთმანეთის სიახლოვეს ცდილობდნენ საკუთარი თავებისა და ერთმანეთის დაცვას.

დიღმის ტყე, რომელიც მტვერში ტივტივებდა, ისე მალე დაცარიელდა, ვერ დაიჯერებდი, რომ ათობით ბიჭი ცოტა ხნის წინ, სულ რამდენიმე წამის წინ, ერთმანეთს გამეტყვობით, ცივისსხლიანად ურტყამდა სახეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე.

ყველა ფეხბურთელს ერთხელ მაინც დასიზმრებია, როგორ იტანს მაკრატელა დარტყმით გოლს და როგორ დარბის მაიკ-აგახდელი სტადიონის გადრეშე; როგორ სკანდირებს მთელი სტადიონი მის გვარს და როგორ იგებს ფინალს მისი გუნდი და ძაბულ ბრძოლაში. ყველა ფეხბურთელს ერთხელ მაინც უნახავს სიზმარში ისეთი თამაში, რომელიც თავად არასდროს უთამაშია.

შეხვედრის ოთხმოცდამეათე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ლუკა მზად დახვდა. სწრაფად აინია ჰაერში და მაკრატელა დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. თავიდან ვერ მოეგო გონს, რა მოხდა. მერე კი, როცა მთელი სტადიონი შეზანზარდა, გახარებული წამოხტა, გადაიძრო მაისური და გოლი კუთხურის ალაბთან მუხლებზე გასრიალებით აღნიშნა.

სმსუშში იმდენად თბილი ზამთრის ბოლო იცის, რუსეთის ჩრდილოეთიდან ჩამოსული ტურისტები ზღვაში ბანაობასაც კი რისკავენ. თითქმის ყველა მხრიდან პარალიზებული სოხუმი ზამთარში ძალეზს იკრებს, ქალაქში ვირუსით ვრცელდება სოციალური და ეკონომიკური აქტივობების ინტენსივობა. კერძო სექტორიც ემზადება ტურისტების დასახვედრად. მუჰაჯირების ზოლზე ნელ-ნელა იშლება ტურისტული სააგენტოების პატარა ჯიხურები, მარადონაც კი იამაიკიდან (თვითონ იძახის ხოლმე) გამოგზავნილი პერანგით მოძრაობს.

„სვაბოდა“ თავის გიტარას ამზადებს, გაზაფხულის პირველი დღიდან „მარიაკის“ მაისურს მოიცვამს, თავის ბერეტს ამაყად მოიხურავს და მთელი დღეები დაუსრულებლად მღერის სანაპიროზე. არ სჯერა, სიმღერის ნიჭი სოხუმს იქითაც თუ გაუქაჩავს, ამიტომ ფიქრობს, რომ მხოლოდ აქ შეუძლია, ასე იმღეროს. ამიტომაც სოხუმს მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება. ის არასდროს ითხოვს ფულს — უბრალოდ დადის და მღერის, ყოველი სიმღერის დასასრულს კი რეფერენციით შემოსძახებს ხოლმე: „სვაბოდა!“

„სვაბოდას“ სჯერა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია და ისიც, რომ მხოლოდ თავისუფლებაშია ბედნიერება. და ახლა, როცა ასლანი ციხეშია, „სვაბოდა“-ს შეძახილს უმატა. სოხუმში ხმები დადის, „სვაბოდა“ ლამაზობით დრანდრის ციხესთან მიდის და ასლანს ამხნევესო...

გამოზაფხულზე ნაყინის გამყიდველი ასტამურიც თავისი ბიზნესლოკაციების საჭიროებების მიხედვით გადალაგებას იწყებს ხოლმე. გაზაფხულზე ხომ ტურისტების ნაკლებობაა და მაინცდამაინც ვარუჯვის მოყვარულთა ნაკადიც არ აწყდება ამ სეზონზე სოხუმს, მოძრაობაც მხოლოდ მუჰაჯირების ცენტრალურ ნაწილშია და ასტამურიც მხოლოდ ამ ზოლზე მუშაობს გაზაფხულზე. ნაყინის ნაცვლად მზესუმზირას და მინერალურ წყლებს ყიდის, მაგრამ ასტამურის გამორჩენა სოხუმელი ბავშვებისთვის მაინც ზაფხულის მოახლოებას მოასწავებს. მაისის დასაწყისიდან მისი სავაჭრო ლოკაციები საგრძობლად ფართოვდება და კვლასურიდან მაიაკამდე თითქმის მთელ სანაპირო ზოლს ითვისებს. ასტამურს კონკურენტებიც ჰყავს, თუმცა მისი ურიკა ყველაზე მოწონებულია და გამოცდილებითაც ვერავინ დაჯაბნის. თავად ასტამურსაც არ ანაღვლებს კონკურენცია, პირიქით — რჩევების მიცემაც კი არ ეზარება ხოლმე მათთვის. ერთ დროს მასაც ხომ ვალერამ ასწავლა „ბიზნესის კეთება“, მაგრამ ყველაზე დიდი მემკვიდრეობა, რაც ვალერამ ასტამურს დაუტოვა, მაინც ასლან თარბასთან ნაცნობობა იყო. ასტამურს გიორგი ფინანსურადაც ეხმარებოდა და მისი ბიზნესის განვითარებასაც ხელს უწყობდა. ასტამურმა იცოდა, ქირის ფულს თუ ვერ გადაიხდიდა, ასლანთან დარჩენაც კი შეეძლო, ახლა კი, როცა ასლანი აქ არ იყო, გიორგისთვისაც შეეძლო დახმარებისათვის მიემართა. ასტამური მაინც არავისგან ითხოვდა რამე მატერიალურს. ის არაფერს ითხოვდა სიყვარულის და თანასწორად მოპყრობის გარდა...

გიორგიც ემზადებოდა ტურისტული სეზონისთვის და ასლანის ბიზნესის მთლიანად გადმობარების შემდეგ თითქმის საერთოდ ვეღარ იცლიდა ძველებური სოხუმური ცხოვრებისთვის. გიორგისთვის კი ძველებურად სოხუმური ცხოვრება უბან-უბან გაბრუნავდა, საღამოებში ფეხბურთის თამაში, კაკოსთან ერთად სათევზაოდ სიარული, სანაპიროზე ასტამურთან ერთად სოხუმში მიმდინარე მოვლენათა ცვლილებების განხილვა, საიდასთან ერთად სეირნობა იყო. ახლა საიდასთანაც დასალაგებელი ჰქონდა ბევრი რამე. მაგრამ ის ფაქტი, რომ თემურ არძინაზე დანიშნულმა საიდამ გათხოვება გადაიფიქრა, გიორგის მეტნაკლებად მატებდა რწმენას, რომ არცერთს შეეძლო სხვისი შეყვარება.

— გიორგი, ვიცი, ყველაფერი გაინტერესებს, ბიზნესსაც უფრო ჭკვიანურად მართავ, გესტაჰუსსაც და ასლანის მთლიანი ბიზნესიც კი სულ რაღაც ორ თვეში ძალიან განავითარე, თუმცა ჯერ ყველა ასლანის სასამართლოს ელოდება, ჯერ ვერ გრძნობ, როგორია სოხუმი მის გარეშე. იცოდე, თუ ასლანს პატიმრობა მიუსაჯეს, მისი მტრები შენ შემოგიტყვენ.



დაჩი ახვლედიანი

სოხუმჩანი 4

გიორგი ყურადღებით უსმენდა ასტამურს. იცოდა, მისი ნდობა შეიძლებოდა. ისიც იცოდა, ასტამურმა ყველაფერი იცოდა, რაც კი რამ სოხუმში ხდებოდა, ისიც იცოდა, რაც მისი არყოფნის დროს ხდებოდა ასლანის ცხოვრებაში.

— ასტამურ, სავარაუდოდ, მიუსჯიან ასლანს პატიმრობას და მოუწევს კაი ხანი იქ ყურყუტი. მგონია, რომ ეს გარდაუვალი რეალობაა. მაგრამ ისიც მგონია, რომ შენ რაღაცის მინიშნებას ცდილობ და მითხარი ბარემ პირდაპირ... — ნინადადების დასასრულს ასტამურს თან ტარიანი გაუწოდა.

— როგორ გითხრა, მართლა არ ვიცი... იცი, ასლანი უფრო მეტი იყო სოხუმისთვის, ვიდრე ერთი „ბლატნიო“ და მაცუთა ბიჭი. შენ მას ვერ ჩანაცვლებ სოხუმში. ვერც შენ და ვერც ვერავინ. მის სიტყვას მთავრობის წარმომადგენლების სიტყვაზე და მათ კანონებზე მეტი წონა ჰქონდა. და კი, ზუსტად მაგისტრო გაუშვეს ციხეში. მისი სიტყვა სოხუმში სიმართლესა და სამართლიანობასთან ასოცირდებოდა, ამიტომაც იყო ის მათთვის საშიში, თორემ მართლა „კალამნიკოვით“ კი არ დარბოდა... ისე, არც მაგაზე იხევედა უკან, მის კაფეში ყოველდღე ვიღაც მოდიოდა და დახმარებას სთხოვდა ხოლმე. არ ვიცი, ეს რამე დამოკიდებულებაა თუ სხვა რამე, მაგრამ ეს ყველაფერი მას ბედნიერებას ანიჭებდა. შენ ბევრი იცი, ამხელა ბიზნესმენ და ავტორიტეტის მქონე ტიპს ნაყინის გამყიდველთან ემეგობრა? მე მეშინია, რომ სოხუმში ასლანის გარეშე სიმართლის ძიებას აზრი აღარ ექნება და, გიორგი, მგონია, რომ უნდა მიხვიდე მასთან ციხეში. უნდა მიხვიდე და დაელაპარაკო. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს და ამიტომ ბრაზობ მასზე. ნორმალური და ჩვეულებრივი ტიპი რომ არაა, ვალიარებ მეც, თუმცა ყველაფერი არაორდინალურსა და წარმოუდგენელს ზუსტად არანორმალურები ქმნიან... ასეთი ასლანი უყვარს სოხუმს. უნდა ინახულო ასლანი. ხომ იცი, მისთვის ბიზნესი არასდროს იყო პრიორიტეტი, ამიტომ მისი დახმარება თუ გინდა, მისი გაგება უნდა შეძლო, მას ემოციურად სჭირდება მხარდაჭერა. იქ უფრო სჭირდება ნორმალური ცოდნა, რომ იქიდანაც კი ვილაცას ფინანსურად, ან თუნდაც სიმართლის პოვნაში ეხმარება, მან უნდა იგრძნოს, რომ იქიდანაც მნიშვნელოვანი კაცია სოხუმელებისთვის. მის ძმაცაცებს ახლოსაც რომ არ იკარებ და თავად მასაც აღარ ეკონტაქტები, გაანადგურებს მორალურად. მე ვფიქრობ, შენგან ყველაზე ნაკლებად კაპიტალის გაზრდაზე ზრუნვის მოლოდინი აქვს. იცი, გავლენიანი ბიჭია ბესლან ჯანბა, ასლანიც ყველაზე მეტად ენდობოდა, მის სიტყვას დიდი გავლენა აქვს გუდაუთაში. ჯანბა ხვალ საღამოს ჩამოვა სოხუმში. შენს სანახავად ჩამოდის.

ბესლანი ასლანის გამო უკან არაფერზე დაიხვეს. არა იმიტომ, რომ მისი ვალი აქვს რამე, არამედ უფრო იმიტომ, რომ ისიც მინიშნებაა და იცის, რომ მარტო მასაც გაუჭირდება აქ, ასლანის გარეშე. ბევრი გიჟია აფხაზეთში, მაგრამ ეს ბიჭები, ამავედროულად, დიდი მოთამაშეებიც არიან... ხვალ დილით ნართაში დახვდი ასლანის ადგილას...

მთელი ამ მონოლოგის დროს ასტამური მხოლოდ დროდადრო თუ შეხედავდა გიორგის. ბოლო ნინადადების შემდეგ კი, არც კი დალოდება გიორგის გამოსხმარებას, თავის ურიკას დაავლო ხელი და მშვიდად გაუყვა მუჰაჯირების ქუჩას.

ძალიან უცნაური ვინმე იყო ასტამური — უემოციო, ერთ ტალღაზე უძრავად შეჩერებული სერფერივით მუდამ უცვლელი მზერა ჰქონდა. სერფერებიც ხომ მხოლოდ ტალღებს გაჰყურებენ ყოველთვის... ვერასდროს მიხვდებოდა ვინმე, ბედნიერი იყო თუ უბედური, ან იქნებ სულაც ეკიდა ბედნიერება და სხვა ყველაფერიც — ასტამური უცვლელი მზერით დაატარებდა ნაყინით სავსე ურიკას, უცვლელი მზერით ესალმებოდა ყოველ დილით სამსახურში მიმავალ აიდას, სასეირნოდ გამოსულ გიორგის, სამსახურიდან მიმავალ სანაპიროს დაცვას, დილაადრიან ბირჟაზე გასულ ბესოს, სკოლისკენ მიმავალ ასტიკს, უნივერსიტეტისკენ მიმავალ მარიამს და ყველას, ვისი დილაც სოხუმში თენდებოდა... დიდი ხნით არავისთან საუბრობდა ასლანის გარდა, არც ასლანი ჰყვებოდა მასზე რამეს.

მზე უკვე კუთხეში ამწყვედევდა სოხუმს, ტალღები თითქოს არც კი მოძრაობდნენ, უჩვეულო სიჩუმე იყო. თოლიების ხმაში გაბნეულიყო გიორგის ფიქრები, აოცებდა ეს ქალაქი, მხოლოდ ორი წლით დავტოვე და უკვე უცხო ვარ მეც მისთვისო — „ან ეს ასტამური ვინლა? მე გავგიჟდი, თუ ასლანმა მართლა თითზე დაიხვია მთელი სოხუმი? მართლა თავის ჭკუაზე დაიყვანა მაგ გიჟმა მთელი ქალაქი“ — ფიქრებში ბრანობდა გიორგი. ასტამური აღარსად ჩანდა სანაპირო ზოლზე. გიორგიმ მეორე ტარიანი ამოიღო პერანგის ჯიბიდან. ტარიანები შემოეღია. ნართაში აპირებდა გავლას, თითქოს ჩვევად ექცა, იქ უნდა დამჯდარიყო თუნდაც რამდენიმე წუთით, სადაც ასლანი იჯდა ხოლმე. ჩვეულებრივი დილა იყო, თუ ასტამურთან საუბარს არ ჩავთვლით. ნართის წინ ნარდს თამაშობდნენ ბირჟავიკები, აქა-იქ ტურისტებიც ირეოდნენ. სოხუმში თუ დილამ ჩვეულებრივს გადაუხვია და გაგაოცათ, ეს მთელ დღეს გასტანს.

გიორგისთვის ეს დილა არცთუ ჩვეულებრივ დაინყო — ასლანის ადგილი და-

კავებული დახვდა. იქ საიდა თარბა იჯდა და მას ელოდებოდა თითქოს. გიორგი ცდილობდა, კმაყოფილება არ შეემჩნია, თუმცა ამაოდ. ბედნიერი იყო მისი ნახვით. რაც თემურ ლაკირბაზე დაინიშნა, აღარ უნახავს. თუმცა დღე არ გასულა, მისკენ არ გაჰქცეოდა ფიქრები. ახლაც ისე აუჩქარდა გული, თითქოს წამიერად იგებოდა მასში დაბუდებული სიცარიელე, როცა საიდას უყურებდა. თუმცა სიცარიელის განცდა ისევე უკან ბრუნდებოდა, როცა ახსენდებოდა, როგორ შეცვალეს ერთი წლის წინ მისი ოცნებები თემურ ლაკირბამ, მისმა ბენეფიტებმა და გავლენებმა, თავად მისმა დაუდევრობამაც, საიდას მამის მერობამ და კიდევ უამრავმა სხვა რამემ... ყველაზე მეტად კი სოხუმიდან გაქცევამ წაართვა ყველა თავისი ოცნება.

შუბლზე ნაოჭები შეჰპარვოდა საიდას. ესეც კი უხდებოდა. ისე მორცხვობდა, როგორც პირველ პაემანზე, ათი წლის წინ. მაშინ მეხუთე კლასში იყვნენ. გიორგი, ასლანი და კაკო მთელი შაბათ-კვირა ფიქრობდნენ, სად უნდა დაეპატიჟებინა გიორგის საიდა. ბოლოს ბოტანიკური ბაღი გადაწყდა. ნაყინზე დაპატიჟა მაშინ გიორგიმ საიდა. მერე სახლში გააცილა, დაახლოებით ორი საათი იყვნენ ერთად და ამ ორ საათში ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. სანაპიროზე სეირნობდნენ და არც ფიქრობდნენ, რა უნდოდათ ერთმანეთისგან. თითქოს ახლაც იგივე ხდებოდა, გიორგი ბედნიერი იყო იმით, რომ მის სურნელს ისევე გრძნობდა ამდენი წლის მერე, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, საიდა რატომ ელოდებოდა იქ.

— გავიგე, გუშინ შენი მოკვლა უცდიდათ. ვერ მოვითმინე. ვიცოდი, აქ გამოივლიდი. მთელი დღე გელოდი. დაგტყობია, ასლანი რომ არ გაყავს გვერდით, მაშინ ვინ გაბედვდა თქვენთან იარაღით მოსვლას... — საიდა გაჩუმდა, მერე მზერა რესტორნის ბარისკენ მიმართა, საიდანაც მომსახურე პერსონალი ისე იყურებოდა, თითქოს საუკუნე ელოდნენ მათ შეხვედრას. გიორგი გაფითრდა, ისიც ბარისკენ იყურებოდა, არ უნდოდა შემჩნეოდა, რომ ყველაზე ბედნიერი კაცი იყო სოხუმში ამ წამს. საიდამ რახან მასთან შეხვედრა გაბედა, ესე იგი, ჯერ კიდევ უყვარს და თანაც, ის ხომ ჯერ კიდევ არ გაყოლია ცოლად თემურ ლაკირბას. სამყარო გადმოტრიალდა თითქოს. თავს დამტყდარ უბედურებებს ბედნიერების ზარმა გადაჰკრა. გიორგის საშინლად უნდოდა, მთელი სოხუმის გასაგონად ეყვირა, რომ ნამდვილ ურთიერთობებს ვერ დაანგრევს ვერანაირი გავლენა, წინააღობა და მტრობა და რომ აქ სიყვარული იმარჯვებს მხოლოდ...

დიდხანს საუბრობდნენ ის და საიდა. მას მხოლოდ საყვარელი ქალი კი არა, ძლ-

იერი მეგობარი და თანამებრძოლი დაუბრუნა სოხუმში. მეორე შანსი მისცა, რომ ისევ ძველი სოხუმჩანი გამხდარიყო. ისიც იცოდა, რომ მთლად ემოციებსაც არ უნდა აჰყოლოდა, ხანდახან ხომ სწორედ მაშინ დაგვანარცხებს ცხოვრება ძირს, როცა ფრთების გაშლას ვლამობთ. განგებაც დაგვცინის ხოლმე ხანდახან, ტკივილების კასკადს გვიგზავნის ზუსტად მაშინ, როცა ბედნიერი დღეების დაუსრულებლობას ასე ხელშესახებდა ვგრძნობთ...

— შე შენზე ვლელავ. შენ და ასლანი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლების ძირითადი პერსონაჟები ხართ. გთხოვ, თავს გაუფრთხილდი, ამით ასლანსაც გაუფრთხილდები და, მერწმუნე, მე მხოლოდ ამის სათქმელად მოვედი. ჩვენზე არ მინდა საუბარი ახლა და უნდა გამიგო. აუცილებლად დადგება ჩვენზე საუბრის დროც, ოღონდ მანამდე ჯერ უნდა იცოცხლო, — თქვა საიდამ და დაუმშვიდობებლად გავიდა ნართიდან, ვიდრე გიორგი ბედნიერების დამალვას ჯერ კიდევ ცდილობდა. საიდას გამოჩენამ გიორგის შეახსენა, რომ ასლანი აკლდა მის ბედნიერებას.

ჯერ კარის მიბრახუნების ხმა გაისმა. ხმა შენობის ექომ რამდენჯერმე გაიმეორა. ამას ფეხის ნაბიჯების ხმა მოჰყვა, ფეხის ხმას ადამიანის სილუეტი აჩრდილივით აედევნა ბნელ და უკიდვანო სივრცის შემოსასვლელში. რამდენიმე ოთახი იყო როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს, ადამიანები დანომრილები იყვნენ საკნების მიხედვით. მათ საკნები აერთიანებდათ, ყველა ერთნაირი იყო, თან ყველა განსხვავებული... ზოგი მართლაც იმსახურებდა იყოფნას, ზოგი ნაკლებად, ზოგი — საერთოდ არა, თუმცა, მაინც იქ, იმ ნესტიან და მარტოობისგან გახუნებულ საკნებში იმყოფებოდნენ. ვინ იცის, რამდენი ტრაგიკული, რამდენი სევდიანი ისტორია იმალება ამ კარს უკან. ვის შეუძლია იმის წარმოდგენა, რამდენი აუხდენელი ოცნება კვდება ამ კარს ზღურბლს მიღმა.

ბადრაგი პატარა ფანარი ეძებს 117-ე კარს. ისე ეძებს, რომ სხვებმა არ შეამჩნიონ, უფრო ზუსტად, სხვა ბადრაგებმა. ზოგადად, მთელმა ციხემ იცის, რომ 117-ე კამერა დახურულია. ზოგ პატიმარსაც კი დააჯერეს, რომ ამ კამერაში ადამიანთა მოდგმის მტერი და ყველაზე საშიში ადამიანი ზის. თვითონ ბადრაგებიც შორიდან ჩაუვლიან ხოლმე ამ კარს, თითქოს ვერ შეაკავებს, ვერ გადაელობება ყველაზე საშიშ პატიმარს ყველაზე მძლავრი რკინის ფარდაც კი... ფანარიანი ბადრაგი კაი ჯანიანი ვინმე იყო: მაღალი, ღიმიანადებული, ოდესღაც ნავარჯიშები 30 წლამდე მამაკაცი. უშიშრად მიაბიჯებდა 117-ე კამერისკენ. ასეთი თავდაჯერებულობის მიზეზი მისი ფიზიკური სიძლიერე ნამდვილად არ ყოფილა, უფრო მეტად ის იყო, რომ კარგად იცოდა, მაგ კარს უკან ერთი სუსტი, შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის, ხუჭუჭა თმით და უდრეკი მზერით, მხოლოდ 20 წლის ბიჭი იჯდა. ის ბიჭი სულ იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა ალბათ რამდენ რამეზე ან იქნებ სულაც არაფერზე... ბადრაგმა კარი გააღო, მშვიდად შევიდა საკანში, სადაც უკუნ სიბნელეს დაესადგურებინა, ნათურა მაგადაზე დადო.

— შუქი ჩააქრე, თვალებს მატკივებს, — გაისმა მასპინძლის ხმაც, — მოდი, დაჯექი და მომიყვი, აქ შემოსასვლელი ფული ვინ გადაგიხადა?

— ასლანი გქვია, არა?! — ბადრაგი სკამზე მოკალათდა. ფანარი ჩართო და განაგრძო, — დარწმუნებული ვარ, შენთვის ტკივილი უცხო არ იქნება. ბევრი მსმენია შენზე, ერთი პერიოდი გბალელშიკობდი კიდევ. ალბათ ერთადერთი ხარ, ვინც ძველი ბაივიკების წინააღმდეგ წასვლა გაბედა. თან მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში იყავი, მგონი. რა იბრძოლეს ამათ ასეთი, მთელი ცხოვრება ამათ რო უნდა გვიკარნახონ, როგორ ვიცხოვროთ? ეგეთი რა იბრძოლეს, ვერ ვხვდები... სულ რო გვამაძლიან... თუმცა ეგ გრძელი თემა... გაინტერესებს, რამდენი გადაამიხადეს არა?! — მცირე დაყოვნების შემდეგ ისევ განაგრძო ბადრაგმა, — შენ მარტო შენი თავი გგონია იდეის, ღირებულებებისა და ურთიერთობების ერთგული? გგონია, მამა ანდრია შენ და მარტო იმ ქართველს გიყვართ?

ასლანი წამოდგა. ფანარი აიღო და სახისკენ მიუშვირა ბადრაგს:

— იმ ქართველს გიორგი ჰქვია და ჩემი ძმაა. თუ სამტროდ არ მოსულხარ, ეს კარგად დაიმასხვრე.

ბადრაგმა სიგარეტი ამოიღო და ასლანს გაუწოდა.

— მოკლედ, მამა ანდრია მომგზავნა, ვეცდები, ცოტა შეგიმსუბუქო აქაურობა, თუმცა გაჭირდება. ერთი დაიმახსოვრე: შენი გაყვანა ჯერ ვერ ხერხდება, მაგრამ დაცული ხარ აქ. ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე ბადრაგი გიცავს, ამისთვის დიდ ფულს იხდის ყოველთვე შენი ქართველი ძმა, გიორგი. არ ვიცი თქვენი ძმობის ამბები, მაგრამ მაგას შენზე უფრო გიჟად მოიხსენიებს უკვე ზოგი. ნიჭიერი კაცია. ეტყობა, მალევე მოხვდა თვალში ყველას: უკვე ორჯერ სცადეს მისი დაბრუნება. ამის გაგონებაზე ასლანი წამოხტა.

— მოკლავენ გიორგის და ჯობია, მეც ცოცხალს ნუ გამომიყვანენ აქედან. გიორგის ვერ შეეხებიან. ის ერთადერთია ჩემი ოჯახის წევრებიდან, ვინც დამრჩა. იმასაც თუ მომიკლავენ, მერე ნახონ სოხუმში 90-იანები, — ასლანი კუთხეში ჩაჯდა, მეორე სიგარეტიც გამოართვა ბადრაგს. წამალივით მოიმარაგა სიგარეტის რამდენიმე ღერი, — თუ ჩემი დახმარება გინდა, გიორგის უნდა შემახვედრო — თუნდაც რამდენიმე წუთით.

— ნუ გეშინია, ხომ გითხარი, მასე ადვილად ვერ მოკლავენ მაგას. ისე გაბლატავდა, ნართაში შენს ადგილსაც კი არ უთმობს ვინმეს. ზემოთაც ალაგებს — ვილაკებთან გავიდა უკვე სვიაზზე. რამდენიმე დღეში ამ სოროდან ნორმალურ კამერაში გადაიყვანთ, შენს კარს არავინ გამოაღებს ეს ორი დღე ჩვენი ბიჭების გარდა, მშვიდად იყავი. მამა ანდრიაც ცდილობს ყველა მხრივ. ტელეფონს ვეღარ შემოგიტანს ვერაფერს, თუმცა საჭმელი ნორმალური იქნება შემდეგი კვირიდან. ხომ იცი, დროის საკითხია... — ბადრაგმა კოლოფიდან რამდენიმე ღერი სიგარეტი ამოალაგა და მაგიდაზე დაუწყო. რამდენიმე თაბახის ფურცელი და კალამიც გვერდით მიუდო, ბოროტი კი კონვერტი გადასცა — შენი ქართველი ძმის წერილიაო. ბადრაგი კართან იდგა ცოტა ხანს, მერე ისევ შეუბრუნდა, სანამ კარს დაკეტავდა, — აქედან აუცილებლად ცოცხალი გახვალ. შენ ნამდვილი სოხუმჩანი ხარ! ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, ორი თვე სიბნელეში მარტო ოთხ კედელში მჯდარიყო და მის თვალეში შიში ვერ დამენახა. დღეიდან ყველაფერს დავიჯერებ შენზე, რასაც კი მიყვებოდნენ. არადა, ყველაფერი სოხუმური, ყველაფერი გაზვიადება მეგონა, — მერე კი თითქოს საკუთარ შიშებზე გაბრაზებულს გამბედაობა მოემატაო, საკანი მტკიცე და ჩქარი ნაბიჯებით დატოვა. დერეფანში მიმავალი

კი თავისთვის, ხმადაბლა იმეორებდა — ცოცხალი გამოვა აუცილებლად აქედან. ესენი ვერ გვიკარნახებენ, ჩვენი როგორ უნდა ვიცხოვროთ. ჩვენი თაობა მორჩილი ვერ იქნება ამათ წინაშე, ვერ ეღირსებია.

ასლანს მისი ხმა ესმოდა და ეცინებოდა კიდევ, ბადრაგის გასვლისთანავე საკნის პატარა ფანჯრისკენ გაემართა, რათა იქიდან შემომავალი შუქის საშუალებით გიორგის წერილი წაეკითხა.

სულ გაფრთხილები სოხუმური ცხოვრებას. დღეში ერთხელ მაინც მომანებრებოდა ხოლმე ბრაზი. მახრჩობდა ის დამოკიდებულება, რაც ქართველების მიმართ ჰქონდათ აფხაზებს. ბევრჯერ მინატრია, რომ აქ არ გავზრდილიყავი... და თუნდაც დენილობაში ამომეყო თავი, როგორც ათასობით ქართველს მოუნია... თუმცა სანაპიროზე გავიდოდი თუ არა, მალევე ვმშვიდდებოდი. სულ მეგონა, ეს ტალღები და ეს სანაპირო იყვნენ ჩემი მთავარი მოტივატორები. ეს ტალღები იყვნენ იმ უხილავი ძალის მიღმა, რამაც სოხუმში შემეყვარა. მაგრამ ახლა, როცა ბაბულია აღარ არის, როცა შენც აღარ ხარ ჩემთან და მარტო შევრჩი ამ ქალაქს, მივხვდი, ყველაფერი იმიტომ მიყვარდა, რომ აქ ჩემი ოჯახი იყო. სხვა გეგმები მქონდა და ეს შენ იცი. თუმცა ყველაფერს ვერ დაგეგმავ. მე არ მიყვარდა შენი ნესები — არც იარაღი. ვერ წარმოვიდგინდი, თუ ოდესმე მეც შენს გზას დავადგებოდი. მაგრამ ოჯახი ცხოვრებაში მთავარია და შენ ჩემი ოჯახი ხარ. როგორც კი დაბრუნდები, ჩემს ჰალსტუხს გავიკეთებ ისევ. მანამდე კი შენს დასაცავად ჩემს პრინციპებსაც კი გავიფენ ფეხქვეშ. ეს იცოდე. მხნედ იყავი, თუ ცოცხალი გამოხვალ ციხიდან, ხომ იცი, ამათ შეშინებული და დამჯერი ასლანის ნახვა უნდათ. ოდესმე მეც კი არ ვიტყვოდი ამაზე უარს — შენს დამჯერ ბიჭად ფორმირებაზე, მაგრამ ახლა შენ ისეთივე უნდა დარჩე, როგორც ხარ...

მე ვუბრუნდები ჩვენს ცხოვრებას, ვიბრუნებ ყველაფერს, რომ მერე შენ დაგიბრუნო. ისევ ძველებურადაა ყველაფერი: კაკოც კი მოვიყვანე ფორმაში, ნაკლებად სვამს. გუშინ მითხრა, როცა ჩემს ოჯახს და ჩემს ქვეყანას ვჭირდებოდი, სხვა მხარეს აღმოვჩნდი, ახლა კი თქვენ გჭირდებით და ეს ბოლო შანსია ჩემთვის, რომ ისევ ადამიანად ჩავთვალო თავი და ვიგრძნო, სიმართლის მხარეს ვარ და ვილაცას კიდევ ვჭირდებიო.

ასტამურიც ვნახე, კარგადაა, მხნედაა. ბაბულისაც ვაკითხავ, მარა ხო იცი, გაბრაზებულია ჩვენზე და ხმას არ მცემს, თორემ ხომ იცი, ის იქიდანაც მოგვანდენდა ხმას... ბიზნესის ამბებიც კარგადაა. ნელ-

ნელა ვერკვევი შენს მტრებში, ვეცნობი მათ, ვხვდები კიდევ, ვინ გაგისტუმრა მაქეთ. ვერ შეგპირდები, რომ მალე გამოვიყვან. ცოტაც უნდა მოიცადო.

ჩემი მოკვლა სცადეს ორჯერ. ორივეჯერ კაკომ დამიპადერშკა. ფეხში მომხვდა ტყვია, ორი მათგანიც მძიმედ დაიჭრა. მამა ანდრია არ მოიხსენია და თვითონ მიმკურნალა, ისეთი არაფერი იყო, პატარა „ცარაპკა“. კაკოს კიდე ლამეები არ სძინავს — ჩემს პირად მცველად იქცა ლამის. ბესლანთანაც გავედი სვიაზზე. აჩადარა-შიც ჩვენი ბიჭების მეშვეობით ვალაგებთ თემებს. თავდამსხმელები მიხვდნენ, რომ დაჭრილებს დავადგებოდი საავადმყოფოებში და ვერ დამემალბოდნენ, ეგრევე სოჭში გადაიყვანეს.

სულ მქონდა ეჭვი, რომ ასტამურს ყველაზე მეტად ენდობოდი, მისი ნაყინის ურიკის უკან დიდ საქმეებს ხლართავდი. მოკლედ, ასტამურმა მითხრა, სოჭში ვისთვისაც უნდა დამერეკა და კვლასაც დავადექით. სავარაუდოდ, ვოუბას კლანი დამესხა თავს, მაგრამ მარტო არ არიან, მთავრობაშიც ჰყავთ მოკავშირე. აქ მხოლოდ ბიზნესის ახვევის ამბები არაა, ჩემო ძმაო, ჩვენი პროქართული დამოკიდებულება უფრო აღიზიანებთ და ამიტომაც აიყოლიეს მთავრობის ტიპებიც. მაგრამ ყველაფერს ვაკონტროლებ, დაცული ხარ და მანდ ვერ მოგეკარებინა. შენს დასაცავად ლამის მამა ანდრია მაც დაივინა, რომ შავი ბერია, იარაღის ხმარება უნდა ისწავლო, დამიბარა გუშინ...

ბოლოსკენ კი კარგ ამბავს გეტყვი: საიდა იყო ჩემთან მოსული, ჯერ კიდევ არ გათხოვილა. ვცდილობ მის დაბრუნებას. ისე, მთავრობიდან სწორედ საიდას მამა და საქმრო მგონია ჩვენს წინააღმდეგ. არა მარტო საიდას გამო, რა თქმა უნდა, მანდ ბიზნესის და შენი გავლენის შესუსტების თემაცაა.

მოკლედ, ასეთი ამბებია, რაც შენს არყოფნაში გარეთ ხდება.

მთავარი მინდა, შეგახსენო — ხომ იცი, მთელი ჩვენი ბავშვობა ომის ნარჩენებთან ჭიდილი გვინევდა. ირგვლივ ყველა და ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ ქართველი და აფხაზი მტრები უნდა ყოფილიყვნენ, ყველასთვის უცხო იყო ჩვენი ძმობა, რომლისაც ბოლომდე არავის სჯეროდა. შენ კი მთელი ცხოვრება ზურგს მიმაგრებდი უსამშობლოდ დარჩენილს ჩემსავე სამშობლოში. მეც, ჩემი მხრივ, ზურგს გაგიმაგრებ შენიანების მიერ გაყიდულს შენსავე სახლში... მათ ყოველთვის აშინებდათ ჩვენი ერთობა, ახლაც უნდა ეშინოდეთ ჩვენი: შენი ძმა დაბრუნდა სოხუმში და, დაე, მიიღოს ქალაქმა ის ისეთივე სოხუმჩანი, როგორიც სულ ვიყავი...



„მორიდეპული ზურგმხსნის“ პრეზენტაციაზე აკა მორჩილაძეს ჰკითხეს, რაზეა თქვენი ახალი წიგნი? მწერალმა ძალიან მოკლედ უპასუხა: „იმზე, რაზეც სხვა ყველა — ომსა და სიყვარულზე...“

„ომში, როგორც ომში“ XX საუკუნის ბოლო პერიოდისა და XXI საუკუნის დასაწყისის შესახებ მოგვითხრობს. საქართველოს უახლესი ისტორია, 90-იანებიდან გადმოყოლილი ტკივილი. ადამიანები, რომლებმაც ზუსტად ერთნაირი ცხოვრება გაიარეს — ყველა იცნობდა ნარკომანს, ყველა იცნობდა მოთამაშეს, ყველამ „იკოდა ქუჩა“, მაგრამ იყვნენ სხვებიც, ახალგაზრდები, რომლებსაც სოციალური უბედურებები სუროსავით მოსდებოდათ, რომლებმაც რეალურ ცხოვრებას უარი უთხრეს და გადარჩენის მიზნით ფანტაზიებს დაუწყეს დევნა... თუმცა ის პრობლემები არასდროს გამქრალა, ბებე მაინც მოკვდა, ოჩილამ მაინც გაიარა თავისი მძიმე გზა, „ვირტუალური სიკვდილები დაქრიან კვილით“ და არასდროს ჩერდებოდა, საერთოდ არასდროს...

ოთხმოცდაცხრამეტში დაბადებულს ერთი რამ გამოგვარჩევს ყველა სხვა წელს დაბადებული ხალხისგან... მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაინც შევძვერით მეოცე საუკუნეში, მაინც გვეთქმის, რომ ორი საუკუნის ხალხი ვართ, მაგრამ ამ ამბავში ყველაზე უფრო დრამატული ისაა, რომ მთელი უბედურება აქ მაშინ ტრიალებდა, როცა ჩემს თაობას ჯერ არაფრის განსჯა არ შეეძლო.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი წლები ჩემი ერთ-ერთი მთავარი მოგონება აივანზე ბაბუაჩემთან ერთად დგომაა, ტვინს რომ შევეჭამდი, ტროლეიბუსს გავეხედოთ-მეთქი და უარს ვერ მეუბნებოდა... ვიდეთ-ათი აივანზე და ის მონყენილი, მე კი ალტ-აცხეული გავცქეროდით სევდიან ქუჩას, რომელსაც ქალაქის იერს მხოლოდ მოხრივინე ტროლეიბუსი აძლევდა... ეს რაღაცნაირად ყველაზე ცოცხალი, ლაღი, სუფთა და უცნაური მოგონებაა... ტროლეიბუსი იყო ბინძური, შუქის წასვლის გამო ხშირად შუა ქუჩაში გაეჩხირებოდა, ან ბიგელი ჩამოუვარდებოდა და მაზუთიანი მძლოლი გინებით ცდილობდა გასწორებას, ერთმანეთზე მიჭექვცილი და ზოგჯერ ტროლეიბუსის თავზე შემომსხდარი მგზავრები შეჩვეული მოთმინებით ელოდებოდნენ დაძვინას... მაშინ ვერ ვხვდებოდით, მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ ეს იყო იმდროინდელი საქართველოს ერთგვარი სიმბოლო — მოძრავი ქუჩიანი ვაგონი შეფერხებებით, ტაბოთი, ერთ ადგილას მიბმული, ზღაპრით მიიწვევდა წინ და მიჰყავდა მორჩილი, ბედს შეგუებული, თავჩაქინდრული ადამიანებიც და ის სუფთა, ლაღი და თავისუფალი ხალხიც, სიბინძურის გასუფთავებას რომ ცდილობდა... და გადიოდა დრო ამ ორი სხვადასხვა სამყაროს ჭიდილში.

მამუკა ხერხეულიძე ამ საქართველოზე წერს, მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოზე... ქვეყანაზე, რომლის მიღმაც და რომლის მონაწილეობის გარეშეც ხდებოდა არნახული ამბები, რომელსაც თითქოს გვერდი აუარა ყველანაირმა პროგრესმა და სიახლემ... რომლის მომავალი ბუნდოვანი გახლდათ, რომელშიც ერთადერთი, რაც სწრაფად იზრდებოდა, იყო სასაფლაოების ტერიტორიები... სხვა ყველაფერი ბიგელჩამოვარდნილი ტროლეიბუსისგან შეჩერებულიყო...

მამუკა ხერხეულიძის მოთხრობების კრებულის მთავარი მახასიათებელი, ვფიქრობ, უკიდურესი სიცხადეა. მწერალი არ ერიდება დასკვნების გაკეთებას, ის შეუღამაზებლად, ყოველგვარი რევერანსების გარეშე ამბობს სათქმელს და მკითხველი იმ სულისშემძვრელ სიცარიელეში შეჰყავს, რომელიც საქართველოს უახლოეს წარსულს სდევს თან. აღადგენს რამდენიმე წლის წინანდელ ეპოქას და თაობათა ტკივილს ძალიან ხისტად და მძაფრად გვაგრძნობინებს. მძიმე წიგნია, პირმეუკრავი ჭრილობებით, განგაშითა და ჩუმი ტკივილით სავესე... კრებულში შემავალ მო-

თხრობებსა და პერსონაჟებს ერთმანეთთან სპონტანური დასაწყისი და „გააზრებული“, ცოტა რომანტიზირებული დასასრული აკავშირებთ.

ნებისმიერი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ აღმოაჩენ, რომ ამ პერსონაჟებმა ომსა და მშვიდობას შორის მშვიდობა აირჩიეს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ცხოვრებამ მათ ომი, უბედურება, სიკვდილი შესთავაზა. საბოლოოდ კი ისინი ჩვენთან ერთად ასკვნის, რომ მშვიდობა — ომის, სიკეთე — ბოროტების, სიცილი — ტირილის, სიცოცხლე — სიკვდილის გარეშე არ არსებობს. ეს მოცემულობაა, ერთი შეხედვით, პარადოქსული, მაგრამ მაინც ჭეშმარიტი და კანონზომიერი. აქ შემთხვევითი არაფერი არაა — ყოველი პერსონაჟის თითოეული დღე რაღაცით ჰგავს ერთმანეთს... მოთხრობაში „თავისუფლების დღეები“ ზურას დღე წაგებული ბილეთის გამო გან-

გაზრდები, რომლებსაც მიზანი გაჰქრობიათ, რომლებიც გოდოს ელოდებიან, სჯერათ, რომ ის აუცილებლად მოვა, ხან დასმული ბილეთის, ხან ნამლის, ხან ომის, ხან კი „რაზბორკების“ სახით.

მოთხრობაში „მზე ამოდიოდა, ან ჩადიოდა, ვისთვის როგორ...“ ძალიან შთამბეჭდავი მომენტი: ომში მთავარი გმირის თანამებრძოლი დაიჭრება და არავის უნდა მისი საავადმყოფოში წაყვანა, ოღონდ, იმიტომ კი არა, რომ ვინმე ვინმეს არ უერთგულდებლობს, ვინმეს ვინმე არ ედარდება — არა, უბრალოდ, ომის შეწყვეტა არავის უნდა. ომი იმ თაობის ნანატრი ილუზიაა, რომელშიც ყველა უბედურება მსუბუქად ეჩვენება, მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. რეალურად ამ ხალხს ორი რამ აქვს მხოლოდ გულში: განუზომელი დარდი და ილუზიები; ილუზიები, რომლებსაც იქ მივყავართ, სადაც არც დროა და

არსებული სიცარიელისა და ტკივილის გასათავისებლად და აბსოლუტური სიცხადით წარმოგვიდგენს საკუთარ შეხედულებებს ყოველივე ამის მიმართ.

რამდენჯერაც გადავიკითხავ ხოლმე მამუკა ხერხეულიძის მოთხრობებს, სულ ვფიქრობ, რომ კრებულში არსებული პრობლემები, თითქოს, ყველას მეტ-ნაკლებად გადაუტანია, მაშინ რატომ, რომ მზე ვილაცისთვის ამოდიოდა და ვილაცისთვის ჩადიოდა? ალბათ, იმიტომ, რომ მიდგომები, შეფასებები, დასკვნები სხვადასხვა იყო ყველასათვის. ალბათ, იმიტომ, რომ, ილიას თუ დავესესხებით, მე ხშირი იყო და ჩვენ — იშვიათი. კაცმა შეიძლება თქვას, მაშინ იყო „ჩვენ“ ხშირი, თუ იყო, მაგრამ არა, მაშინ სოციალური პრობლემები და ბუნდოვანი, ზღაპრული, კეთილი, მაგრამ მაინც ზღაპრული ფიქრები აერთიანებდა თბილისის ქუჩებში დაფუძნებულ საზოგადოებას. მერე ამ სოციალურმა უბედურებამ ახალგაზრდებს ხელი ჩააქნევინა და სამშობლო უდაბნოდ უქცია.


ამ საუკუნის დასაწყისში კი სახელმწიფოებრივი აზროვნება თითქოს დაიწყო... გაჩნდა საზოგადოება, რომელიც ბებეს-ნაირ, ომში დაჭრილ ზაზასნაირ ადამიანზე გაიღიმებს, როცა მას პლემანოვის ქუჩებში წარმოიდგენს, მაგრამ ამ დაკარგული დროის, ცარიელი პერიოდის მიმართ რომანტიზმი მაინც არასოდეს გამქრალა, არადა, მწერალი ამ მოთხრობებით ისე სინჯავს მინას, როგორც ამას თავადვე მოთხრობაში ავტორმატის კონდახით აკეთებს. მართლაც, ადვილი დასამარხია, ადვილი დასავინყებელია უახლოეს წარსულში ჩაბუდებული ეს უბედურება.

მამუკა ხერხეულიძე მკითხველზე მზრუნველი ავტორია. ის ცდილობს, შეგვაძლოს ეს უბედურება, ეს სიბინძურე, ეპოქა, რომლის მავნებლობაც ძალიან კარგად ესმის. მწერალი შესანიშნავი თხრობის ხერხებითა და გულწრფელი პასაჟებით, ვფიქრობ, ყველა მკითხველის გულში აღწევს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს იმ დროის თბილისზე, რომელიც ზოგს კარგად ახსოვს, ზოგს არა, მაგრამ აუცილებლად კი მიახედებს ხოლმე ადამიანს უკან, იქ, სადაც სივრცე და დრო არასდროს ყოფილა. უფრო სწორად, იყო დრო, „როცა ჩიტების ხალხს არ ეშინოდა, პირიქით“...

...და, მართლაც, სულ ვფიქრობდი, რატომ არ უნდოდა ბაბუას აივნიდან ტროლეიბუსის ყურება... არ ვიცი... ჰოდა, თუ ის ტროლეიბუსი ჩემ მიერ არასწორად აღქმული წარსულის რომანტიზირების სიმბოლოა, დაე, გაქრეს კიდევ ჩემი გონებიდან... უფრო სწორად, სავსე და მთავარი მიზნები ჯერ კიდევ წინ გვაქვს! თაობათა ტკივილის რომანტიზირების დრო არ არის... ვინ იცის, იქნებ, როგორც კრებულის ერთ-ერთ მოთხრობაშია, ისე უნდა იყოს სწორედ? „ოდესმე დედაქალაქი აქ (ავტორი სოხუმს გულისხმობს) უნდა გადმოვიდეს, თბილისი დაბერდა, დამახინჯდა და ვეღარც უძლებს ამდენ ხალხს“ — ვამბობ მე... „ქუთაისელს გაუტყდებოდა, მარა თქვენთან იყო უკვე, ბიძია, მცოცავი გრაფიკა-თქო“ — ლადაობს საბურთალოელი ზაზა“.

მათე ნიკლაური

თაობათა საერთო ტკივილი



არც სივრცე, სადაც უმინობაა, სადაც მხოლოდ ფანტაზიები ხარობს. მოთხრობების კრებულში ერთი მნიშვნელოვანი ხაზია — ცრემლნარევი იუმორი. პერსონაჟები სულ ხუმრობენ, ბოლომდე ერიდებიან უბედურებისთვის თვალეში ჩახედვას... „პანაშვილისგან გახალისებული სადარბაზო“ — ასე უწოდებს ბებეს კორპუსს ავტორი და, ვფიქრობ, შევცდებით, თუ მართო კორპუსს მოვარგებთ ამ ნათქვამს... ალბათ ესაა იმდროინდელი თბილისი, იმდროინდელი საქართველო. ქვეყანა, რომლის ყოველდღიურობაში მთავარი ამბავი, მთავარი თავმუსაქცევიცა და სიმძიმე იყო პანაშვიდი...

წერილი იმით დავიწყე, რომ ყველა წიგნი გარკვეულწილად ომსა და სიყვარულზეა. ამ კრებულში ორივე ცნებაზე მორგებულ პასაჟებს შევხვდებით — ომში წასვლის წინ ოჯახთან დამშვიდობებასაც და ავტორისგან რამდენიმე მეტრში დაჭრილი თანამებრძოლსაც, ოჩილასაც, რომელმაც ყველანაირი ცხოვრება გაიარა, რაც კი წარმოგიდგენიათ, ამერიკიდან მეგობრის დედის დასაფლავებაზე ჩამოსულ და ბავშვობის ამხანაგის მიერ დაცხრილულ ლევინსაც, ავტოკატასტროფაში დაღუპულ ბიჭს, რომელიც თურმე უპატრონო ბავშვობა სახლს ეხმარებოდა ისე, რომ არავინ იცოდა, თარს ვაშაკიძეს, რომელთან შეხვედრასაც ერიდებოდა, რადგან თუ შეგხვდა, იმ დღეს მოგებას არ უნდა ელოდო... აქ პანაშვიდები დილით იმართება, რადგან ღამე გარეთ გასვლა საშიშია, აქ იარაღის ტიპს ხმაზე ცნობენ... აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული... ერთადერთი, რაც ცხადი და ზუსტია, თვითონ ავტორის განცდები და დამოკიდებულება გახლავთ. ის გვეპატიუება ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში

